ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

# კანონთან კონფლიქტში მყოფ, ძალადობის, სტიგმისა და დისკრიმინაციის მსხვერპლ ქალთა გენდერ-სპეციფიკური საჭიროებების კვლევა

## ციხის საერთაშორისო რეფორმა (PRI) სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისი



ავტორები:
ანა თვარაძე, სოფო ალექსიძე,
თამარ ავალიანი, მაკა ნუცუბიძე

თბილისი
2018წ.

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

# კანონთან კონფლიქტში მყოფ, ძალადობის, სტიგმისა და დისკრიმინაციის მსხვერპლ ქალთა გენდერ-სპეციფიკური საჭიროებების კვლევა

## ციხის საერთაშორისო რეფორმა (PRI)
## სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისი


ავტორები:

ანა თვარაძე, სოფო ალექსიძე, თამარ ავალიანი, მაკა ნუცუბიძე



თბილისი

2018 წ.

წინამდებარე კვლევა მომზადებულია „ციხის საერთაშორისო რეფორმის“, სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისის მიერ ევროკავშირის და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროს (INL) ფინანსური მხარდაჭერით

აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავდა კანონთან კონფლიქტში მყოფი ქალების, რომლებიც არიან ძალადობის, სტიგმისა და დისკრიმინაციის მსხვერპლი, და მათი დაუცველი შვილების რეაბილიტაციის საჭიროებების გამოვლენას და ანალიზს, მათი ვიქტიმურობის ისტორიასთან კავშირში. კვლევის მიგნებები საფუძვლად დაედება სხვადასხვა ინტერვენციებს და მიზნობრივი დახმარების გაწევას ბენეფიციართა ამ ჯგუფებისთვის, ასევე რეინტეგრაციის საჭიროებების შესახებ მოხდება სახელმწიფო უწყებების ინფორმირება, მათ მიერ რეაბილიტაციის სერვისების შემუშავების პროცესში.

პუბლიკაციაში წარმოდგენილი ავტორთა შეხედულებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს დონორი ორგანიზაციების მოსაზრებებს.

# სარჩევი


შესავალი....................................................................................................................................5

ადამიანის უფლებებში, ქალთა „გენდერული“ უფლებების მოკლე ისტორიული დისკურსი.....................5

1. პრობლემების აღწერა და კვლევის საგანი.......................................................................................7

2. კვლევის მეთოდოლოგიის აღწერა...................................................................................................7

3. საქართველოს კანონმდებლობის მიმოხილვა საერთაშორისო კონვენციებთან მიმართებაში............8

4. ბავშვთა უფლებები და თანამედროვე გამოწვევები........................................................................15

5. რეკომენდაციები.........................................................................................................................16

6. საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისობის ანალიზი ძალადობის, დისკრიმინაციისა და სტიგმის მქონე ქალ მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის მიმართულებით.................................................................17

7. ძალადობის მსხვერპლთათვის გასაჩივრების მექანიზმებზე წვდომა..................................................25

8. გარდამავალი მენეჯმენტის მნიშვნელობა ძალადობის მსხვერპლი ქალი მსჯავრდებულების რეაბილიტაციისთვის....................................................................................................28

9. მართლმსაჯულების სფეროში ქალთა გენდერ-სპეციფიკურ საჭიროებებთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზი ....................................................36

10. რეკომენდაციები .......................................................................................................................39

11. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საბიუჯეტო დაფინანსება და პროგრამული პრიორიტეტები 2017-2018 წლების მონაცემები...................................42

12. სოციოლოგიური კვლევის შედეგები............................................................................................44

13. პატიმარ ქალთა შორის ჩატარებული კვლევის ძირითადი შედეგები.................................................46

14. ძირითადი შედეგები ქალი პატიმრების მიმართ მოპყრობისა და ზრუნვის შესახებ..........................48

15. განმეორებითი დანაშაული და რეინტეგრაციის ხელისშემშლელი ფაქტორები ................................54

16. პრობაციონერ ქალთა შორის ჩატარებული გამოკითხვის შედეგები................................................55

17. ყოფილ პატიმარ ქალთა შორის ჩატარებული კვლევის ძირითადი შედეგები ..................................60

18. ექსპერტებთან, პრაქტიკოსებთან, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, სახელმწიფო მოხელეებთან ინტერვიურების ფორმით იდენტიფიცირებული საკითხები......................61

19. სარეაბილიტაციო პროგრამების ანალიზი.....................................................................................67

20. ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამა..........................................67

21. სახელმწიფო სოციალური დაცვის პროგრამების მიმოხილვა .........................................................70

22. დასკვნები და რეკომედაციები ....................................................................................................74

23. ზოგადი რეკომენდაციები...........................................................................................................76

# შესავალი ადამიანის უფლებებში

## ქალთა „გენდერული“ უფლებების მოკლე ისტორიული დისკურსი

ადამიანის უფლებების ისტორია, ძირითადად, კაცობრიობის განვითარების ორ ეტაპად შეიძლება დავყოთ. პირველი ეტაპი იყო ბრძოლა ადამიანის (ქალის) უფლებების აღიარების, ხოლო მეორე, პირიქით, არსებული უფლებებისათვის ბრძოლა.

ადამიანის უფლებები სოციალური სამართლის დამკვიდრების უმნიშვნელოვანესი ეტაპია. თუ უფლებას არ ენიჭება სათანადო მნიშვნელობა, ბრძოლა მიმდინარეობს მისი დანერგვისთვის. ადამიანის უფლებების საყოველთაო აღიარების პროცესი აუმჯობესებს უფლებათა დაცვისა და განხორციელების პროცესს.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საფუძველს გაერთიანებული ერების წესდება წარმოადგენს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაარსება ადამიანთა ცნობიერების განვითარების განსაკუთრებული ეტაპია, რადგან იგი საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისთვის შექმნა.

გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემის დანერგვისა და ზედამხედველობის მიზნით, 1947 წლის თებერვალში ჩატარდა გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის პირველი რეგულარული სესია.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ჩამოყალიბებისთვის ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ შემუშავდა კონვენცია, აგრეთვე მექანიზმები, როგორც მათი ცხოვრების რეალიზაციის ფორმები, საჩივრის, მონიტორინგის, ანგარიშგებისა და სხვა პროცედურების ჩათვლით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ 1948 წლის 10 დეკემბერს მიიღო ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაცია.

შესაბამისად, ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ შექმნა ადამიანის უფლებათა დაცვის პირველი ინსტრუმენტი. დეკლარაციის პრინციპების იურიდიულად აღიარებულ ვალდებულებად ჩამოყალიბებისათვის იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც მოახდინეს მისი რატიფიცირება, გენერალურმა ასამბლეამ იგი დაყო ორ ,,პაქტად": სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების და სოციალური, კულტურული და ეკონომიკური უფლებების, რომლებიც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციასთან ერთიანობაში ცნობილია როგორც ბილი ადამიანის უფლებათა შესახებ, რომელიც 1976 წლიდან ამოქმედდა.

საერთაშორისო პაქტები ადამიანის უფლებათა შესახებ, რომლებსაც ხშირად ,,კონვენციებს" უწოდებენ, განსაზღვრავენ ადამიანის უფლებათა კონცეფციას და აყალიბებენ სახელმწიფოებისთვის სახელმძღვანელო სტანდარტებს. ამით ისინი საზოგადოებას ეხმარებიან შექმნან ხელსაყრელი გარემო ადამიანის უფლებათა დაცვის განხორციელებისთვის. პაქტების რატიფიცირება სახელმწიფოებს აკისრებს ორმაგ ვალდებულებას: პირველი - გამოიყენოს მისი დებულებები; მეორე - გახდეს საერთაშორისო კონტროლის ობიექტი. ქვეყნებს, რომლებიც კონვენციას უერთდებიან, ეკისრებათ ვალდებულება, რეგულარული ანგარიში წარადგინონ ამ კონვენციების შესაბამისობისა და შესრულების თაობაზე.[1]

საერთაშორისო კონვენციების პირველი მონახაზის შექმნის შემდეგ, გაერომ დაიწყო სპეციფიკურ სფეროებში პაქტების, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტის გამოყენება. პირველი იყო კონვენცია „გენოციდის აცილებისა და დასჯის შესახებ“, რომელიც ძალაში 1948 წელს შევიდა. ძირითადი კონვენცია, რომელიც ეხებოდა ქალებს, „კონვენციას ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ (CEDAW), ხელი მოეწერა 1979 წელს, ხოლო ძალაში შევიდა 1981 წელს. საქართველო ამ კონვენციას მიუერთდა 1994 წელს.

აღნიშნული ორი კონვენციის განვითარების შედეგად, გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემაში განისაზღვრა უფლებათა ორი ძირითადი კატეგორია: პირველი - სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები და მეორე - ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები, რომელთაგანაც პირველს ეწოდა „პირველი თაობის“ და მეორეს - „მეორე თაობის“ უფლებები.

საზოგადოებრივმა პრაქტიკამ სოციალური თანამშრომლობის სფეროში ცხადყო, რომ სამართლებრივი უფლებებისა და თავისუფლებების მთელი კომპლექსის არსებობის პირობებშიც კი მოსახლეობის გარკვეულ ფენებს, სოციალური ან ფიზიოლოგიური მიზეზების გამო, არა აქვთ არსებობისა და მოქმედების თანაბარი შესაძლებლობები, რის გამოც ისინი სახელმწიფოს მხრიდან სპეციალურ სამართლებრივ დაცვას საჭიროებენ. ამასთან დაკავშირებით, საერთაშორისო სამართალში გაჩნდა კიდევ ერთი მიმართულება - ე.წ. „ადამიანის უფლებების მესამე თაობა“, რომელიც მიზნად ისახავდა ცალკეული სოციალური ჯგუფების სასიცოცხლო შესაძლებლობების გაფართოებას.

1 http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe

„ადამიანის უფლებების მესამე თაობის“ ყურადღების ცენტრში არიან ქალები. მსოფლიო თანამეგობრობა აღიარებს იმ ფაქტს, რომ მიუხედავად გარკვეული წინსვლისა ორი სქესის თანასწორუფლებიანობის მიღწევის კუთხით, საზოგადოებაში კვლავ არსებობს ქალების დისკრიმინაციის პრობლემა, რაც საზოგადოების კეთილდღეობის ზრდის ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია და ზიანს აყენებს მსოფლიო ცივილიზაციის ჰუმანური და დემოკრატიული განვითარების პროცესებს.

1947 წელს დაფუძნებული გაერთიანებული ერების ქალის სტატუსის კომისია ამზადებს გამოკვლევებს, ანგარიშებსა და რეკომენდაციებს ადამიანის უფლებების თაობაზე და ქალებთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე. მისი მონაწილეობით მოხდა ქალთა მიმართ უფლებებთან დაკავშირებული ისეთი კონვენციების, პროექტების მომზადება, როგორიც არის ქალის ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ და გაერთიანებული ერების მიერ ქალთა საკითხებთან დაკავშირებით წამოყენებული პროგრამები. კომისია გამოდიოდა როგორც მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონფერენციების საორგანიზაციო ორგანო და კონცენტრირებული იყო ქალთა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტატუსის გაუმჯობესებაზე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1975 წლის ქალთა საერთაშორისო წლად გამოცხადება გადაიქცა მსოფლიო საზოგადოებრიობის მიერ საყოველთაო პროგრესის საქმეში ქალების მიერ შეტანილი წვლილის აღიარებად და მათ წინაშე მდგარ რთულ პრობლემებზე ყურადღების მიპყრობის გამოხატულებად. მთელი მსოფლიოს_ მასშტაბით დაგეგმილ ღონისძიებათა შორის, რომლებიც მიმართული იყო ქალთა საერთაშორისო წლის მიზნების მისაღწევად, უმთავრესი ყურადღება ეთმობოდა ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო კვლევით მოღვაწეობას, მონაცემების შეგროვებას ქალების მდგომარეობის შესახებ და მათ ანალიზს. ეს გარემოება გათვალისწინებული იყო აგრეთვე ათწლეულის პროგრამის „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქალები“-ს ფარგლებში ჩასატარებელი იმ ღონისძიებების დამუშავებისას, რომლებიც ტარდებოდა დევიზით: „თანასწორობა, განვითარება და მშვიდობა“. [2]

დეკადის განმავლობაში კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ რატიფიცირებული იქნა 130 ქვეყნის მიერ, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც აღნიშნული კონვენცია წარმოადგენს სპეციალურად ქალებზე მიმართულ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან საერთაშორისო ხელშეკრულებას.

1993 წლის ვენის ადამიანის უფლებათა მსოფლიო კონფერენციაზე 171 ქვეყნის წარმომადგენელმა მიიღო ვენის დეკლარაცია, რომელშიც გაცხადებულია: „ყველა ადამიანის უფლება უნივერსალური, განუყოფელი, ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთდაკავშირებულია“. კონფერენცია გადაიქცა ქალთა მიერ შემუშავებული ხედვისა და პრაქტიკის გატარების საშუალებად. მისი საწყისი მოწოდება და დღის წესრიგი არც ქალებისაკენ იყო მიმართული და არც გენდერული ასპექტისაკენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც კონფერენციაზე წარმოადგინეს ადამიანის ისტორიული სტატუსის ხელახალი შეფასება, ქალის უფლებების საკითხი საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. სწორედ, ამ კამპანიამ გაიტანა პეტიცია, რომელიც მსოფლიო კონფერენციას მოუწოდებდა ყველა დონეზე გაეთვალისწინებინა ადამიანის - ქალის უფლებები და ეღიარებინა გენდერული ძალადობა, როგორც საყოველთაო ფენომენი, რომელიც განსხვავებულ ფორმებს იძენს სხვადასხვა კულტურულ, მასობრივ და კლასობრივ გარემოცვაში და როგორც ადამიანის უფლებათა შელახვა, რომელზეც მყისიერი რეაგირებაა საჭირო.

ქალის უფლებების აღიარება სამართლებრივი და პოლიტიკური ცვლილებების ადვოკატირებისთვის როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეებზე უმნიშვნელოვანესია. ეს პროცესი ასევე მნიშვნელოვანი იარაღია ყოფით დონეზეც, რადგან ასწავლის ქალებს იმ უფლებებს, რომელიც სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ და ამასთანავე ხელი შეუწყონ ცვლილებებს.

2 http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe

# 1. პრობლემების აღწერა და კვლევის საგანი

საქართველოში  ქალები მსჯავრდებულ პირთა საერთო რაოდენობის ძალიან მცირე - მხოლოდ 2.8%-ს წარმოადგენენ. მათი საჭიროებები და პრიორიტეტები ხშირად განსხვავდება მამაკაცებისგან და შეიძლება ყურადღების მიღმა დარჩეს.

წინამდებარე კვლევის მიზანია სტიგმის, ძალადობისა და დისკრიმინაციის მსხვერპლი პატიმარი, პრობაციონერი და ყოფილი პატიმარი ქალების საჭიროებების გამოვლენა და შეფასება ქვეყანაში მოქმედი პოლიტიკის, კანონმდებლობის, არსებული მხარდამჭერი პროგრამებისა და გამოწვევების ჭრილში.

აღსანიშნავია, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი  და პატიმარი ქალების მამრობითი სქესისაგან განსხვავებულად მოპყრობა არ არის უსამართლო და დისკრიმინაციული. სინამდვილეში, პირიქით. მსჯავრდებულ და პატიმარ ქალებს გააჩნიათ გამორჩეული გენდერ-სპეციფიური საჭიროებები, რომელთა იდენტიფიცირებაც და უზრუნველყოფაც უნდა მოხდეს, რათა მათ მიმართ განხორციელდეს სამართლიანი მიდგომა.

# 2. კვლევის მეთოდოლოგიის აღწერა

კომპლექსური კვლევის ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

I. რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევა - კვლევის კომპლექსურობისა და ყოვლისმომცველობის მოთხოვნიდან გამომდინარე პირველ ეტაპზე, ნებაყოფლობითობის საფუძველზე გამოიკითხა პატიმარი, პრობაციონერი და ყოფილი პატიმარი ქალები (2017-2018წ. მდგომარეობით), მათ შორის სტიგმა/ძალადობა/დისკრიმინაციის მსხვერპლთა გამოსავლენად. მეორე ეტაპზე, ანკეტური წესით გამოკითხვის, ჩაღრმავებული ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების საშუალებით გამოვლინდა მათი საჭიროებები და მოთხოვნები სერვისების გაუმჯობესებისა და ხელმისაწვდომობის მდგომარეობის შესახებ.

ინტერესის სფეროდან საკითხების შესახებ მაქსიმალური ინფორმაციის მისაღებად, შერჩეული იქნა სხვადასხვა სპეციალური მეთოდები. კერძოდ, სხვადასხვა სამიზნე ბენეფიციარების შესწავლისა და რაოდენობრივი ინფორმაციისთვის გამოყენებული იყო კითხვარები. ხოლო რაოდენობრივის თვისებრივი კვლევით შესავსებად, ჩატარდა განხილვები ფოკუსურ ჯგუფებში, სიღრმისეული გამოკითხვები და ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან.

II. არსებული, დღემდე განხორციელებული კვლევების, პოლიტიკის დოკუმენტებისა და კანონმდებლობის ანალიზი ბანკოკის წესებთან მიმართებაში.

III. პირისპირი ინტერვიუები: ექსპერტებთან, პრაქტიკოსებთან, სახელმწიფო მოხელეებთან: თამარ დეკანოსიძე - საია; იდა ბახტურიძე - ქალთა მოძრაობა; გოგა ხატიაშვილი - შინაგან საქმეთა სამინისტრო; ელისო ამირეჯიბი - ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის კოორდინატორი; ლონდა  ბიჭიკაშვილი  - მთავარი პროკურატურა; ანა ილურიძე  - სახალხო დამცველის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი; სოფო ჯაფარიძე - პრემიერის თანაშემწე გენდერული თანასწორობის საკითხებში; ქეთი შუბაშვილი - სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტი; მაია ცირამუა - GCRT; ნანა გოგოხია - ასოციაცია ,,თანხმობა"; პრობაციის ეროვნული სააგენტო (პრობაციის ოფიცერი და  სოცმუშაკი).

განხორციელდა ქალი პატიმრების და მათი არასრულწლოვანი შვილების უფლებრივი მდგომარეობის სამართლებრივი ანალიზი და  საქართველოში მოქმედი კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების ანალიზი საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებაში.

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს კანონი ,,ქალთა მიმართ ძალადობის ან/და  ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ".
- საქართველოს კანონი ,,გენდერული თანასწორობის შესახებ";
- საქართველოს პატიმრობის კოდექსი;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;
- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი;
- საქართველოს კანონი ,,სააღსრულებო წარმოებათა შესახებ";
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება: ,,იმ მძიმე და განუკურნებელ დაავადებათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელიც წარმოადგენს სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების საფუძველს".
- გაერთიანებული ერების სარეკომენდაციო მინიმალური სტანდარტული წესები: „ბანკოკის წესები" და „მანდელას წესები".

**სამიზნე ჯგუფი:** პატიმარი, პრობაციონერი, ყოფილი პატიმარი ქალები და მათი არასრულწლოვანი შვილები.

# 3. საქართველოს კანონმდებლობის მიმოხილვა საერთაშორისო კონვეციებთან მიმართებაში

## საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს ძირითადი კანონია, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო 1995 წლის 24 აგვისტოს. იგი ძალაში შევიდა 1995 წლის საქართველოს ახლად არჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობის დღიდან.

საქართველოს კონსტიტუცია განამტკიცებს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს. სახელმწიფო აღიარებს ამ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ღირებულებებს.

საქართველოს კონტიტუციაში 2018 წლის 23 მარტის საქართველოს კონტიტუციური კანონით არაერთი ცვლილება შევიდა. ცვლილებების თანახმად, კონსტიტუციას დაემატა ორი ახალი მუხლი, რომელიც უშუალოდ ეხება კვლევის სამიზნე ჯგუფს (პატიმარი, პრობაციონერი, ყოფილი პატიმარი და მათი არასრულწლოვანი შვილები).

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი აღიარებს ქალისა და კაცის თანასწორობას (მუხლი 11, მე-3 ნაწილი):

,,სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად".

საქართველოს კონსტიტიტუციის 30-ე მუხლი განსაზღვრავს დედათა და ბავშვთა უფლებებს (მუხი 30, მე-2 ნაწილი):

,,დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით".

საქართველოს კონსტიტუცია არის ქვეყნის უზენაესი კანონი, რომელიც დაცვის მაღალ სტანდარტს სთავაზობს სამიზნე ჯგუფს: პატიმარ, პრობაციონერ, ყოფილ პატიმარ ქალებს და მათ არასრულწლოვან შვილებს.

საქართველოს კონსტიტუციაში აღნიშნული დებულებების გაჩენა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქმნის დაცვის მაღალ სტანდარტს, ვინაიდან 2018 წლის 23 მარტის ცვლილებამდე თანასწორობის და დედათა და ბავშვთა უფლებების ცნების განმარტებები მოცემული არ იყო ქვეყნის უზენაეს კანონში. ზემოთქმული საკანონმდებლო ცვლილებები კიდევ ერთი პოზიტიური ნაბიჯია ქალისა და კაცის თანასწორობის, დედათა და ბავშვთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის.[3]

ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ

**,,ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მიღება**

პარლამენტის 2017 წლის 5 აპრილის დადგენილებით საქართველო შეუერთდა სტამბოლის 2011 წლის 11 მაისის ევროპის საბჭოს კონვენციას: ,,ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ".

ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ, სამართლებრივად სავალდებულოდ შესასრულებელი დოკუმენტია, რომელიც მიმართულია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრისაკენ. კონვენცია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო ინსტუმენტია.

კონვენციაში მოცემულია ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო გზები და მისი განხორციელების ღონისძიებები. კონვენციის მიზანია:

- ხელი შეუწყოს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის აღმოფხვრას, ხელი შეუწყოს ქალსა და მამაკაცს შორის რეალური თანასწორობის ჩამოყალიბებას, მათ შორის ქალებისთვის მეტი შესაძლებლობების მიცემის გზით;
- დაიცვას ქალები ძალადობის ყველა ფორმისაგან, აწარმოოს სამართლებრივი დევნა და აღმოფხვრას ქალთა მიმართ ძალადობა. განახორციელოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენცია;
- დაიცვას და დაეხმაროს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ყველა მსხვერპლს.

კონვენციის მოქმედების არეალი ეხება ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმას, მათ შორის ოჯახში ძლადობას. კონვენცია მხარეებს მოუწოდებს, რომ ეს დოკუმენტი გამოიყენონ ოჯახში ძალადობის ყველა მსხვერპლთან მიმართებაში და ყურადღება დაუთმონ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის მსხვერპლ ქალებს.

კონვენცია მოქმედებს, როგორც მშვიდობიან პერიოდში, ასევე შეიარაღებული კონფლიქტების დროს.

კონვენციის შესაბამისად, ქალთა მიმართ ძალადობა განმარტებულია, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმა და მოიცავს გენდერის საფუძველზე ჩადენილი ძალადობის ყველა აქტს, რომელსაც შედეგად მოჰყვება, ან მოსალოდნელია რომ მოჰყვეს ქალისათვის ფიზიკური, სქესობრივი,

3 http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68

ფსიქოლოგიური ან ეკონომიკური ზიანის ან განსაცდელის მიყენება, და მოიცავს მათ ისეთი ქმედებებით მუქარას, როგორებიცაა იძულება ან თავისუფლების თვითნებური აღკვეთა, მიუხედავად იმისა მოხდება ეს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში.

კონვენცია განმარტავს ტერმინს ,,გენდერული“ და გულისხმობს სოციალურად დაკავშირებულ როლებს, ქცევას, საქმიანობას და მახასიათებლებს და ნიშან-თვისებებს, რომლებსაც მოცემული საზოგადოება ქალისა და მამაკაცისათვის მიზანშეწონილად და სწორად მიიჩნევს.

ხოლო, „ქალთა მიმართ ძალადობა გენდერული ნიშნით“ გულისხმობს ქალის წინააღმდეგ მიმართულ ძალადობას იმის გამო, რომ ის ქალია ან რომელიც არათანაზომიერად უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ქალებზე; კონვენციის თანახმად, ,,ქალები“ მოიცავს ასევე 18 წლამდე ასაკის გოგონებსაც.

კონვენცია იცავს ყველას უფლებას, განსაკუთრებით კი ქალის უფლებას იცხოვროს ძალადობისაგან თავისუფლად როგორც საჯარო, ისე კერძო სფეროში. კონვენცია კრძალავს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმას.

კონვენციის რატიფიცირების შემდეგ, არაერთი ცვლილება შევიდა ,,ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ’’ საქართველოს კანონში.

კონვენცია გმობს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის ყველა ფორმას. აღიარებენ, რომ ქალებსა და მამაკაცებს შორის de jure და de facto თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფა არის ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი. ქალთა მიმართ ძალადობა არის ისტორიულად ქალებსა და მამაკაცებს შორის ძალთა უთანასწორობის გამოვლენა, რამაც მიგვიყვანა მამაკაცების მხრიდან ქალების მიმართ დისკრიმინაციამდე და მათზე დომინირებამდე და ხელი შეუშალა ქალების სრული თანასწორუფლებიანობის განხორციელებას. ქალთა მიმართ ძალადობა არის ერთ-ერთი ის მთავარი სოციალური მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ქალები იძულებულნი არიან, დაიკავონ მამაკაცებთან შედარებით დაქვემდებარებული მდგომარეობა.[4]

ევროპის საბჭოს კონვენციის რატიფიცირება წინგადადგმული ნაბიჯია საქართველოს საკანონმდებლო სივრცისთვის, რადგან რატიფიცირებით კანონში აისახა პოზიტიური ცვლილებები ოჯახში ძალადობისა და გენდერული თანასწორობის პრინციპების დაცვის კუთხით. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის პოზიტიური გავლენები, რამაც ასახვა პოვა ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევას წარმოადგენს, ის ფაქტი, რომ კონვენციის რატიფიცირების შემდგომ, მითითებულმა კანონმა გააფართოვა მოქმედების არეალი და თავისი დაცვის ქვეშ მოაქცია ქალთა მიმართ ძალადობა. კერძოდ, 2017 წლის 4 მაისის ცვლილებების შესაბამისად, კანონის სათაური შემდეგი სახით ჩამოყალიბდა: ,,ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ’’.

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონს დაემატა მე-3 პრიმა მუხლი, რომელიც განმარტავს ქალთა მიმართ ძალადობას და კანონის მიზნებისათვის ქალად მიიჩნევს 18 წელს მიუღწეველ მდედრობითი სქესის არასრულწლოვანს.

ცვლილებების შემდგომ, კანონი მოძალადედ მიიჩნევს აგრეთვე ოჯახის წევრს ან ნებისმიერ სხვა პირს, რომელიც საზოგადოების თუ პირად ცხოვრებაში ქალის მიმართ გენდერული ნიშნით ახორციელებს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, სექსუალურ ან ეკონომიურ ძალადობას ან იძულებას. (პრაქტიკა: სტატისტიკა, საქმეების სიტუაციური აღწერა). [5]

სტაბოლის კონვენციის რატიფიცირების შედეგად „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში გაჩნდა ჩანაწერები, რის საფუძველზეც, როგორ უკვე აღვნიშნეთ, შეიქმნა ქალთა მეტი დაცვის მექანიზმი, ერთ-ერთი სწორედ მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტია. აქ საუბარია ქალთა უფლებების დაცვის საკანონმდებლო გარანტიების შექმნის ჩანაწერის გაჩენაზე, როგორც ქალის ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, სექსუალურ და ეკონომიკურ დაცვაზე. აღნიშნული კანონის საფუძველზე შეიქმნა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობისგან დაცვის მექანიზმი. აქვე ჩაიწერა ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის ღონისძიებები, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ მოძალადეთა რისკ ჯგუფის გამოვლენა და არსებული პრობლემების გადაჭრაში ხელშეწყობა. განსაკუთრებით დეტალური ჩანაწერი გაჩნდა ძალადობის გამოვლენის შემთხვევაში შესაბამისი ორგანოების მიერ მსხვერპლის დასაცავად მიმართული მოქმედებების ერთობლიობა. უნდა აღინიშნოს მე-16 მუხლის $1^1$ პუნქტის ფორმულირება, რომელიც მსხვერპლის სტატუსს ეხება. მისი განმარტება შემდეგი სახისაა:

„მსხვერპლის სტატუსის მინიჭებას ამ კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო ორგანოებთან (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოები, საგამოძიებო ორგანოები, სასამართლო) ერთად უზრუნველყოფს აგრეთვე მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი, თუ მსხვერპლის დაცვის უზრუნველსაყოფად არ მიმდინარეობს დამცავი ორდერის ან შემაკავებელი ორდერის გამოცემის პროცესი ან ქალთა მიმართ ძალადობასთან ან/და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით არ ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნის ღონისძიებები.

„მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის მიერ მინიჭებული მსხვერპლის სტატუსი მოქმედებს მინიჭებიდან 18 თვის განმავლობაში, ხოლო თუ მსხვერპლი თავშესაფრით სარგებლობს – მსხვერპლის თავშესაფარში მოთავსებისათვის ამ კანონით განსაზღვრული ვადით.“

მე- 17 მუხლში განმარტებულია მსხვერპლის უფლებები და მისი დაცვის სამართლებრივი გარანტიები.

ცვლილებების ანალიზისას უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ კანონის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ჩანაწერს წარმოადგენს მე-20 მუხლის ჩანაწერი მოძალადის დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციისკენ მიმართული ღონისძიებების შესახებ.

მოძალადის დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციისკენ მიმართული ღონისძიებები გულისხმობს მოძალადის მიერ ძალადობრივი ქცევის შეცვლისა და მისი ფსიქო-სოციალური დახმარებისკენ მიმართულ ღონისძიებებს, რომელთა

4 https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3789678

5 https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=14

მიზანია ძალადობის განმეორების თავიდან აცილება და მსხვერპლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მოძალადის მიერ ძალადობრივ ქცევასა და მის შედეგებზე პასუხისმგებლობის აღიარება, აგრეთვე მის დამოკიდებულებებსა და ქცევაში მიღწეული დადებითი ცვლილებების შენარჩუნება. მათ მისაღწევად მნიშვნელოვანია მოძალადის მიერ ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლა. მოძალადის დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციისკენ მიმართული ღონისძიებები და მათი განხორციელების წესი და ფორმები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის N761-IIს დადგენილებით.[6]

ბუნებრივია, კონვენციის რატიფიცირების შემდგომ, შევიდა ცვლილებები ,,საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში" და მისი მოქმედების არეალი გავრცელდა ასევე ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე.

,,ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ" კონვენციის რატიფიცირების შემდგომ კანონმდებლობაში აისახა არაერთი დადებითი ცვლილება. შიდა კანონმდებლობის დონეზე დეტალურად გაიწერა და შეიქმნა მეტი გარანტია ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმისა და დისკრიმინაციის მიმართ ბრძოლისა და პრევენცისთვის.

## პატიმრობის კოდექსი

პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მიზანია პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულება, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და მსჯავრდებულის რესოციალიზაცია.

საქართველოში პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულება ხორციელდება კანონიერების, ჰუმანიზმის, დემოკრატიულობის, კანონის წინაშე თანასწორობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპებზე დაყრდნობით.

2017 წლის 1 ივნისს „პატიმრობის შესახებ" კანონში შევიდა ცვლილებები: უნდა აღინიშნოს მუხლი 17, მე-2 და მე-3 ნაწილები: რომელიც ქალი მსჯავრდებულების პაემნის უფლებას შეეხება:

„ქალ მსჯავრდებულს მისი წერილობითი მოთხოვნით, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორის შუამდგომლობითა და დეპარტამენტის დირექტორის თანხმობით შეიძლება მიეცეს შვილთან, ნაშვილებთან, გერთან, შვილიშვილთან, მეუღლესთან, პირთან, რომელთანაც საერთო შვილი ჰყავს, მშობელთან (მშვილებელთან), ბებიასთან, პაპასთან, დასთან, ძმასთან საოჯახო პაემნის უფლება.

მე-2 პრიმა პუნქტი - ქალ მსჯავრდებულს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორის შუამდგომლობითა და დეპარტამენტის დირექტორის თანხმობით, წახალისების ფორმით შეიძლება მიეცეს იმ პირთან საოჯახო პაემნის უფლება, რომელიც ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული არ არის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცვლილება შევიდა 63-ე მუხლში, რომელშიც განმარტებულია **ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულის წახალისების ფორმები.**

ამავე მუხლს დაემატა ,,თ'' ქვეპუნქტი: დამატებითი საოჯახო პაემანი (ქალი მსჯავრდებულისათვის);

ამასთანავე პატიმრობის კოდექსის 72-ე მუხლს დაემატა $3^2$ და $3^3$ ნაწილები:

ქალ მსჯავრდებულს, რომლის 3 წელს მიღწეულმა შვილმა დატოვა ქალთა სპეციალური დაწესებულება, უფლება აქვს, დეპარტამენტის დირექტორის გადაწყვეტილებით, შვილთან ურთიერთობის მიზნით, ბავშვის მიერ დაწესებულების დატოვებიდან 1 წლის განმავლობაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ დასვენების და უქმე დღეებში დატოვოს დაწესებულება. ქალი მსჯავრდებულის მიერ დასვენების და უქმე დღეებში ქალთა სპეციალური დაწესებულების დატოვების წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.[7]

ამავე მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

თუ ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში ქალი მსჯავრდებული სისტემატურად თავს არიდებს მშობლის მოვალეობების შესრულებას, არაჯეროვნად ასრულებს მათ, ბოროტად იყენებს მშობლის უფლებებს, ქალთა სპეციალური დაწესებულების დირექტორი ვალდებულია ამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაუყოვნებლივ აცნობოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შემდგომი რეაგირებისათვის.";

აქვე დაემატა შემდეგი შინაარსის მე-10 ნაწილი:

ქალ მსჯავრდებულს უფლება აქვს, 1 წლის განმავლობაში ჰქონდეს 3 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – წელიწადში 2 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი;

პატიმრობის კოდექსის 90-ე მუხლის სათაურმა და იგივე მუხლის მე-3 ნაწილმა განიცადა შემდეგი ცვლილება: დისციპლინური პატიმრობა არ შეეფარდება ქალ მსჯავრდებულს, რომელიც არის ორსულად ან ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში ჰყავს 3 წლამდე ბავშვი, აგრეთვე 65 წელს გადაცილებულ მსჯავრდებულს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ „ბანგკოკის წესები" ვრცელდება ყველა პატიმარზე, დისკრიმინაციის გარეშე. შესაბამისად, მათი გამოყენებისას, ყველა პატიმრის, მათ შორის ქალი პატიმრების, სპეციალური საჭიროებები და რეალობა უნდა იქნას გათვალისწინებული. მსოფლიო მასშტაბით ქალი პატიმრების რაოდენობის ზრდასთან ერთად, იმის საჭიროება, რომ უფრო კონკრეტული გახდეს ქალი პატიმრების მოპყრობის შესახებ განხილვები, მნიშვნელოვანი და აუცილებელი გახდა. ეს წესები მიმართულია სასჯელაღსრულებისა და სისხლის სამართლის ორგანოებისადმი (მათ შორის პოლიტიკოსების, კანონმდებლების, პროკურატურის, სასამართლო სისტემისა და პრობაციის სამსახურის მიმართ), რომლებიც მონაწილეობენ არასაპატიმრო სანქციებისა და საზოგადოებრივი სასჯელებისა და ღონისძიებების ადმინისტრირებაში. [8]

6 https://matsne.gov.ge/ka/document/view/3665073?publication=0.
7 https://matsne.gov.ge/ka/document/view/3696191
8 .https://www.penalreform.org/wp-content/uploads/2013/07/PRI-Short-Guide-Bangkok-Rules-2013-Web-Final-Geo.pdf

საქართველოს ეროვნული კანონმდებლობა შეიძლება ითქვას რომ ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ ე.წ. „ბანგკოკის წესებთან“ მიმართებაში, თითქმის ყველაფერს ითვალისწინებს, მაგრამ პრობლემა მდგომარეობს იმაში თუ რამდენად სრულყოფილად ხდება ამ წესების პრაქტიკაში განხორციელება. „ბანგკოკის წესები“ ითვალისწინებს რეალურად ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც გადამწყვეტია ქალი პატიმრების ყოველდღიურ ცხოვრებაში იმისათვის, რომ მათი ჯანსაღი განვითარება და ადეკვატური რესოციალიზაცია მოხდეს გარე სამყაროსთან. ზემოთხსენებული მსჯელობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ იმაზე თუ რა საერთო აქვს ჩვენს კანონმდებლობას (სისხლის სამართლის კოდექსი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, პატიმრობის კოდექსი) საერთაშორისო აქტებთან.

# თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მიღება

საპატიმროში ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს ქალებისა და ბავშვების მიღების პროცედურებს, მოცემულ სიტუაციაში მათი განსაკუთრებული მოწყვლადობის გამო. ახლად შემოსული პატიმარი ქალები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ შესაბამისი საშუალებებით, რათა კავშირი ჰქონდეთ ნათესავებთან, ხელი მიუწვდებოდეთ იურიდიულ კონსულტაციაზე, ინფორმაცია მიიღონ ციხის წესების, ციხის რეჟიმისა და რეგულაციების შესახებ. ამასთანავე მათ შეუძლიათ მიიღონ დახმარება, საჭიროების შემთხვევაში, მათთვის გასაგებ ენაზე. უცხო ქვეყნის მოქალაქეობის შემთხვევაში, მათ საშუალება უნდა ჰქონდეთ საკონსულოს წარმომადგენლებთან დაკავშირების. დაწესებულებაში მიღებამდე ან მიღების დროს, ქალებს, რომელთაც ჰყავთ სამ წლამდე ასაკის შვილები უნდა მიეცეთ ამ ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების მოაგვარების უფლება. ამასთანავე შესაძლებელი უნდა იყოს პატიმრობის გადავადება ბავშვების ინტერესების გათვალისწინებით.

# პატიმრის რეგისტრაცია

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მიღების დროს ქალის ბავშვ(ებ)ის რაოდენობა და პირადი მონაცემები უნდა დაფიქსირდეს. ბავშვის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია უნდა იყოს კონფიდენციალური. მათი გამჟღავნება მხოლოდ იმ შემთხვევაშია დაშვებული თუ ის ემსახურება ბავშვის ინტერესებს.

# თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსება

პატიმარი ქალი უნდა განთავსდეს, შესაძლებლობის მიხედვით, იმ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, რომელიც ახლოსაა მის საცხოვრებელ ან სოციალური რეაბილიტაციის ადგილთან, ეს განსაზღვრულია ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ წესებში „ბანკოკის წესები“.

# თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სამედიცინო შემოწმება და ჰიგიენა

ქალი პატიმრების განთავსების ადგილს უნდა გააჩნდეს შესაბამისი საშუალებები და ნივთები, რაც დააკმაყოფილებს ქალთა განსაკუთრებულ ჰიგიენურ მოთხოვნებს. პატიმარ ქალებს უნდა ჩაუტარდეთ სამედიცინო შემოწმება, რომელიც გულისხმობს სრულ სამედიცინო გამოკვლევას, პირველადი საჭიროებებისა და შემდეგი ფაქტორების გამოსავლენად: ა) სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების ან ინფექციური დაავადებების არსებობა; რისკ ფაქტორების გათვალისწინებით, ქალ პატიმრებს ასევე შეიძლება შესთავაზონ აივ ინფექციაზე შემოწმება; (ბ) ფსიქიკური მკურნალობის საჭიროებები; (გ) ქალი პატიმრის რეპროდუქციული ჯანმრთელობის ისტორია; (ე) დაწესებულებაში მიღებამდე გადატანილი სექსუალური ან სხვა ფორმის ძალადობა. თუ გამოვლინდება, რომ პატიმრობამდე ან პატიმრობის დროს, ადგილი ჰქონდა სექსუალურ ან სხვა სახის ძალადობას, ქალ პატიმარს უნდა ეცნობოს მისი უფლებების შესახებ, რათა მან დახმარებისათვის სასამართლო ორგანოებს მიმართოს. ქალი პატიმარს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია შესაბამისი პროცედურებისა და ეტაპების შესახებ. თუ პატიმარი ქალი თანახმაა სამართლებრივი ქმედების დასაწყებად, ეს უნდა ეცნობოს შესაბამის პერსონალს, რომელმაც დაუყოვნებლივ უნდა გადაამისამართოს საქმე კომპეტენტურ საგამოძიებო ორგანოსთან. ციხის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს ამ საჭიროების ქალების იურიდიული დახმარება. მიუხედავად იმისა, გადაწყვეტს თუ არა ქალი დაიწყოს სამართლებრივი ქმედება, ციხის ადმინისტრაციამ ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა უზრუნველყოს დაუყოვნებლივი სპეციალიზებული ფსიქოლოგიური მხარდაჭერა და კონსულტაცია, დაიცვას ქალი პატიმრების სამედიცინო ისტორიების კონფიდენციალურობა. თუ პატიმარ ქალს ახლავს ბავშვი, ამ შემთხვევაში, ბავშვმაც უნდა გაიაროს სამედიცინო შემოწმება, სასურველია ბავშვთა სამედიცინო სპეციალისტთან. პატიმარი ქალებისა და მათი არასრულწლოვანი შვილებისთვის უნდა არსებობდეს ისეთივე ჯანდაცვის მომსახურების პაკეტი, როგორც საზოგადოების სხვა წევრებისთვის.

# თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში უშიშროება, უსაფრთხოება

**თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ჩხრეკა** - ქმედითი ზომები უნდა იქნას მიღებული რათა ჩხრეკის დროს დაცული იყოს პატიმარი ქალების ღირსება და პატივი. ჩხრეკა უნდა ჩატარდეს მხოლოდ ქალი თანამშრომლის მიერ, რომელიც სათანადოდ იქნება მომზადებული და დადგენილი პროცედურების მიხედვით განახორციელებს მას. შემოწმების ალტერნატიულმა მეთოდებმა, როგორიცაა სკანირება, უნდა ჩაანაცვლოს შიშველი ჩხრეკა და სხეულის აგრესიული (ინვაზიური) ჩხრეკა, რათა თავიდან იქნას აცილებული მათგან მიღებული საზიანო ფსიქოლოგიური და შესაძლო ფიზიკური გავლენა. ციხის თანამშრომლებმა უნდა გამოავლინონ კომპეტენცია, პროფესიონალიზმი და თანაგრძნობა, როდესაც ჩხრეკენ ბავშვს, რომელიც დედასთან ერთად იმყოფება ციხეში ან მასთან პაემანზეა მისული.

**დისციპლინა, სასჯელი** - სამარტოო საკანში მოთავსება ან დისციპლინური იზოლირება, როგორც სასჯელი, არ უნდა იყოს გამოყენებული ციხეში ფეხმძიმე ქალების, ახალშობილი ბავშვიანი ქალებისა და მეძუძური დედების მიმართ. ქალი პატიმრების მიმართ დისციპლინური სანქციები არ უნდა ითვალისწინებდეს ოჯახთან, განსაკუთრებით, ბავშვებთან კონტაქტის აკრძალვას.

**საჩივრების ინსპექტირება** - ის პატიმარი ქალები, რომლებიც განაცხადებენ გადატანილი ძალადობის ფაქტის შესახებ, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყონ მყისიერი დაცვით, მხარდაჭერითა და რჩევით. მათი საჩივარი უნდა გამოიძიონ დამოუკიდებელმა ორგანოებმა, კონფიდენციალურობის პრინციპის სრული დაცვით. დაცვითი ღონისძიებები ასევე უნდა ითვალისწინებდეს შურისძიების რისკს. სექსუალური ძალადობის მსხვერპლ პატიმარ ქალებს, და განსაკუთრებით კი მათ, ვინც სექსუალური ძალადობის შედეგად დაორსულდა, უნდა მიეწოდოთ შესაბამისი სამედიცინო დახმარება და რჩევები. ასევე უნდა ჰქონდეთ საშუალება ისარგებლონ საჭირო ფსიქო-სოციალური  და იურიდიული დახმარებით.

ქალი პატიმრების დაკავებისა და მოპყრობის პირობების მონიტორინგის მიზნით, ინსპექციების, მონახულების ან მონიტორინგის საბჭოების ან საზედამხედველო ორგანოების წევრებს შორის უნდა იყვნენ ქალები.

**კონტაქტი გარე სამყაროსთან** - ქალი პატიმრების კონტაქტი მათ ოჯახებთან, მათ შორის შვილებთან, მათი შვილების მეურვეებთან და კანონიერ წარმომადგენლებთან უნდა წახალისდეს და ხელი შეეწყოს ყველა შესაძლო საშუალებით. შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა მიიღონ ზომები, რომ საცხოვრებელი ადგილიდან შორს განთავსებით გამოწვეული არახელსაყრელი პირობები ქალებისთვის გამოსწორდეს. გარემოში ასევე იგულისხმება თანამშრომელთა დამოკიდებულება, დედასა და ბავშვს შორის ღია და შეუზღუდავი კონტაქტი. შესაძლებლობის ფარგლებში, ხელი უნდა შეეწყოს ბავშვებთან გახანგრძლივებულ ურთიერთობას.[9]

# გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონი

„გენდერული თანასწორობის შესახებ" კანონი ადგენს ქალისა და მამაკაცის საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფის ძირითად გარანტიებს, განსაზღვრავს საზოგადოებრივი ცხოვრების შესაბამის სფეროებში მათი განხორციელების სამართლებრივ მექანიზმებსა და პირობებს.

კანონის მიზნებია: უზრუნველყოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დისკრიმინაციის დაუშვებლობა, სათანადო პირობების შექმნა ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის, ხელი შეუწყოს დისკრიმინაციის თავიდან აცილებასა და აღმოფხვრას.

საქართველოს პარლამენტი საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად, განსაზღვრავს გენდერულ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, უზრუნველყოფს გენდერული თანასწორობის სფეროში საკანონმდებლო ბაზის შექმნასა და განვითარებას, განიხილავს და ამტკიცებს შესაბამის სტრატეგიას, აკონტროლებს გენდერული თანასწორობის საკითხებზე საქართველოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობას.[10]

# გენდერული თანასწორობის საბჭოები

საქართველოს პარლამენტი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად ქმნის გენდერული თანასწორობის საბჭოს, რომლის შემადგენლობა, სტატუსი, ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება ამ კანონით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტითა და გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

გენდერული თანასწორობის საბჭო უფლებამოსილია განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი და შეიმუშაოს წინადადებები კანონმდებლობაში არსებული გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად;

აღნიშნული საბჭო უზრუნველყოფს საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილი საკანონმდებლო აქტების პროექტების ექსპერტიზას გენდერული თანასწორობის შეფასების თვალსაზრისით, შეიმუშავებს და გეგმავს ცალკეულ ღონისძიებებს გენდერული თანასწორობის მიღწევისათვის, ქალთა და მამაკაცთა თანასწორი უფლებების რეალიზაციისათვის.

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისათვის შეიმუშავებს განხორციელებული ღონისძიებების მონიტორინგისა და შეფასების სისტემას, რეკომენდაციებს, შეისწავლის გენდერული თანასწორობის საკითხთან დაკავშირებულ

9 https://www.penalreform.org/wp-content/uploads/2016/11/PRI_Nelson_Mandela_Rules_Short_Guide_Geo_final.pdf
10 https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624

ნებისმიერ ინფორმაციას და დოკუმენტაციას, გარდა ისეთი დოკუმენტებისა, რომელთა კონფიდენციალურობაც დაცულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

განიხილავს გენდერული თანასწორობის დარღვევის თაობაზე წარდგენილი განცხადებებს, დოკუმენტაციასა და სხვა ინფორმაციას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას იწვევს შესაბამის დარგში მომუშავე საერთაშორისო ან ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს ან/და ექსპერტებს;

გენდერული თანასწორობის საბჭო წელიწადში ერთხელ საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ანგარიშს საქართველოში გენდერული თანასწორობის მდგომარეობის შესახებ. გენდერული თანასწორობის საბჭო უფლებამოსილია, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით წარმოადგინოს საქართველოს პარლამენტი საერთაშორისო დონეზე. გენდერული თანასწორობის საბჭოს ორგანიზაციული სტრუქტურა, მუშაობის წესი და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობა განისაზღვრება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტითა და გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებით.

საქართველოს მთავრობა გენდერულ და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად ქმნის გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიას. უწყებათაშორისი კომისიის შემადგენლობა, სტატუსი, ფუნქციები, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება უწყებათაშორისი კომისიის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

**2016 წელს „გენდერული თანასწორობის შესახებ" საქართველოს კანონში შევიდა შემდეგი ცვლილება, კერძოდ:**

მუნიციპალიტეტში შეიქმნა გენდერული თანასწორობის საბჭოები, რომლის შემადგენლობა, სტატუსი, ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს შესაბამისი საკრებულო.

მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საკითხების კოორდინაციის მიზნით გამგებელი/მერი ნიშნავს გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელ საჯარო მოსამსახურეს.[11]

# სისხლის სამართლის კოდექსი

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციასთან მიერთების შემდეგ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში (სსკ) შევიდა არაერთი ცვლილება, რომლითაც ისეთი ქმედებებია აღიარებული დანაშაულად, როგორიცაა: სტერილიზაცია თანხმობის გარეშე (სსკ-133 პრიმა); ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება (სსკ 133 პრიმა 2); ადევნება (სსკ 151 პრიმა);

ასევე, დისპოზიციური ცვლილებები განიცადა სისხლის სამართლის შემდეგმა მუხლებმა: $11^1$ - პასუხისმგებლობა ოჯახური დანაშაულისათვის; $126^1$ - ოჯახში ძალადობა; 138 - სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება; 139 - პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება; 140 - სექსუალური ხასიათის შეღწევა თექვსმეტი წლის ასაკის მიუღწეველის სხეულში; 141- ე მუხლი: გარყვნილი ქმედება; 151-ე მუხლი - მუქარა;

2017 წლის 4 მაისის ცვლილებებამდე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით არ იყო განსაზღვრული ისეთი დანაშაული როგორიცაა, ,,სტერილიზაცია თანხმობის გარეშე''. წინასწარი თანხმობის გარეშე პირისთვის ისეთი ოპერაციის ან მანიპულაციის ჩატარება, რომლის მიზანია ამ პირის რეპროდუქციის უნარის მოშლა (მუხლი $133^1$).

ასევე სისხლის სამართლის კოდექსში სიახლეა ისეთი დანაშაული, როგორიცაა: ,,ქალის სასქესო ორგანოების დას ახიჩრება: რელიგიური, რიტუალური, ეთნიკური ან სხვა ტრადიციის გავლენით ან ამგვარი გავლენის გარეშე ქალის სასქესო ორგანოების მთლიანად ან ნაწილობრივ ამოკვეთა, ინფიბულაცია ან სხვაგვარი დასახიჩრება, ან ქალის იძულება ან დაყოლიება, ჩაიტაროს ამგვარი ოპერაცია'' (მუხლი $133^2$ ).

მნიშვნელოვან ცვლილებას წარმოადგენს ასევე ისეთი მუხლის დამატება, როგორიცაა ადევნება: ,,1. პირადად ან მესამე პირის მეშვეობით პირის, მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის უკანონო თვალთვალი, ან არასასურველი კომუნიკაციის დამყარება ტელეფონის, ელექტრონული ან სხვა საშუალებით, ან ნებისმიერი სხვა განზრახი ქმედება, რომელიც სისტემატურად ხორციელდება და იწვევს პირის ფსიქიკურ ტანჯვას ან/და პირის ან მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების ან/და ქონების განადგურების საფუძვლიან შიშს, რაც პირს ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლას აიძულებს ან მისი მნიშვნელოვნად შეცვლის რეალურ საჭიროებას უქმნის'' (მუხლი $151^1$). [12]

სისხლის სამართლის კოდექსში არსებულმა არართმა მუხლმა შინაარსობრივი ცვლილებები განიცადა, კერძოდ: სიხლის სამართლის კოდექსის $11^1$ მუხლში: ,,პასუხისმგებლობა ოჯახური დანაშაულისათვის'' დაემატა 187-ე მუხლი: ნივთის დაზიანება ან განადგურება.

განსახილველი ცვლილებების თანახმად, გაფართოვდა ოჯახის პირთა წრე: ,,არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი და მისი ოჯახის წევრი, მეურვე, მზრუნველი, მხარდამჭერი."

განსახილველი ცვლილებების შედეგად სისხლის სამართლის კოდექსის XXII-ე თავში, რომელიც მოიცავს დანაშაულებს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ, შევიდა შემდეგი სახის ცვლილებები:

2017 წლის 4 მაისის ცვლილებების შესაბამისად, სისხლი სამართლის კოდექსის 137-ე მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: ,,გაუპატიურება, ესე იგი პირის სხეულში ნებისმიერი ფორმით სექსუალური ხასიათის შეღწევა სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან ნებისმიერი საგნის გამოყენებით, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით

11 https://matsne.gov.ge/ka/document/view/3276687

12 https://matsne.gov.ge/ka/document/view/3662356

ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით''. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის ,,დ'' ქვეპუნქტში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, 137-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა შეზღუდული შესაძლებლობის პირის მიმართ მიჩნეულია ქმედების დამამძიმებელ გარემოებად. [13]

ამავე მუხლს დაემატა ახალი პუნქტი, რომლის თანახმადაც 137-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა ,,დამნაშავის მზრუნველობის, მეურვეობის ან მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი პირის მიმართ - მიჩნეულია აგრეთვე დამამძიმებელ გარემოებად.

ცვლილებების თანახმად, სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე; 139-ე და 141-ე მუხლები შინაარსობრივად სრულიად შეიცვალა და დისპოზიციიდან ამოღებულია დისკრიმინაციული ჩანაწერები: ლესბოსელობა და მამათმავლობა.

სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მულის მე-3 ნაწილის ,,დ" ქვეპუნქტში შეტანილი ცვლილებების თანახმად ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის" მიმართ ასევე მიჩნეულია დამამძიმებელ გარემოებად. [14]

# საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი

ევროპის საბჭოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ- სტამბულის კონვენციის რატიფიცირების შემდეგ, 2017 წლის 4 მაისს ცვლილებები შევიდა საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის VII[3] თავში, რომელმაც გააფართოვა მოქმედების არეალი და ქალებს დაცვის მეტი მექანიზმი შესთავაზა. კერძოდ, შეიცვალა მითითებული თავის სათაური: „ადმინისტრაციული სამართალწარმოება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთასთან, ძალადობის მსხვერპლთა დაცვასთან და დახმარებასთან დაკავშირებით". [15]

**ცვლილებები, რომლებიც კონვენციის რატიფიცირების შემდეგ შევიდა ძალაში:**

- შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოყენება შესაძლებელი იქნება ქალთა მიმართ ძალადობის გამოვლენის ყველა შემთხვევაში;
- ძალადობისგან დაცვის ქმედითი მექანიზმების უზრუნველსაყოფად შემაკავებელი ორდერის ძალაში შესვლისათვის გაუქმდება მისი სასამართლოში წარდგენის ვალდებულება;
- შემაკავებელი ორდერი პოლიციელის მიერ მისი გამოცემისთანავე შევა ძალაში;
- ოჯახური ძალადობის მსხვერპლისათვის გათვალისწინებული უფლება, - ისარგებლოს უფასო იურიდიული კონსულტაციით, ასევე თავშესაფარში ყოფნის უფლება, გავრცელდება ოჯახის მიღმა ძალადობის მსხვერპლ ქალებზეც;
- საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ან სხვა ქვეყნის მოქალაქე ძალადობის მსხვერპლი ქალი შეძლებს მიიღოს დროებითი ბინადრობის ნებართვა. შეუძლებელი იქნება სამართალწარმოების დასრულებამდე უცხოელის გაძევება საქართველოდან, თუკი ის ძალადობის მსხვერპლია;
- მოძალადის გათავისუფლებამდე 3 თვით ადრე, სასჯელაღსრულების დაწესებულება ვალდებული იქნება შეატყობინოს საუბნო პოლიციას. პოლიცია კი ვალდებული იქნება ძალადობის მსხვერპლ ქალს აცნობოს ამ პირის გათავისუფლების თაობაზე;
- ქალთა მიმართ ძალადობა იქნება ის გამონაკლისი, როდესაც ექიმები, ადვოკატები და მასწავლებლები ვალდებულნი იქნებიან სამართალდამცავებს მიაწოდონ ინფორმაცია ძალადობის ფაქტების შესახებ;
- ძალადობის ჩამდენ პირებს აეკრძალებათ პირად საკუთრებაში არსებული იარაღის ტარება. შეეზღუდებათ, ან აეკრძალებათ სამსახურეობრივი იარაღის ტარებაც. ხოლო თუკი პირი უკვე ფლობს იარაღს, დამცავი და შემაკავებელი ორდერების მოქმედების პერიოდში მას იარაღი ჩამოერთმევა.

# საკანონმდებლო აქტები ცვლილების გარეშე

კანონმდებლობის სამართლებრივი შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ საკანონმდებლო დანაწესებს, რომლებიც გავლენას ახდენს სამიზნე ჯგუფის, როგორც მატერიალურ ისე საპროცესო უფლებებზე, ცვლილებები არ განუცდია: კერძოდ, ცვლილებები არ განუცდია: ,,სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს";[16] ,,სამოქალაქო საპროცესო კოდექსს'';[17] ,,სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონს;[18] ,,ადმინისტრაციულ სამართლადარღვევათა კოდექსს".[19] ასევე, ცვლილება არ შესულა **საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებაში:[20] ,,იმ მძიმე და განუკურნებელ დაავადებათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელიც წარმოადგენს სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების საფუძველს".[21]**

13 .https://matsne.gov.ge/ka/document/view/3664456
14 . https://matsne.gov.ge/ka/document/view/3664456
15 https://matsne.gov.ge/ka/document/view/3691151
16 https://matsne.gov.ge/ka/document/view/3659958
17 https://matsne.gov.ge/ka/document/view/3662230
18 https://matsne.gov.ge/ka/document/view/18442
19 https://matsne.gov.ge/ka/document/view/4099243
20 https://matsne.gov.ge/ka/document/view/2379630
21 https://matsne.gov.ge/ka/document/view/3665027

# 4. ბავშვთა უფლებები და თანამედროვე გამოწვევები

საქართველოში ბავშვთა კეთილდღეობის გაუმჯობესების მიმართულებით სახელმწიფოს მიერ 2014 წელს გადადგმული ნაბიჯებიდან უნდა აღინიშნოს შემდეგი: საქართველოს პარლამენტმა 2014 წელი ბავშვთა უფლებების დაცვის წლად გამოაცხადა; მთავრობამ გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტს წარუდგინა მე–4 პერიოდული მოხსენება საქართველოში ბავშვის უფლებათა კონვენციის იმპლემენტაციის შესახებ; საქართველო შეუერთდა ევროპის საბჭოს კონვენციას „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვის შესახებ"; მთავრობის მიერ დამტკიცდა ადამიანის უფლებების დაცვის 2014–2015 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა, რომელშიც ცალკე თავად გაიწერა ბავშვის უფლებების დაცვის პრიორიტეტები; შემუშავდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პროექტი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფარგლებში შემუშავდა სკოლამდელი განათლების კანონის პროექტი; საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა მიზნობრივი სოციალური დახმარების განახლებული სისტემა, სადაც გათვალისწინებულია ბავშვიანი ოჯახისთვის ფულადი დანამატი.[22]

სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრმა მოამზადა და გასცა 9 რეკომენდაცია და წინადადება. საქმისწარმოება დაიწყო 419 შემთხვევაზე. რაოდენობრივი მაჩვენებლის მიხედვით, არასათანადოდ ხორციელდება განათლების, ბავშვის მიმართ ძალადობისა და სიღარიბისგან დაცვის, სკოლამდელი აღზრდისა და ჯანმრთელობის დაცვის უფლებები. მაღალია 5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი, კვლავ პრობლემურია ბავშვთა დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე არასრულწლოვნებისთვის სახელმწიფო სერვისების განხორციელება.

ბავშვის უფლებების ცენტრმა ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა სისტემურად შეამოწმა. მონიტორინგი განხორციელდა სკოლამდელ სააღმზრდელო და არასრულწლოვანთა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, მცირე საოჯახო ტიპის სახლებში. აგრეთვე, მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში. ბავშვთა უფლებების დაცვის განხორციელების ხარისხი შემოწმდა საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში, საჯარო სკოლებში, სკოლა–პანსიონებში.[23]

ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ და უზრუნველყოფენ მათი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი თითოეული ბავშვის ყველა უფლებას, რომელიც წინამდებარე კონვენციითაა გათვალისწინებული, ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის გარეშე, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული, ეთნიკური თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, ბავშვის, მისი მშობლებისა და კანონიერი მეურვეების ჯანმრთელობისა და დაბადების მდგომარეობის ან სხვა რამ ვითარების განურჩევლად.

მონაწილე სახელმწიფოები ყოველგვარ აუცილებელ ზომას იღებენ დისკრიმინაციის ყველა იმ ფორმისა და სასჯელისაგან ბავშვის დაცვის უზრუნველსაყოფად, რომლებიც უკავშირდება ბავშვის, ბავშვის მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ოჯახის სხვა წევრთა სტატუსს, საქმიანობას, მათ მიერ გამოთქმულ შეხედულებებს და მათ გამჟღავნებულ მრწამსს.[24]

გაეროს ბავშვთა ფონდის (იუნისეფის) მიერ 2016 წელს ჩატარდა კვლევა სოციალური ნორმების ანალიზი ბავშვთა მიმართ ძალადობის კონტექსტში. მოცემული კვლევის ფარგლებში გამოვლენილ მიგნებებზე დაყრდნობით შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გაკეთება:

- ბავშვთა მიმართ ძალადობის მნიშვნელოვანი შემცირება, საზოგადოების მიერ ამ მოვლენის სრულად აღქმა და ნეგატიური განწყობის ფორმირება შეუძლებელია არსებული სოციალური ნორმების ტრანსფორმაციის გარეშე;
- ბავშვზე ძალადობისას, გარდა ექსტრემალური ძალადობის შემთხვევებისა მშობელი, თუ სხვა მზრუნველი მეტწილად დარწმუნებულია, რომ ძალისმიერი ზემოქმედებით, საბოლოო ჯამში, ბავშვზე დადებით გავლენას ახდენს, აღკვეთს ბავშვის მიერ ჩადენილ შეუსაბამო ქცევას, ქმნის წინაპირობას, რომ მსგავსი ქცევა მომავალში არ განმეორდება და აახლოებს ბავშვის ქცევას საზოგადოების მიერ აღიარებულ „ეტალონთან";
- მშობლები და ბავშვზე მზრუნველი სხვა პირები არ არიან სათანადოდ ინფორმირებულნი მკაცრი აღზრდის გრძელვადიანი ნეგატიური შედეგების, დასჯის მოკლევადიანი ეფექტის, აღზრდის პოზიტიური მეთოდებისა და მათი ეფექტიანობის შესახებ;
- პრობლემის გაცნობიერება, გრძელვადიან პერსპექტივაში მკაცრი და პოზიტიური აღზრდის სტილის ეფექტის დემონსტრირება, შესაძლოა იქცეს სოციალური ნორმების ტრანსფორმაციის წინაპირობად, რადგან, საბოლოო ჯამში, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების მოსაზრებებს შორის არ არის განსხვავება იმის თაობაზე, რომ აღზრდის პროცესი პირველ რიგში უნდა ემსახურებოდეს ბავშვის ინტერესებს და იყოს მისი სრულფასოვან და ჰარმონიულ პიროვნებად ჩამოყალიბების წინაპირობა. ამ მიზანსა და გამოყენებულ მეთოდებს შორის ლოგიკური შეუსაბამობის გამოვლენა არის ალტერნატიული მოდელის არსებობის აუცილებლობის გაცნობიერების და მისი შექმნის სტიმულირების ერთ-ერთი ამოსავალი წერტილი;
- სოციალური ნორმების ტრანსფორმაციისთვის საჭიროა აგრეთვე ემოციური კომპონენტის ჩართვა და საზოგადოებისთვის ბავშვზე განხორციელებული ძალადობის ტრავმული ეფექტის დემონსტრირება;
- მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ძალადობის მოწმეთა წახალისება ძალადობის ფაქტებზე რეაგირების გააქტიურებისთვის. აღნიშნული მიზნისთვის აუცილებელია პოზიტიური მაგალითების დემონსტრირება და ბავშვის ინტერესზე ზრუნვის პრიორიტეტის დამკვიდრება ოჯახის საქმეში ჩაურევლობის პრინციპის საპირწონედ;

22 http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe
23 http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3952.pdf
24 http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4296.pdf

- უკანასკნელ პერიოდში საქართველოში მომხდარი სოციალური ცვლილებების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ სოციალური ნორმების ცვლილება, შესაძლოა, წარმოადგენდეს, როგორც მიზანმიმართული პოლიტიკის და კომუნიკაციის შედეგს (მაგ. უმცირესობებისადმი დამოკიდებულება, სადაც შესამჩნევია აგრესიის კლება), ასევე იყოს გარკვეული სოციალური ძვრების თანმხლები მოვლენა (მაგ. ქალთა ფინანსურმა დამოუკიდებლობის ზრდამ განაპირობა დამოუკიდებლობა პირად ცხოვრებაში, ქალური და კაცური საქმიანობის ნაკლებად ხისტი სეგრეგაცია).

  მოცემულ მომენტში ბავშვთა მიმართ ძალდობის განმაპირობებელი სოციალური ნორმების ტრანსფორმაციაზე სახელმწიფოს პოლიტიკამ და მიზანმიმართულმა კომუნიკაციამ უნდა მოახდინოს გავლენა რამდენიმე მიმართულებით: პრობლემის დაფიქსირება და ტრენდის დემონსტრირება, რომ პრობლემა დაძლეულ უნდა იქნას; დისკუსიის ინიცირება - ინფორმირება; სანქციების დაწესება (არსებულის აქტუალიზაცია) და დასაბუთება.[25]

# 5. რეკომენდაციები

- 2017 წლის 5 აპრილის საქართველოს პარლამენტის დადგენილებით მოხდა „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ" ევროპის საბჭოს კონვენციის რატიფიცირება. ამავე დადგენილების მე-2 ნაწილის თანახმად, საქართველომ დაიტოვა უფლება არ გამოიყენოს კონვენციის 30-ე მუხლის მე-2 მუხლის დებულება, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფოს მხრიდან კომპენსაციის გაცემას დაზარალებულისთვის.

  სამართლებრივმა ანალიზმა ცხადყო, რომ ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის და დარღვეული უფლებების აღდგენისთვის სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი საკანონმდებლო წინადადების შემუშავება, რომელიც დაზარალებულს მისცემს შესაძლებლობას სახელმწიფოს მხრიდან მიიღოს შესაბამისი კომპენსაცია.
- ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ, განმარტავს ტერმინს ,,გენდერული", რომელიც გულისხმობს სოციალურად დაკავშირებულ როლებს, ქცევას, საქმიანობას და მახასიათებლებს და ნიშან-თვისებებს, რომლებსაც მოცემული საზოგადოება ქალისა და მამაკაცისათვის მიზანშეწონილად და სწორად მიიჩნევს. თუმცა ამ ტერმინმა ასახვა ვერ პოვა სხვა შიდა საკანონმდებლო აქტებში. (,,სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს";[26] ,,სამოქალაქო საპროცესო კოდექსს'';[27] ,,სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ" კანონს;[28] ,,ადმინისტრაციულ სამართალადარღვევათა კოდექსს".[29] ასევე, ცვლილება არ შესულა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებაში:[30] ,,იმ მძიმე და განუკურნებელ დაავადებათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელიც წარმოადგენს სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების საფუძველს"), შესაბამისად საქართველოს კანონმდებლობა გენდერულად მგრძნობიარე არ არის, რაც უარყოფითად აისახება ქალთა უფლებრივ თანასწორობაზე.
- ეროვნული კანონმდებლობა ადევნებასთან გამკლავების სისხლისამართლებრივი მექანიზმების გარდა უნდა ითვალისწინებდეს არასისხლისსამართლებრივ სანქციებს. კონვენცია სახელმწიფოებს სთავაზობს შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოყენებას ადევნების მსხვერპლთათვის. სისხლისსამართლებრივმა მექანიზმმა, შესაძლოა, ვერ შეაჩეროს დამნაშავე, ამდენად მნიშვნელოვანია მსხვერპლის უსაფრთხოების მიზნით ადევნების ფაქტზე შემაკავებელი და დამცავი ორდერის გამოცემა, ხოლო ორდერის პირობების დარღვევა უნდა ისჯებოდეს სისხლისამართლებრივი სანქციით.
- კონვენცია ავალდებულებს ხელშემკვრელ მხარეებს სპეციალური მხარდამჭერი მომსახურებები მიაწოდოს ადევნების მსხვერპლებს. ამისათვის, საჭიროა საკანონმდებლო ცვლილება, რომლითაც ადევნების ფაქტი მოექცევა „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" კანონის რეგულირების ფარგლებში.
- ფემიციდი არის გენდერის ნიშნით ჩადენილი ქალის მკვლელობა, ანუ ქალის მკვლელობა, რომლის ჩადენის მოტივი ან კონტექსტი კავშირშია ქალის მიმართ გენდერულ ძალადობასთან, დისკრიმინაციასთან, ან ქალის დაქვემდებარებულ როლთან, რაც გამოიხატება ქალზე უფლებების ქონის სურვილით, ქალთან შედარებით უპირატესი მდგომარეობით, ქალის მიმართ მესაკუთრული დამოკიდებულებით, მისი ქცევის კონტროლით, ან მის გენდერთან დაკავშირებული სხვა მიზეზით. ასევე ქალის თვითმკვლელობამდე მიყვანა ზემოაღნიშნული მიზეზებით.

  საქართველოს კანონმდებლობა „ფემიციდს" არ ითვალისწინებს არც ცალკე მდგომ მუხლად, არც სხვა დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებად - მკვლელობის ჩადენა გენდერის ნიშნით არ არის გამოყოფილი, როგორც განზრახ მკვლელობის დამამძიმებელი გარემოება.

  შესაბამისად, მართებულად მიგვაჩნია, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ფემიციდი განისაზღვროს როგორც დანაშაული და დანაშაულის დამამძიმებელი გარემოება.

25 http://unicef.ge/uploads/Report-Social-Norms-Analysis_GE_Final.pdf?fbclid=IwAR2Ou7xoTmnSHeJpAYKM6xQ0DJw_0_H12sACpU_OSxGm15qMBrwW27agD4U
26 https://matsne.gov.ge/ka/document/view/3659958
27 https://matsne.gov.ge/ka/document/view/3662230
28 https://matsne.gov.ge/ka/document/view/18442
29 https://matsne.gov.ge/ka/document/view/4099243
30 https://matsne.gov.ge/ka/document/view/2379630

# 6. საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისობის ანალიზი ძალადობის, დისკრიმინაციისა და სტიგმის მქონე ქალ მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის მიმართულებით

მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია/რეაბილიტაცია სასჯელის ერთ-ერთ მიზანს და პენიტენციური სისტემის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის მთავარი დანიშნულება მსჯავრდებულთა თავისუფლებისთვის მომზადება და საზოგადოებაში ინტეგრაციაა.

რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის პროგრამების დანერგვისა და განხორციელებისას მნიშვნელოვანია ნორმატიულ დონეზე გენდერ-სპეციფიკური მიდგომის გათვალისწინება და ამ კუთხით, ეფექტიანი პოლიტიკის გატარება.

ქალი მსჯავრდებულები გენდერული სპეციფიკის გათვალისწინებით, პენიტენციური სისტემის განსაკუთრებულ მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენენ, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან სენსიტიურ მიდგომას საჭიროებენ. ამ ჯგუფში კიდევ უფრო მოწყვლად ჯგუფს განეკუთვნებიან ქალები, რომლებმაც განიცადეს დისკრიმინაცია, სტიგმა და ძალადობა. სარეაბილიტაციო პროგრამებში მათი საჭიროებების გათვალისწინება რესოციალიზაციისთვის მნიშვნელოვანი და აუცილებელია. ამ კუთხით, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები საერთაშორისო აქტებით არის გაწერილი.

საერთაშორისო სტანდარტებში პრინციპების დონეზე ხაზგასმულია, რომ ნებისმიერი ფორმით თავისუფლებააღკვეთილ ადამიანს უნდა მოეპყრან მისი უფლებების სრული პატივისცემით, აკრძალული უნდა იყოს ყოველგვარი დისკრიმინაციული მიდგომა. ციხის პირობები არ უნდა იყოს ღირსების შემლახავი და ციხეში ცხოვრება შეძლებისდაგვარად უნდა უახლოვდებოდეს საზოგადოებაში ცხოვრების პოზიტიურ ასპექტებს. მაქსიმალურად უნდა შეეწყოს ხელი თავისუფლებააღკვეთილ პირთა საზოგადოებაში რეინტეგრაციის პროცესს[31].

ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ ,,ბანგკოკის წესების" 42-ე წესის თანახმად ,,ქალ პატიმრებს უნდა მიუწვდებოდეთ ხელი დაბალანსებულ და მრავლისმომცველ აქტივობების პროგრამაზე, რომელიც ითვალისწინებს გენდერისათვის შესაფერის საჭიროებებს."[32]იგივე წესი განსაზღვრავს, რომ ,,განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა იქნას გამოვლენილი, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისი მომსახურება იმ ქალი პატიმრებისათვის, ვისაც აქვს ფსიქოლოგიური დახმარების საჭიროებები, განსაკუთრებით კი მათთვის, ვინც ფიზიკური, ფსიქიკური ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდა."[33] ,,ბანგკოკის წესები" ცალკე მოწყვლად ჯგუფად გამოყოფს და განსაკუთრებულ რეჟიმს ადგენს იმ ქალი პატიმრებისათვის, რომლებიც ძალადობის მსხვერპლები გახდნენ. ,,ბანგკოკის წესები" სარეაბილიტაციო პროგრამების განსაზღვრისას ინდივიდუალიზებულ მიდგომას ადგენს იმ ქალი პატიმრების მიმართ, რომელთაც სპეციფიური საჭიროებები გააჩნიათ. 42-ე წესის მიხედვით ,,ინდივიდუალიზებული, გენდერულად მგრძნობიარე, კონკრეტული ტრავმის გათვალისწინებით ფსიქიკური ჯანმრთელობის სამზრუნველო და სარეაბილიტაციო პროგრამები უნდა იქნას უზრუნველყოფილი პატიმრობაში და პატიმრობის შემდგომ, სხვა გარემოში მყოფი ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებების მქონე ქალი პატიმრებისთვის."[34]

,,ბანგკოკის წესები" ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სარეაბილიტაციო პროგრამების განსაზღვრას აკისრებს სახელმწიფოებს. ამ კატეგორიის მსჯავრდებულთათვის სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვა ხელს უწყობს მათ რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის ეფექტიანად განხორციელების პროცესს. მსჯავრდებულებისთვის, რომლებმაც გადაიტანეს ძალადობა, სტიგმა და დისკრიმინაცია, სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შემუშავებისას, აუცილებელია, გათვალისწინებულ იქნას მათი ტრავმული მდგომარეობა და გადატანილი ძალადობა. ამ კუთხით მნიშვნელოვანია, გენდერულად სენსიტიური ინდივიდუალური გეგმის შედგენა. სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის მიზანია დანაშაულის განმეორებით ჩადენასთან დაკავშირებული ინდივიდუალური რისკისა და საჭიროების შეფასება, პატიმრობისა და თავისუფლებისაღკვეთის დაწესებულებაში ინდივიდისთვის საჭირო ჯანსაღი გარემოს შექმნა და შესაბამის სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართვა.

ევროპის საბჭოს ,,ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ" კონვენცია (სტამბოლის კონვენცია)[35] სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, შეიმუშაოს კომპლექსური სამართლებრივი ჩარჩოები, პოლიტიკური კურსი და ზომები ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად და დასახმარებლად." სახელმწიფოს მიერ ძალადობის მსხვერპლთა მიმართ ინტეგრირებული პოლიტიკის განხორციელება სტამბოლის კონვენციის ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნას წარმოადგენს. სტამბოლის კონვენციის მე-20 მუხლი განსაზღვრავს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას ,,მიიღონ საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომა იმის უზრუნველსაყოფად, რომ მსხვერპლს ხელი მიუწვდებოდეს ისეთ სამსახურებზე, რომელიც დაეხმარება მას ძალადობის აქტების შემდეგ ძალების აღდგენაში. ამ ზომებში უნდა შედიოდეს, აუცილებლობის შემთხვევაში, ისეთი მომსახურება, როგორიცაა იურიდიული და ფსიქოლოგიური კონსულტაციები, ფინანსური დახმარება, თავშესაფარი, განათლება, პროფესიული მომზადება და სამუშაოს მოძიებაში დახმარება"[36].

საქართველოს კანონმდებლობა, პრინციპების დონეზე თანხვედრაშია საერთაშორისო სტანდარტებთან.

31 ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)2, http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1225.pdf

32 ,,ბანგკოკის წესები", წესი 42, http://www.un.org/en/ecosoc/docs/2010/res%202010-16.pdf

33 იქვე, წესი 42

34 იქვე, წესი 42

35 ,,ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ" კონვენცია, პირველი მუხლის პირველი ნაწილის ,,გ" ქვეპუნქტი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678

36 იქვე, მე-20 მუხლი

საქართველოს პატიმრობის კოდექსის მიზანია „პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულება, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და მსჯავრდებულის რესოციალიზაცია“[37]. ამასთან კოდექსი განსაზღვრავს, რომ საქართველოში პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულება ხორციელდება კანონიერების, ჰუმანიზმის, დემოკრატიულობის, კანონის წინაშე თანასწორობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპებზე დაყრდნობით[38]. პენიტენციურ სამართალში სასჯელის ინდივიდუალიზაცია ფუძემდებლურ პრინციპად არის აღიარებული.

საქართველოს პატიმრობის კოდექსი განსაზღვრავს მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის საკითხებს.

პატიმრობის კოდექსი რესოციალიზაციის ძირითად საშუალებებად მიიჩნევს: ,,სასჯელის მოხდას დადგენილი წესის შესაბამისად, სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელებას, მსჯავრდებულთა დასაქმებას, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღებას, საზოგადოებასთან ურთიერთობას“[39].

პატიმრობის კოდექსში ჩამოყალიბებულია საკითხები, თუ რის მიხედვითაც უნდა მოხდეს შესაბამისი პროგრამების შერჩევა. „მსჯავრდებულის რესოციალიზაციის საშუალებები გამოიყენება დანიშნული სასჯელის სახის, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, მსჯავრდებულის პიროვნების, მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და ქცევის გათვალისწინებით“[40]. ასევე, მსჯავრდებულთან სარეაბილიტაციო მუშაობა ტარდება მისი პიროვნების და ქცევის გათვალისწინებით.

კოდექსით სარეაბილიტაციო პროგრამების ამოცანებად დადგენილია: ,,მსჯავრდებულში კანონის, სხვა ადამიანების, შრომის, ადამიანთა თანაცხოვრების, დამკვიდრებული წესებისა და ნორმებისადმი პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბება, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულთა შორის ნორმალური ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შექმნა, მსჯავრდებულის განათლებისა და პროფესიული დონის ამაღლება, მსჯავრდებულის მომზადება გათავისუფლებისათვის, სხვადასხვა დამოკიდებულების მქონე პირთა რეაბილიტაცია“[41].

საქართველოს პატიმრობის კოდექსი ნორმატიულ დონეზე არ განსაზღვრავს რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის პროგრამების მიმართ გენდერ-სპეციფიკურ მიდგომას და ცალკე დებულებებს ქალი მსჯავრდებულების, მათ შორის იმ ქალი პატიმრების მიმართ, ვისაც განუცდიათ ძალადობა, სტიგმა და დისკრიმინაცია. პატიმრობის კოდექსში ძირითადად საუბარია რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის მიზნებსა და საჭიროებებზე, რაც ყველა პატიმარს ეხება.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის, N5 პენიტენციური დაწესებულების დებულება[42] ნორმატიულად განსაზღვრავს ინდივიდუალური მიდგომის პრინციპებს და ქალი მსჯავრდებულების მიმართ საჭიროებებს აკონკრეტებს. დებულება განსაზღვრავს რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნებს და სარეაბილიტაციო პროგრამების ორგანიზების წესს. აღნიშნული მიდგომა ფუნქციურად მისი მთავარი დანიშნულებაა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ N5 პენიტენციური დაწესებულების დებულებაში არ არის ცალკე გაწერილი იმ ქალ მსჯავრდებულთა საჭიროებები და სარეაბილიტაციო პროგრამები, რომლებმაც განიცადეს სტიგმა, ძალადობა და დისკრიმინაცია.

## ვიქტიმიზაციის ისტორიის მქონე ქალ მსჯავრდებულთა დასაქმება

მსჯავრდებულთა დასაქმება მათი რესოციალიზაციის ერთ-ერთ ძირითად საშუალებად მიიჩნევა. სამუშაო მეთოდები და ორგანიზება უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულების ფარგლებს გარეთ არსებულ სამუშაოს, რათა პატიმრები თანდათანობით მოემზადონ საზოგადოებასთან ინტეგრირებისთვის. ასევე, პატიმრებს უნდა ჰქონდეთ სამუშაოს არჩევის შესაძლებლობა, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ხელობის არჩევის წესსა და დაწესებულების მართვისა და დისციპლინის მოთხოვნებს[43]. ქალ მსჯავრდებულთა დასაქმების პროგრამების შემუშავებისას, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ გაითვალისწინოს გენდერ-სპეციფიური საჭიროებები და რეინტეგრაციის აუცილებლობა, რაც საერთაშორისო სტანდარტებით არის გათვალისწინებული.

დასაქმების საკითხი განსაკუთრებით სენსიტიურია იმ პატიმრებთან მიმართებით, რომელთაც განიცადეს დისკრიმინაცია, ძალადობა და სტიგმა. ,,ბანგკოკის წესების“ 41-ე წესის თანახმად, აღნიშნული კატეგორიის პატიმრები მსჯავრდებულთა განსაკუთრებულ კატეგორიას მიეკუთვნებიან[44]. 41-ე წესის თანახმად, ქალი პატიმრებისთვის სახელმწიფო პროგრამების შემუშავებისას, შესწავლილი უნდა იქნას ინფორმაცია ქალთა წარსული ცხოვრების შესახებ, როგორიცაა ინფორმაცია განცდილი ძალადობის შესახებ[45]. კონკრეტული პატიმრისთვის დასაქმების პროგრამის შერჩევისას, გათვალისწინებული უნდა იყოს პატიმრის საჭიროებები, მისი ფსიქოემოციური მდგომარეობა და გადატანილი ტრავმები.

,,ბანგკოკის წესების“ მე-40 წესის თანახმად, ციხის ადმინისტრაციამ უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს პატიმართა საზოგადოებაში რეინტეგრაციის საკითხები[46]. მე-60 წესის თანახმად, სახელმწიფომ შესაბამისი რესურსი უნდა გამოიყენოს, რათა შექმნას დასაქმების პერსპექტივები[47].

საქართველოს პატიმრობის კოდექსი პრინციპების საფუძველზე აწესრიგებს მსჯავრდებულთა შრომას. ძირითადი აქცენტი კეთდება სამუშაო პირობებზე და სამეურნეო სამუშაოებზე[48]. პატიმრობის კოდექსი არასაკმარისად

---

37 საქართველოს პატიმრობის კოდექსის პირველი მუხლი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/91612

38 იქვე, პირველი მუხლი

39 პატიმრობის კოდექსის 116-ე მუხლი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/91612

40 იქვე, მე-17 მუხლი

41 იქვე, მე-17 მუხლი

42 სასჯელაღრულებისადაპრობაციისმინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს ბრძანება N116, პირველი მუხლი, http://www.moc.gov.ge/images/temp/2017/07/04/60390ee0d6fc6b0cc2e2464a720c31ef.pdf

43 „მანდელას წესები“, წესები (96-99).

44 იქვე, წესი 41

45 იქვე, წესი 41

46 იქვე, წესი 40, http://www.un.org/en/ecosoc/docs/2010/res%202010-16.pdf

47 იქვე, წესი 60.

48 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, 110 - 112[1]-ე მუხლები, https://matsne.gov.ge/ka/document/view/91612

ითვალისწინებს გენდერ-სპეციფიურ მიდგომას ქალი პატიმრების დასაქმებასთან დაკავშირებით. პატიმრობის კოდექსში საუბარია, ზოგადად, დასაქმებაზე და არ არის მასში მოწესრიგებული იმ ქალ მსჯავრდებულთა დასაქმების თავისებურებანი, რომლებმაც გადაიტანეს ძალადობა, სტიგმა და დისკრიმინაცია.

N5 პენიტენციური დაწესებულების დებულება არ ითვალისწინებს დასაქმების პროგრამების ჩამონათვალს ქალ მსჯავრდებულებთან დაკავშირებით. დებულებაში გაწერილია მხოლოდ სამუშაოზე განაწილების წესი. დებულება არ ითვალისწინებს გენდერ-სპეციფიკურ მიდგომას ქალი პატიმრების, მათ შორის, იმ პატიმრებთან დაკავშირებით, რომელთაც გადაიტანეს ძალადობა, დისკრიმინაცია და სტიგმა. ასევე, დებულება არ აწესრიგებს იმ პატიმარ ქალთა დასაქმების საკითხებს, რომლებიც ბავშვებთან ერთად ცხოვრობენ პენიტენციურ დაწესებულებაში. აღნიშნული მსჯავრდებულები განსაკუთრებულად მოწყვლად კატეგორიას წარმოადგენენ და მათ მიმართ სენსიტიური მიდგომა აუცილებელია.

საქართველოს პატიმრობის კოდექსში 2016 წელს განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე[49], საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N85 ბრძანებით პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე ან მის გარეთ მსჯავრდებულის დასაქმების, ანაზღაურებისა და შესაბამის სამუშაოთა ჩამონათვალის განსაზღვრის წესი დამტკიცდა[50].

ბრძანება განსაზღვრავს პენიტენციურ დაწესებულებაში ან მის გარეთ სამუშაოს ანაზღაურების წესს, სამუშაოთა ჩამონათვალს, მათ შორის, მცირე სარემონტო სამუშაოების ჩამონათვალს და მათი ჩაბარების წესს. ბრძანება აწესრიგებს კაცი პატიმრების სამუშაოს ჩამონათვალს, როგორიცაა: მცირე სარემონტო სამუშაოები, ეზოსა და მიმდებარე ტერიტორიის გაზონის მოწყობა, ავეჯის შეკეთება და სხვა. ბრძანება არ ითვალისწინებს ქალი პატიმრების სამუშაოს ჩამონათვალს.

# ვიქტიმიზაციის ისტორიის მქონე ქალ მსჯავრდებულთა განათლება

პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული პირობები უნდა უზრუნველყოფდეს პატიმრის რესოციალიზაციასა და რეინტეგრაციას საზოგადოებაში. მსჯავრდებულმა სასჯელის მოხდის პერიოდში უნდა მიიღოს ან გააღრმავოს მისთვის სასურველი და ხელმისაწვდომი განათლება და უნარ-ჩვევები, მიეცეს საშუალება მონაწილეობდეს სპორტულ, ხელოვნების, ინტელექტუალურ თუ სხვა სახის ღონისძიებებში. ეს ყოველივე აუცილებელია, რათა სასჯელის მოხდის შემდგომ, საზოგადოებას დაუბრუნდეს, როგორც სრულფასოვანი ადამიანი.

,,ბანგკოკის წესების“ თანახმად ,,ქალ პატიმრებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ დაბალანსებულ და ყოვლისმომცველი აქტივობების პროგრამაზე, რომელიც ითვალისწინებს გენდერისათვის შესაფერის საჭიროებებს[51]“.

ევროპის საბჭოს ,,ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ კონვენცია (სტამბოლის კონვენცია) სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, ყველა საჭირო ზომა გაატაროს ისეთი საკითხების შესახებ პედაგოგიური მასალის ოფიციალურ სასწავლო პროგრამებში და განათლების ყველა დონეზე ჩასართავად, როგორიცაა, ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობა, არასტერეოტიპული გენდერული როლები, ურთიერთპატივისცემა, პიროვნებათა შორის კონფლიქტების ძალადობის გარეშე მოგვარება, ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობა და პიროვნული ხელშეუხებლობის უფლება, რომლებიც გათვლილი იქნება მსმენელთა მზარდი განვითარების შესაძლებლობებზე[52].

„გაეროს პატიმრებთან მოპყრობის განახლებული მინიმალური სტანდარტული წესები“ - „ნელსონ მანდელას წესების“ მიხედვით, სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის, ან ნებისმიერი მსგავსი ღონისძიების დანიშვნის მიზანი, საბოლოოდ, არის საზოგადოების დაცვა დანაშაულისაგან და რეციდივის შემცირება. ამ მიზნის მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ციხეში გატარებული პერიოდი შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფს გათავისუფლების შემდეგ ამ პირთა საზოგადოებაში რეინტეგრაციას, ისე, რომ მათ შეძლონ კანონმორჩილი ცხოვრება და საკუთარი არსებობის უზრუნველყოფა[53].

ყოველი სასჯელაღსრულების დაწესებულება უნდა ცდილობდეს, რომ პატიმრები უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობით, რომლებიც იქნება შეძლებისდაგვარად მრავალმხრივი და უპასუხებს პატიმართა ინდივიდუალურ საჭიროებებს მათი მისწრაფებების გათვალისწინებით[54]. საგანმანათლებლო პროგრამები უნარ-ჩვევების ტრენინგების ჩათვლით, მიზნად უნდა ისახავდეს პატიმართა საერთო განათლების გაღრმავებას და პატიმრების წახალისებას იცხოვრონ კანონმორჩილი ცხოვრებით და წარმოადგენდეს სისხლის სამართლებრივი რეჟიმის ძირითად ნაწილს.

2017 წელს, განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა საქართველოს პატიმრობის კოდექსში. კოდექსის $115^1$-ე მუხლის თანახმად ,,გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულს, დაბალი რისკის მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულებს უფლება აქვთ, ისარგებლონ აკადემიური უმაღლესი განათლების

49 პატიმრობის კოდექსი, საქართველოს პატიმრობის კოდექსი, $110 - 112^1$-ე მუხლები, https://matsne.gov.ge/ka/document/view/91612

50 სასჯელაღრულებისადაპრობაციისმინისტრის 2016 წლის 4 ივლისის #85 ბრძანება, https://matsne.gov.ge/ka/document/view/3309312

51 წესი 42, http://www.un.org/en/ecosoc/docs/2010/res%202010-16.pdf

52 ,,ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ კონვენცია, პირველი მუხლის პირველი ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678

53 „ნელსონ მანდელას წესები“, წესი 4.1https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/GA-RESOLUTION/E_ebook.pdf

54 „ევროპული ციხის წესები“, წესი 28.1.http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1225.pdf

პირველსაფეხურზე (ბაკალავრიატი) განათლების მიღების უფლებით“[55]. აღნიშნული ცვლილება პოზიტიურად აისახება ქალ მსჯავრდებულთა უფლებრივ მდგომარეობაზე და დამატებით შესაძლებლობას ქმნის უმაღლესი განათლების უფლების ხელმისაწვდომობის კუთხით.

პატიმრობის კოდექსში შესული ცვლილებებიდან გამომდინარე, 2018 წლის 21 მარტს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციისა მინისტრისა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ მიღებულ იქნა N72/N30/ნ ერთობლივი ბრძანება, რომელიც მსჯავრდებულის მიერ ბაკალავრიატის საფეხურზე განათლების მიღების წესს, პირობებს და პროგრამების ჩამონათვალს ადგენს[56].

2016 წლის 1 სექტემბერს, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ მიღებულ იქნა N110/ნ/N124 ერთობლივი ბრძანება არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სრული ზოგადი განათლების მიღებისა და სასწავლო პროცესის რეგულირების შესახებ[57]. ბრძანებაში გაწერილია სრული ზოგადი განათლების მიღების წესი და პირობები პენიტენციურ დაწესებულებაში.

საქართველოს ეროვნული კანონმდებლობა რამდენიმე ასპექტში არ ითვალისწინებს სტამბოლის კონვენციის და „ბანგკოკის წესების“ პრინციპებს მსჯავრდებულებისთვის გენდერულად სენსიტიური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასთან დაკავშირებით. ასევე, საგანმანათლებლო პროგრამებში კანონი არ ითვალისწინებს იმ მსჯავრდებულთა საჭიროებებს, რომლებმაც განიცადეს ძალადობა, სტიგმა და დისკრიმინაცია.

საქართველოს პატიმრობის კოდექსი ზოგადი პრინციპების საფუძველზე აწესრიგებს მსჯავრდებულთა განათლების საკითხებს. კოდექსში პრინციპების დონეზე საუბარია ზოგადი, პროფესიული და უმაღლეს განათლების მიღების შესაძლებლობაზე[58]. პატიმრობის კოდექსი არ ითვალისწინებს გენდერ-სპეციფიკურ მიდგომას ქალი მსჯავრდებულების მიმართ, მათ შორის იმ მსჯავრდებულების მიმართ, რომლებმაც განიცადეს ძალადობა, სტიგმა და დისკრიმინაცია.

N5 პენიტენციური დაწესებულების დებულება[59] განსაზღვრავს ზოგადი და პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობას. აღნიშნული ნორმატიული აქტი არ ითვალისწინებს სტამბოლის კონვენციისა და „ბანგკოკის წესების“ პრინციპებს მსჯავრდებულთა განათლების უფლების მოწესრიგებისას. მნიშვნელოვანია, საკანონმდებლო დონეზე იმპლემენტირებული იყოს ისეთი პრინციპები, როგორიცაა: დაბალანსებული და ყოვლისმომცველი განათლებისა და აქტივობების დანერგვის შესაძლებლობა, რომელიც ითვალისწინებს გენდერულად შესაფერის საჭიროებებს; პატიმრებისათვის თანასწორობისა და ძალადობის პრევენციის შესახებ სპეციალური პროგრამების ხელმისაწვდომობა და სხვა.

## ქალ მსჯავრდებულთა გენდერ-სპეციფიური ჯანდაცვა

ჯანმრთელობის უფლების შინაარსიდან გამომდინარე პირს ხელი უნდა მიუწვდებოდეს ჯანმრთელობის სათანადო დაცვის სისტემაზე, დაავადებათა პრევენციაზე, მკურნალობასა და კონტროლზე, მედიკამენტებზე, რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე, ჯანდაცვის ძირითად მომსახურებებზე (თანაბრად და დროულად), ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე და განათლებაზე. ჯანდაცვის სისტემის სერვისები უნდა იყოს ხელმისაწვდომი, მისაღები და ხარისხიანი. გენდერ-სპეციფიკური ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა საერთაშორისო აქტებით არის გარანტირებული.

,,ბანგკოკის წესების“ თანახმად ,,პატიმარ ქალებს უნდა ჩაუტარდეთ სამედიცინო შემოწმება, რომელიც გულისხმობს სრულ სამედიცინო გამოკვლევას, პირველადი საჭიროებების გამოსავლენად და ისეთი ფაქტორების განსასაზღვრად, როგორიცაა: დაწესებულებაში მიღებამდე გადატანილი სექსუალური ან სხვა ფორმის ძალადობა, ფსიქიკური მკურნალობის საჭიროებები, მათ შორის, პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობა, თვითმკვლელობის ან თვითდაზიანების რისკი, ქალი პატიმრების რეპროდუქციული ჯანმრთელობის ისტორია, ნარკოტიკებზე დამოკიდებულების არსებობა, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების ან ინფექციური დაავადებების არსებობა[60]“.

ბანგკოკის მე-6 წესი სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, სამედიცინო შემოწმებისას განისაზღვროს და იდენტიფიცირებულ იქნას ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორიცაა, მსჯავრდებულის მიერ გადატანილი ძალადობა. აღნიშნული ფაქტორის იდენტიფიცირება მნიშვნელოვანია მსჯავრდებულის მიმართ ინდივიდუალური მიდგომის, ადეკვატური მკურნალობისა და სარეაბილიტაციო პროგრამების შესამუშავებლად.

,,ბანგკოკის წესები“ ადგენს, რომ თუ პატიმარ ქალს ახლავს ბავშვი, ამ ბავშვმაც უნდა გაიაროს სამედიცინო შემოწმება, სასურველია ბავშვთა სამედიცინო სპეციალისტის მიერ, რათა გამოკვლეულ იქნას მკურნალობის ან სხვა სამედიცინო საჭიროებები[61]. „ბანგკოკის წესები“ ცალკე მოწყვლად ჯგუფად განიხილავს ბავშვებს, რომლებიც თან ახლავს პატიმარ ქალებს და მათ მიმართ ასაკის შესაბამის, სპეციფიკურ ჯანდაცვის მოთხოვნებს აწესებს.

,,ბანგკოკის წესების“ მე-10 წესის თანახმად, ქალი პატიმრებისთვის უზრუნველყოფილი უნდა იქნას გენდერულად სპეციფიკური ჯანდაცვის, როგორც მინიმუმ საზოგადოებაში არსებული ჯანდაცვის ტოლფასი, მომსახურება[62].

---

55 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, 115[1]-ე მუხლი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/91612

56 2018 წლის 21 მარტის საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციისა მინისტრისა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის # 72/N30/ნ ბრძანება,https://matsne.gov.ge/ka/document/view/4102319

57 2016 წლის 1 სექტემბრის საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციისა მინისტრისა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ მიღებულ იქნა #110/ნ/N124 ერთობლივი ბრძანება

58 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, 113-115[1]-ე მუხლები, https://matsne.gov.ge/ka/document/view/91612

,,ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ კონვენცია, პირველი მუხლის პირველი ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678

59 სასჯელაღრულებისადაპრობაციისმინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს ბრძანება N116, პირველი მუხლი, http://www.moc.gov.ge/images/temp/2017/07/04/60390ee0d6fc6b0cc2e2464a720c31ef.pdf

60 ,,ბანგკოკის წესები“, წესი 6, http://www.un.org/en/ecosoc/docs/2010/res%202010-16.pdf

61 იქვე, წესი 9.

62 იქვე, წესი 10.

წესი მე-12 სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, უზრუნველყოს ინდივიდუალიზებული, გენდერულად მგრძნობიარე, კონკრეტული ტრავმის გათვალისწინებით სრული ფსიქიკურ ჯანმრთელობის სამზრუნველო და სარეაბილიტაციო პროგრამები ციხესა და არასაპატიმრო გარემოში მყოფი ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებების მქონე ქალი პატიმრებისთვის[63].

წესი მე-13 განსაზღვრავს, რომ ციხის თანამშრომლებს უნდა ესმოდეთ თუ როდის შეიძლება ქალები განიცდიდნენ განსაკუთრებულ სტრესს, რათა მგრძნობიარე იყვნენ მათი მდგომარეობის მიმართ და უზრუნველყონ ქალების მიმართ შესაბამისი თანადგომა[64].

წესი მე-15 ადგენს, რომ ციხის სამედიცინო სამსახურმა უნდა უზრუნველყოს ან ხელი შეუწყოს მკურნალობის სპეციალიზებულ პროგრამებს, რომელიც შედგენილია სპეციალურად ნარკოტიკებზე დამოკიდებულების მქონე ქალებისთვის და უნდა ითვალისწინებდეს შესაძლო წინამორბედ ფაქტორებს, ვიქტიმიზაციის ისტორიას, ორსული ქალებისა და ბავშვიანი ქალების განსაკუთრებულ საჭიროებებს, ისევე როგორც მათ განსხვავებულ კულტურულ თავისებურებებს[65].

წესი მე-17 განსაზღვრავს, რომ ქალმა პატიმრებმა უნდა მიიღონ განათლება და ინფორმაცია ჯანმრთელობის პრევენციული ღონისძიებების შესახებ, მათ შორის „აივ ინფექციის", სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების და სხვა, ინფექციური დაავადებების, მათ შორის გენდერულად სპეციფიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის პრევენციის შესახებ[66].

წესი 18-ზე დაყრდნობით ქალებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა პრევენციული ჯანდაცვის ღონისძიებები, როგორიცაა „პაპანიკოლაუს ანალიზი", სარძევე ჯირკვლებისა და გინეკოლოგიური ორგანოების კიბოს დიაგნოსტიკა. პრევენციული ჯანდაცვის სერვისები თანაბრად უნდა იქნას შეთავაზებული ქალი პატიმრებისთვის ისევე, როგორც ეს საზოგადოებაში იმავე ასაკის ქალებისთვისაა გათვალისწინებული და ხელმისაწვდომი[67].

,,ბანგკოკის წესები" განსაზღვრავს ქალთა გენდერ-სპეციფიკური ჯანდაცვის თითქმის ყველა ასპექტს და ხაზს უსვამს კანონმდებლობისა და პოლიტიკის დონეზე ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორების გათვალისწინებას, როგორიცაა ძალადობა, სტიგმა და დისკრიმინაცია. ,,ბანგკოკის წესები" სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, შეიმუშავოს პროგრამები ამ ფაქტორების გათვალისწინებით.

ამასთანავე ,,ბანგკოკის წესები" ცალკე მოწყვლად კატეგორიად გამოყოფს ძალადობის მსხვერპლი მსჯავრდებულების შვილებს და მათთვის სპეციალური სერვისების შემუშავების აუცილებლობას განსაზღვრავს.

ევროპის საბჭოს ,,ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ" კონვენციის (სტამბოლის კონვენცია)[68] მე-12 მუხლის თანახმად, პოლიტიკის და კანონმდებლობის შემუშავებისას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ისეთ მოწყვლად ჯგუფებს, როგორებიც არიან ძალადობის მსხვერპლები. კონვენციის მე-20 მუხლი განსაზღვრავს, რომ სახელმწიფომ უნდა გაატაროს შესაბამისი ზომები და შექმნას სპეციალური სერვისები, რომლებიც დაეხმარება მსხვერპლებს ძალების აღდგენაში[69].

სტამბოლის კონვენცია სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის შექმნას სამედიცინო და სასამართლო-სამედიცინო შემოწმების ჩატარების სამსახურები, მათთვის კონსულტაციების გაწევის მიზნით.[70] კონვენცია ცალკე ჯგუფად გამოყოფს ბავშვებს, რომლებიც თავად არიან ძალადობის მსხვერპლები ან ძალადობის შემსწრენი და მათთვის ასაკის შესაბამისი ფსიქო-სოციალური პროგრამების შემუშავებას ითვალისწინებს[71].

საქართველოს პატიმრობის კოდექსში პენიტენციურ ჯანდაცვას განსაზღვრავს 119-122 -ე მუხლები. კოდექსში მოცემულია ჯანდაცვის ხელმისაწვდომობისა და ორგანიზების, მსჯავრდებულისთვის ფსიქიატრიული დახმარების გაწევის საკითხები [72].

საქართველოს პატიმრობის კოდექსის 119-ე მუხლზე დაყრდნობით, ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამედიცინო მომსახურება ხორციელდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ქვეყანაში დადგენილი სამედიცინო მომსახურების მოთხოვნების შესაბამისად[73].

საქართველოს პატიმრობის კოდექსის 24-ე მუხლი ითვალისწინებს ზოგად დებულებებს პატიმრების ჯანდაცვასთან დაკავშირებით. კერძოდ, ,,ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს ისარგებლოს საჭირო სამედიცინო მომსახურებით. საჭიროების შემთხვევაში, ბრალდებულისათვის/მსჯავრდებულისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს პენიტენციურ დაწესებულებაში ნებადართული სამკურნალო საშუალებები"[74].

პატიმრობის კოდექსი ადგენს მსჯავრდებულთა მკურნალობის ზოგად დებულებებს. იგი არ განსაზღვრავს მსჯავრდებულთა გენდერ-სპეციფიკურ მკურნალობას და არ ითვალისწინებს სპეციფიკურ რეგულაციებს იმ მსჯავრდებულთა მკურნალობის შესახებ, რომლებმაც განიცადეს ძალადობა, სტიგმა და დისკრიმინაცია.

N5 პენიტენციური დაწესებულების დებულება აწესრიგებს სამედიცინო მომსახურების ორგანიზებასთან დაკავშირებულ პრობლემებს, სანიტარულ-პროფილაქტიკური და ფსიქიატრიული დახმარების საკითხებს[75]. დებულება არ

63 ,,ბანგკოკის წესები", წესი 12, http://www.un.org/en/ecosoc/docs/2010/res%202010-16.pdf
64 იქვე, წესი 13.
65 იქვე, წესი 15.
66 იქვე, წესი17.
67 იქვე, წესი18.
68 ევ-როპის საბჭოს ,,ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ" კონვენცია (სტამბოლის კონვენცია), მე-12 მუხლიhttps://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678
69 იქვე, მე-12 მუხლი.
70 იქვე, 25-ე მუხლი.
71 იქვე, 26-ე მუხლი.
72 საქართველოს პატიმრობის კოდექსის 119-122-ე მუხლები, https://matsne.gov.ge/ka/document/view/91612
73 იქვე, 119-ე მუხლი
74 იქვე, 24-ე მუხლი.:
75 სასჯელაღსრულებისადაპრობაციისმინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს ბრძანება N116, 56-58 მუხლები, http://www.moc.gov.ge/images/temp/2017/07/04/60390ee0d6fc6b0cc2e2464a720c31ef.pdf

ითვალისწინებს ცალკე რეგულაციებს იმ მსჯავრდებულთა მკურნალობასთან დაკავშირებით, რომლებმაც განიცადეს ძალადობა, სტიგმა და დისკრიმინაცია.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 22 აპრილის N31 ბრძანება პენიტენციურ დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების სტანდარტებს განსაზღვრავს[76]. ბრძანების მე-15 მუხლი ქალი მსჯავრდებულებისათვის და მათი არასრულწლოვანი შვილებისათვის მომსახურების დამატებით სტანდარტს ადგენს.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 22 აპრილის N31 ბრძანების მე-15 მუხლის თანახმად, ქალი მსჯავრდებულის დაწესებულებაში ყოფნისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ისეთი ინფორმაციის შეგროვებას, როგორიცაა: შესაძლო ძალადობის ნიშნები და წარსულში გადატანილი ძალადობის ფაქტები, მათ შორის, სექსუალური ძალადობის ფაქტები; ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა, განსაკუთრებით, პოსტ-ტრავმული სტრესის სინდრომი, სუიციდური ქცევა და წამალდამოკიდებულება.[77] ბრძანების თანახმად, დაწესებულებაში მიღებისას უნდა დადგინდეს მიმდინარე ორსულობის, მოსალოდნელი მშობიარობს ფაქტი ან მეძუძური დედის სტატუსი. მსჯავრდებულის პირველადი შემოწმებისას მის სამედიცინო ბარათში უნდა აისახოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის ისტორია.

ზემოაღნიშნული N31 ბრძანება ქალი მსჯავრდებულების მცირეწლოვანი შვილების მოვლის სტანდარტს განსაზღვრავს. კერძოდ, დაწესებულებაში მოთავსებული ქალ მსჯავრდებულებთან მყოფი 3 წლამდე ასაკის ბავშვები, სამედიცინო საჭიროებების განსაზღვრის მიზნით, გადიან პირველად სამედიცინო შემოწმებას, რა დროსაც ხორციელდება ოჯახის ექიმის და პედიატრის კონსულტაცია. დაწესებულებაში დედასთან მყოფი 3 წლამდე ასაკის ბავშვები უზრუნველყოფილნი არიან ჯანმრთელობის სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებული პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული იმუნიზაციით, სკრინინგული გამოკვლევებითა და შესაბამისი მკურნალობით, ადრეული განვითარების მომსახურებებით[78].

შიდა ნორმატიული კანონქვემდებარე აქტები ძირითადი პრინციპების დონეზე სენსიტიურია გენდერული საჭიროებების მიმართ, მათ შორის იმ მსჯავრდებულთა საჭიროებების მიმართულებით, რომელთაც გადაიტანეს ძალადობა, სტიგმა და დისკრიმინაცია.

## თვითდაზიანების და სუიციდის პრევენცია

,,ბანგკოკის წესების“ მე-16 წესის თანახმად, ციხის ჯანდაცვა და სოციალური კეთილდღეობის სამსახურებთან კონსულტაციის საფუძველზე სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება ქალთა ციხეებში ფსიქიკური ჯანდაცვის ყოვლისმომცველი პოლიტიკის ნაწილი უნდა იყოს, იმისათვის, რომ ქალ პატიმრებს შორის მოხდეს თვითმკვლელობისა და თვითდაზიანების პრევენცია და უზრუნველყოფილ იქნას შესაფერისი, გენდერულად სპეციფიკური და სპეციალიზირებული მხარდაჭერა მათთვის, ვინც იმყოფება რისკის ქვეშ[79].

თვითმკვლელობისა და სუიციდისკენ განსაკუთრებით მიდრეკილები არიან ის პატიმრები, რომელთაც გადაიტანეს ძალადობა, სტიგმა და დისკრიმინაცია. ,,ბანგკოკის წესები“ ადგენს სპეციფიურ სტანდარტებს ქალ პატიმრებთან მიმართებაში - ,,ციხის ჯანდაცვისა და სოციალური კეთილდღეობის სამსახურებთან კონსულტაციის საფუძველზე სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება, იმისათვის, რომ ქალ პატიმრებს შორის მოხდეს თვითმკვლელობისა და თვითდაზიანების პრევენცია და უზრუნველყოფილ იქნას შესაფერისი, გენდერულად სენსიტიური და სპეციალიზირებული მხარდაჭერა მათთვის, ვინც იმყოფება რისკის ქვეშ, უნდა იყოს ქალთა ციხეებში ფსიქიკური ჯანდაცვის ყოვლისმომცველი პოლიტიკის ნაწილი[80]. ,,ბანგკოკის წესების“ თანახმად, ციხის თანამშრომლები უნდა იქნან მომზადებულნი, იმისათვის, რომ მათ შეძლონ ქალ პატიმრებს შორის ფსიქიკური მკურნალობის საჭიროებების, თვითდაზიანებებისა და თვითმკვლელობის რისკის არსებობის დადგენა, დახმარების შეთავაზება და მსგავსი შემთხვევის სპეციალისტებთან გადამისამართება. [81]

პენტენციურ დაწესებულებებში სუიციდისკენ მიდრეკილი პატიმრების გამოვლენის, მათთვის შესაბამისი დახმარების გაწევისა და სუიციდით გამოწვეული სიკვდილიანობის შემცირების მიზნით, საქართველოს პენიტენციურ სისტემაში მოქმედებს ,,ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სუიციდის პრევენციის პროგრამა[82].“

პროგრამა ითვალისწინებს ისეთ აქტივობებს, როგორიცაა: ინფორმაციის შეგროვება განსაკუთრებით სარისკო გარემოებათა და სარისკო ქცევების შესახებ, სუიციდის რისკის მქონე პატიმართა გამოვლენა, მულტიდისციპლინური გუნდის საქმიანობა, აღნიშნული გუნდის მიერ პატიმართა სუიციდის რისკის შეფასებას, ინდივიდუალური დახმარების გეგმის შემუშავებას და განხორციელებას.[83]

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 11 თებერვლის **N13 ბრძანება ,,სუიციდის პრევენციის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ არ ითვალისწინებს თვითდაზიანებისა და სუიციდის გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირებას და ინდივიდუალურ მიდგომას იმ მსჯავრდებულთა მიმართ, რომელთაც გადაიტანეს ძალადობა, სტიგმა და დისკრიმინაცია.**

---

76 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 22 აპრილის #31 ბრძანება, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2787230

77 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 22 აპრილის #31 ბრძანება, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2787230

78 იქვე, მე-15 მუხლი

79 ,,ბანგკოკის წესები“, წესი 16, http://www.un.org/en/ecosoc/docs/2010/res%202010-16.pdf

80 იქვე, წესი 16

81 იქვე, წესი 35

82 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 11 თებერვლის ბრძანება #13 ,,ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სუიციდის პრევენციის პროგრამის დამტკიცების შესახებ“, http://www.moc.gov.ge/images/temp/2017/07/05/3e7816c6d95f48eb4cf03f35978f6008.pdf

83 იქვე, მე-2 მუხლი

## ვიქტიმურობის ისტორიის მქონე ქალ მსჯავრდებულთა ნარკოტიკზე/ალკოჰოლზე დამოკიდებულება და მათი ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია

,,ბანგკოკის წესების“ მე-15 წესის თანახმად ,,ციხის სამედიცინო სამსახურმა უნდა უზრუნველყოს ან ხელი შეუწყოს მკურნალობის სპეციალიზებულ პროგრამებს, რომელიც შედგენილია სპეციალურად ნარკოტიკებზე დამოკიდებულების მქონე ქალებისთვის და უნდა ითვალისწინებდეს წარსულში მათ შესაძლო ვიქტიმურობას, ორსული ქალებისა და ბავშვიანი ქალების განსაკუთრებულ საჭიროებებს, ისევე როგორც მათ განსხვავებულ კულტურულ საჭიროებებს“[84].

,,ბანგკოკის წესები“ განსაზღვრავს არა მხოლოდ სპეციალიზებულ პროგრამებს ნარკოდამოკიდებული ქალებისთვის, არამედ პროგრამების შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს მთელი რიგი წინამძღვრები, როგორიცაა ვიქტიმიზაცია და ქალთა სხვა საჭიროებები.

ევროპის საბჭოს ,,ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ კონვენციის (სტამბოლის კონვენცია)[85] მე-12 მუხლი სახელმწიფო აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, შესაბამისი პოლიტიკის გატარებისას, გაითვალისწინოს და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს იმ პირთა კონკრეტულ საჭიროებებს, რომლებიც მოწყვლადი გახდნენ განსაკუთრებული გარემოებების გამო. ამ კუთხით, განსაკუთრებულ მოწყვლად კატეგორიას ალკოჰოლზე და ნარკოტიკებზე დამოკიდებული მსჯავრდებულების წარმოადგენენ.

საქართველოს შიდა კანონმდებლობა პრინციპების დონეზე თანხვედრაშია საერთაშორისო სტანდარტებთან.

საქართველოს პატიმრობის კოდექსის 117-ე მუხლი განსაზღვრავს დამოკიდებულების მქონე პირთა რეაბილიტაციას. 117-ე მუხლის საკანონმდებლო დანაწესი ძალიან ზოგადი ხასიათისაა და ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. პატიმრობის კოდექსის 117-ე მუხლი მოიცავს როგორც ნივთიერებაზე დამოკიდებულ, ასევე, ნარკოტიკზე/ალკოჰოლზე დამოკიდებულ ქალებს.

2014 წლის 31 დეკემბერს, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N161 ბრძანებით დამტკიცდა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მსჯავრდებულთა ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამის - ,,ანტლანტისის“ განხორციელების ინსტრუქცია[86]. ინსტრუქციის მე-2 მუხლი განსაზღვრავს, რომ ,,ატლანტისის“ პროგრამა წარმოადგენს ალკოჰოლურ, ნარკოტიკულ ან სხვა ფსიქოაქტიურ ნივთიერებებზე დამოკიდებულების მქონე მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის თერაპიულ მოდელს[87]. ინსტრუქციის თანახმად პროგრამის განსახორციელებლად იქმნება ჯგუფი, რომელშიც შედიან პროგრამის ფსიქოლოგი და თერაპიის ინსტრუქტორი. საჭიროების შემთხვევაში ჯგუფის შემადგენლობაში შეიძლება მოწვეულ იქნას სხვა პირი[88]. ,,ატლანტისის“ პროგრამა შედგება მულტიდისციპლინური აქტივობებისგან. მათ შორისაა: ლექციები, ტრენინგები, ჯგუფური თერაპია, ინდივიდუალური კონსულტაცია. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 4 თვეს, რაც საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება კიდევ 2 თვე გაგრძელდეს.

**,,ატლანტისის“** პროგრამაში ბენეფიციართა შერჩევა ხდება ზოგადი კრიტერიუმების საფუძველზე, როგორიც არის ალკოჰოლზე/ნარკოტიკზე დამოკიდებულება, მსჯავრდებულის სურვილი მონაწილეობა მიიღოს პროგრამაში და თუ მსჯავრდებული საფრთხეს არ წარმოადგენს პროგრამაში მონაწილე სხვა პირებისა და დაწესებულების თანამშრომლებისთვის[89]. პროგრამაში ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმები დაკონკრეტებას საჭიროებს.

,,ატლანტისის“ პროგრამაში ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმად არ არის განსაზღვრული ისეთი მნიშვნელოვანი წინამორბედი ფაქტორები, როგორიცაა გადატანილი ძალადობა, სტიგმა და დისკრიმინაცია. ალკოჰოლზე/ნარკოტიკზე დამოკიდებული პირები ერთ-ერთ ყველაზე სტიგმატიზირებულ და დისკრიმინირებულ კატეგორიას წარმოადგენენ, რომელთაც სპეციფიკური მიდგომა ესაჭიროებათ. ამასთანავე, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N161 ბრძანება არ არის გენდერულად სენსიტიური და არ ითვალისწინებს ქალთა სპეციფიურ საჭიროებებს.

## ფსიქიატრიული მკურნალობა

,,ბანგკოკის წესების“ მე-12 წესი განსაზღვრავს, რომ ,,ინდივიდუალიზებული, გენდერულად მგრძნობიარე, კონკრეტული ტრავმის გათვალისწინებით სრული ფსიქიკური ჯანმრთელობის სამზრუნველო და სარეაბილიტაციო პროგრამები უნდა იქნას უზრუნველყოფილი ციხესა და არასაპატიმრო გარემოში მყოფი ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებების მქონე ქალი პატიმრებისთვის.[90]

აღნიშნული წესები სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, ფსიქიკური ჯანმრთელობის სარეაბილიტაციო პროგრამების შედგენისას გაითვალისწინოს მსჯავრდებულის ტრავმა და გენდერ-სპეციფიკური საჭიროებები.

ფსიქიკური ჯანმრთელობის მომწესრიგებელი ეროვნული კანონმდებლობა პრინციპების დონეზე თანხვედრაშია საერთაშორისო სტანდარტებთან, თუმცა, იგი არ არის გენდერულად სენსიტიური და სათანადოდ არ ითვალისწინებს ქალთა საჭიროებებს.

---

84 ,,ბანგკოკის წესები“, წესი 15, http://www.un.org/en/ecosoc/docs/2010/res%202010-16.pdf

85 ევროპის საბჭოს ,,ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ კონვენცია (სტამბოლის კონვენცია), მე-12 მუხლი https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678

86 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის #161 ბრძანება, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2641522

87 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის #161 ბრძანება, მე-2 მუხლი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2641522,

88 იქვე, მე-4 მუხლი

89 იქვე, მე-8 მუხლი

90 ,,ბანგკოკის წესები“, წესი 12, http://www.un.org/en/ecosoc/docs/2010/res%202010-16.pdf

პატიმრობის კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, მსჯავრდებულს, რომელსაც აღენიშნება ფსიქიკური აშლილობის ნიშნები და სასჯელაღსრულების სამინისტროს ფსიქიატრიული კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს არანებაყოფლობითი, სტაციონარული, ფსიქიატრიული დახმარების გაწევას. დაწესებულების დირექტორი სამინისტროს ფსიქიატრიული კომისიის დასკვნის საფუძველზე მიმართავს უფლებამოსილ საექსპერტო დაწესებულებას სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნით.[91] ანალოგიურ დებულებებს ითვალისწინებს ქალთა N5 პენიტენციური დაწესებულების დებულებაც[92].

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2010 წლის 11 ნოემბრის N157 ბრძანებით დამტკიცებული ფსიქიატრიული კომისიის დებულება მხოლოდ კომისიის საქმიანობის პრინციპებს და კომპეტენციას აწესრიგებს[93]. სხვა არც ერთი აქტი არ აწესრიგებს პენიტენციურ სისტემაში ფსიქიკური დახმარების გაწევის საკითხებს.

## ვადაზე ადრე გათავისუფლება და სასჯელის გადავადება ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო

,,ბანგკოკის წესების“ 61-ე წესი ითვალისწინებს, რომ ქალი დამნაშავეების გასამართლების დროს, სასამართლოს უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება განიხილოს შემამსუბუქებელი ფაქტორები, როგორიცაა ნასამართლობის არ ქონა, დანაშაულის ხასიათი და შედარებით ნაკლები სიმძიმე, ქალის, მოვლა-მზრუნველობითი პასუხისმგებლობა და დამახასიათებელი წარსული გამოცდილება[94]. დამატებით 64-ე წესი ადგენს, რომ ორსულ ქალებთან და იმ ქალებთან მიმართებაში, რომელთაც ჰყავთ მათზე დამოკიდებული ბავშვები, უპირატესობა უნდა მიენიჭოს არასაპატიმრო სასჯელების გამოყენებას. საპატიმრო სასჯელები გამოყენებულ უნდა იქნას მძიმე ან ძალადობრივი დანაშაულის დროს ან როდესაც ქალი წარმოადგენს განგრძობით საფრთხეს და ისიც მხოლოდ ბავშვის ან ბავშვების ჭეშმარიტი ინტერესების გათვალისწინებით და ასეთი ბავშვების შესაბამისი ზრუნვის უზრუნველყოფით[95].

,,ბანგკოკის წესების“ 63-ე წესი განსაზღვრავს, რომ პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების დროს ქალი პატიმრის სასარგებლოდ უნდა იქნას გათვალისწინებული მისი მოვლა-მზრუნველობითი პასუხისმგებლობა ისევე, როგორც მისი სპეციფიკური სოციალური რეინტეგრაციის საჭიროებები.[96]

,,ბანგკოკის წესები“ სახელმწიფოს ავალდებულებს, ქალი პატიმრის ვადაზე ადრე გათავისუფლებისას, გაითვალისწინოს ქალის გენდერული როლი, მისი ინდივიდუალური ისტორია და მახასიათებლები.

საქართველოს პატიმრობის კოდექსის 37-ე მუხლისა და სისხლის სამართლის კოდექსის 74-ე მუხლის თანახმად ,,საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისია უფლებამოსილია სასჯელის შემდგომი მოხდისგან გაათავისუფლოს პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებული“[97].

საქართველოს პატიმრობის კოდექსის 39-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ ავადმყოფობის გამო სასჯელის შემდგომი მოხდისგან შეიძლება მსჯავრდებული გაათავისუფლოს როგორც ერთობლივმა კომისიამ, ისე სასამართლომ[98]. პატიმრობის კოდექსის ამავე მუხლის თანახმად, საქმის განხილვისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს სასჯელის სახით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის აღსრულების მიზანშეწონილობა, მსჯავრდებულის პიროვნული თვისებები, მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, დანაშაულის ხასიათი, მოტივი, მიზანი, დამდგარი შედეგი, დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკი, მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისას გამოვლენილი ქცევა და სხვა გარემოებები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს სასამართლოს გადაწყვეტილებაზე.

ერთობლივი კომისიის უფლებამოსილებებს აწესრიგებს ,,საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი კომისიის შექმნის შესახებ 2006 წლის 7 სექტემბრის N714-241/ნ ბრძანება[99]. ბრძანების მე-2 მუხლის თანახმად კომისიის ფუნქცია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამკურნალო დაწესებულებებში მყოფ მძიმე და განუკურნებელი სენით დაავადებულ მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლა და

91 საქართველოს პატიმრობის კოდექსის 122-ე მუხლი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/91612

92 სასჯელაღრულებისადაპრობაციისმინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს ბრძანება N116, 59-ე მუხლი, http://www.moc.gov.ge/images/temp/2017/07/04/60390ee0d6fc6b0cc2e2464a720c31ef.pdf

93 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2010 წლის 11 ნოემბრის ბრძანება #157, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1092001

94 ,,ბანგკოკის წესები“, წესი 61, http://www.un.org/en/ecosoc/docs/2010/res%202010-16.pdf

95 იქვე, წესი 64

96 იქვე, წესი 63

97 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 74-ე მუხლი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426 ; საქართველოს პატიმრობის კოდექსის 37-ე მუხლი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/91612

98 საქართველოს პატიმრობის კოდექსის 39-ე მუხლი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/91612

99 იუსტიციის სამინისტროს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი კომისიის შექმნის შესახებ 2006 წლის 7 სექტემბრის #714-241/ნ ბრძანება, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1121299

ავადმყოფობის გამო სასჯელისგან გათავისუფლების შესახებ სასამართლოში წარსადგენად სათანადო დასკვნის მომზადება წარმოადგენს[100].

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 თებერვლის N01-6/ნ ბრძანებით დამტკიცებულია იმ მძიმე და განუკურნებელ დაავადებათა ჩამონათვალი, რომლებიც მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან გასათავისუფლებლად წარდგენის საფუძველია[101]. ბრძანებით განსაზღვრულ ამ კატეგორიის დაავადებებს განეკუთვნება: ტუბერკულოზი, ავთვისებიანი სიმსივნეები, სხივური დაავადება, ენდოკრინული სისტემის დაავადებები, ფსიქიკური აშლილობები, ნერვული სისტემის დაავადებები, მხედველობის მოშლა და სიბრმავე, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები, სასუნთქი გზების დაავადებები, საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები, თირკმლების დაავადებები, ძვალ-სახსროვანი სისტემისა და შემაერთებელი ქსოვილის დაავადებები, ანატომიური დეფექტები, აივ/შიდსი.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 283-ე მუხლი ითვალისწინებს განაჩენის აღსრულების გადავადებას მსჯავრდებულის მძიმე ავადმყოფობის გამო, ან იმ შემთხვევაში, თუ განაჩენის აღსრულების მომენტისთვის მსჯავრდებული ორსულადაა - მშობიარობის შემდეგ 1 წლამდე[102].

საქართველოს ეროვნული კანონმდებლობა პრინციპების დონეზე თანხვედრაშია საერთაშორისო სტანდარტებთან, თუმცა, კანონმდებლობის დონეზე მაინც ნაკლებად ხდება ქალი პატიმრის გათავისუფლებისას მისი ისტორიის და ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინება. საქართველოს კანონმდებლობა არ ავლენს სენსიტიურობას ვადაზე ადრე გათავისუფლებისას, ისეთი მნიშვნელოვანი გარემოებების გაწერისას, როგორიცაა, ქალის მიერ გადატანილი ძალადობა, სტიგმა და დისკრიმინაცია. საქართველოს კანონმდებლობა მსჯავრდებულის ვადაზე ადრე გათავისუფლებისას, ძირითადად აქცენტს აკეთებს ჩადენილი დანაშაულის ირგვლივ და არ ითვალისწინებს მსჯავრდებულის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას, განცდილ ძალადობას და სხვა გენდერ-სპეციფიკურ მახასიათებლებს.

# 7. ძალადობის მსხვერპლთათვის გასაჩივრების მექანიზმებზე წვდომა

,,ბანგკოკის წესების“ 25-ე წესის თანახმად, ის პატიმარი ქალები, რომლებიც განაცხადებენ გადატანილი ძალადობის ფაქტის შესახებ, უზრუნველყოფილ უნდა იქნენ მყისიერი დაცვით, მხარდაჭერითა და რჩევით. მათი სარჩელი უნდა იქნეს გამოძიებული კომპეტენტური და დამოუკიდებელი ორგანოების მიერ, კონფიდენციალობის პრინციპის სრული დაცვით.[103]

ევროპის საბჭოს ,,ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ კონვენცია (სტამბოლის კონვენცია)[104] სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, კანონმდებლობისა და პრაქტიკის დონეზე შექმნას გასაჩივრებისა და დაცვის მექანიზმები ძალადობის მსხვერპლი ქალების უფლებების დასაცავად[105]. კონვენციის 21-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ მსხვერპლს გააჩნდეს ინფორმაცია და ხელი მიუწვდებოდეს რეგიონული და საერთაშორისო ინდივიდუალური/კოლექტიური საჩივრების მოქმედ მექანიზმებზე. მხარეებმა ხელი უნდა შეუწყონ მსხვერპლისადმი მგრძნობიარე და კვალიფიციური დახმარების აღმოჩენას ასეთი საჩივრის წარდგენის პროცესში.[106]

სტამბოლის კონვენციის სტანდარტს წარმოადგენს ის, რომ ძალადობისგან დაცვის მექანიზმები უნდა ეფუძნებოდეს: ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის გენდერულ გაგებას; კომპლექსურ მიდგომას, რომელიც ითვალისწინებს მსხვერპლთა, ძალადობის აქტების ჩამდენ პირებს, ბავშვებსა და ფართო სოციალურ გარემოს შორის ურთიერთობას; მიზნად ისახავდეს მეორადი ძალადობის თავიდან აცილებას; ითვალისწინებდეს მოწყვლადი პირების, მათ შორის, მსხვერპლი ბავშვების კონკრეტულ საჭიროებებს და ხელმისაწვდომი იყოს მათთვის[107].

ქალ მსჯავრდებულთა ძალადობისგან დაცვისა და გასაჩივრების მექანიზმების შიდა საკანონმდებლო რეგლამენტაცია არ არის გენდერ-სენსიტიური და არ ითვალისწინებს კომპლექსურ მიდგომას მსხვერპლი ქალების უფლებების ეფექტიანად დაცვის კუთხით.

მოთხოვნისა და საჩივრის განხილვის პროცედურებს აწესრიგებს საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-16 თავი[108]. იგი განსაზღვრავს საჩივრის შეტანის ზოგად უფლებას, წესსა და განხილვის პროცედურას,

100 იქვე, მე-2 მუხლი https://matsne.gov.ge/ka/document/view/1121299

101 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 თებერვლის #01-6/ნ ბრძანება, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1846491

102 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 283-ე მუხლი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034

103 ,,ბანგკოკის წესები“, წესი 25, http://www.un.org/en/ecosoc/docs/2010/res%202010-16.pdf

104 ევროპის საბჭოს ,,ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ კონვენცია (სტამბოლის კონვენცია), მე-12 მუხლიhttps://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678

105 იქვე, მე-18, 29-ე, 45-ე, 49-ე-58-ე მუხლები.

106 იქვე, 21-ე მუხლი

107 იქვე, მე-18 მუხლი

108 საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-16 თავი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/91612

რომელიც არ ეფუძნება ქალთა და ოჯახში ძალადობის გენდერულ გაგებას და არ არის სენსიტიური ქალთა გენდერ-სპეციფიკური საჭიროებებისადმი. გასაჩივრების იდენტური, გენდერულად ნეიტრალური მექანიზმებია გათვალისწინებული N5 პენიტენციური დაწესებულების დებულებაშიც[109].

## ძალადობის მსხვერპლთათვის უფლებების განმარტება (ვიქტიმიზაციის ისტორია)

,,ბანგკოკის წესების" მე-7 წესი განსაზღვრავს, რომ თუ გამოვლინდება, რომ პატიმრობამდე ან პატიმრობის დროს ადგილი ჰქონდა სექსუალურ ან სხვა სახის ძალადობას, ქალ პატიმარს უნდა ეცნობოს მისი უფლებების შესახებ, რათა მან დახმარებისათვის სასამართლო ორგანოებს მიმართოს. ქალი პატიმარი სრულად უნდა იქნას ინფორმირებული შესაბამისი პროცედურებისა და ეტაპების შესახებ. თუ პატიმარი ქალი თანახმაა სამართლებრივი ქმედების დასაწყებად, ეს უნდა ეცნობოს შესაბამის პერსონალს, რომელმაც დაუყოვნებლივ უნდა გადაამისამართოს საქმე კომპეტენტურ საგამოძიებო ორგანოებში. ციხის ადმინისტრაცია უნდა დაეხმაროს ასეთ ქალებს მიიღონ სამართლებრივი დახმარება. მე-7 წესის მეორე ნაწილის თანახმად, მიუხედავად იმისა, გადაწყვეტს თუ არა ქალი დაიწყოს სამართლებრივი ქმედება, ციხის ადმინისტრაციამ ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა უზრუნველყოს დაუყოვნებლივი სპეციალიზებული ფსიქოლოგიური მხარდაჭერა და კონსულტაცია. მე-7 წესის მესამე ნაწილი ადგენს, რომ კონკრეტული ღონისძიებები უნდა შემუშავდეს, რათა თავიდან იქნას აცილებული შურისძიების ნებისმიერი ფორმა მათ წინააღმდეგ, ვინც განაცხადებს ძალადობის ფაქტის შესახებ ან დაიწყებს სამართლებრივ ქმედებას[110].

,,ბანგკოკის წესების" 31-ე წესის თანახმად, სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს მკაფიო პოლიტიკა და რეგულაციები ციხის თანამშრომლების ქცევასთან დაკავშირებით, რომლის მიზანი უნდა იყოს ქალი პატიმრების გენდერულ საფუძვლებზე ფიზიკური და სიტყვიერი ძალადობისაგან, შეურაცხყოფისა და სექსუალური ძალადობისგან მაქსიმალურად დაცვა[111].

ევროპის საბჭოს ,,ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ" კონვენცია (სტამბოლის კონვენცია) სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, მიიღოს ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომა იმის უზრუნველსაყოფად, რომ მსხვერპლი იღებდეს ადეკვატურ და დროულ ინფორმაციას არსებული მხარდაჭერის სამსახურებისა და სამართლებრივი ზომების შესახებ მათთვის გასაგებ ენაზე[112]. კონვენციის მე-20 მუხლი განსაზღვრავს, რომ მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ მსხვერპლს ხელი მიუწვდებოდეს ისეთ სამსახურებზე, რომელიც დაეხმარება მას ძალადობის აქტების შემდეგ ძალების აღდგენაში. ამ ზომებში უნდა შედიოდეს, აუცილებლობის შემთხვევაში, ისეთი მომსახურება, როგორიცაა იურიდიული და ფსიქოლოგიური კონსულტაციები და სხვა.[113]

მსჯავრდებულებისთვის უფლებების განმარტების საკითხს აწესრიგებს საქართველოს პატიმრობის კოდექსის 97-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, პენიტენციურ დაწესებულებაში მოხვედრილ მსჯავრდებულს პასუხისმგებელმა პირმა დაუყოვნებლივ უნდა მისცეს საშუალება, გაეცნოს წერილობით ინფორმაციას თავისი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, მათ შორის, საჩივრის შეტანის უფლებისა და გასაჩივრების კანონით დადგენილი წესის შესახებ.[114] ეს წესი საერთოა ყველა პენიტენციური დაწესებულებისთვის.

## ძალადობის მსხვერპლი ორსული ქალები, მეძუძური დედები და ბავშვიანი ქალები

პენიტენციურ დაწესებულებაში განსაკუთრებით მოწყვლად კატეგორიას წარმოადგენენ ორსული ქალები, მეძუძური დედები და მცირეწლოვანი ბავშვის დედები. ,,ბანგკოკის წესები" მათ სპეციალური კატეგორიის პატიმრებად მოიხსენიებს[115]. ამ კატეგორიის პატიმრების მიღებისას, შესწავლილ უნდა იქნას არსებითი ინფორმაცია ქალის წარსული ცხოვრების შესახებ, როგორიცაა ინფორმაცია განცდილი ძალადობის შესახებ, ასევე ინფორმაცია მშობლის ან სხვა მოვლა-მზრუნველობით პასუხისმგებლობაზე[116]. ორსული ქალების, მეძუძური დედების და ბავშვიანი ქალების სასჯელის გეგმა უნდა შეიცავდეს სპეციფიკურ სარეაბილიტაციო პროგრამებს და მათ გენდერულად სპეციფიკურ საჭიროებებთან შესაბამის სერვისებს[117].

109 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის #161 ბრძანება, 65-77 მუხლები, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2641522

110 ,,ბანგკოკის წესები", წესი 7, http://www.un.org/en/ecosoc/docs/2010/res%202010-16.pdf

111 იქვე, წესი 31.

112 ევროპის საბჭოს ,,ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ" კონვენცია (სტამბოლის კონვენცია), მე-19 მუხლი https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678

113 იქვე, მე-20 მუხლი.

114 საქართველოს პატიმრობის კოდექსის 97-ე მუხლი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/91612

115,,ბანგკოკის წესები", მეორე თავი, http://www.un.org/en/ecosoc/docs/2010/res%202010-16.pdf

116 იქვე, წესი 41

117 იქვე, წესი 41

პენიტენციურ სისტემაში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებისას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მათ მოწყვლადობას და ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას. განსაკუთრებით, მოწყვლად კატეგორიას წარმოადგენენ ის ორსული და ბავშვიანი ქალები, რომლებმაც გადაიტანეს ძალადობა, სტიგმა და დისკრიმინაცია. მათ სპეციალური სარეაბილიტაციო ღონისძიებები უნდა შეეთავაზოთ.

,,ნელსონ მანდელას წესები" ადგენს, რომ ,,ქალთა საპატიმრო დაწესებულებებში უნდა იყოს ცალკე სადგომები ორსული ქალების მოსავლელად[118]."

,,ბანგკოკის წესების" 48-ე მუხლის თანახმად, ორსულმა და მეძუძურმა ქალმა პატიმრებმა, კვალიფიციური პრაქტიკოსი ექიმების მიერ შექმნილი და მათივე ზედამხედველობით განხორციელებული პროგრამის ფარგლებში, უნდა მიიღონ რჩევა საკუთარ ჯანმრთელობასა და კვებაზე. ორსული ქალების, ჩვილი ბავშვების, ბავშვიანი და მეძუძური დედებისთვის უფასოდ უნდა იქნას უზრუნველყოფილი დროული და შესაფერისი საკვები, ჯანმრთელი გარემო და რეგულარული ვარჯიშის შესაძლებლობა[119].

,,ბანგკოკის წესების" 51-ე წესი განსაზღვრავს, რომ ციხეში დედასთან ერთად მცხოვრები ბავშვებისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს ჯანდაცვის მიმდინარე სერვისები და მათ განვითარებას თვალყური უნდა ადევნონ სპეციალისტებმა, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამსახურებთან თანამშრომლობით. ამ ბავშვების აღზრდისთვის შექმნილი გარემო მაქსიმალურად უნდა იქნას მიახლოებული ციხის გარეთ მყოფი ბავშვის გარემოსთან.[120] ამ რეგულაციებში იგულისხმება არა მარტო საცხოვრებელი პირობები, არამედ ბავშვთა კვება, სამედიცინო მომსახურება და სხვა.

,,ბანგკოკის წესები" ადგენს, რომ იმის თაობაზე გადაწყვეტილებას, თუ როდის შეიძლება ბავშვისა და დედის დაშორება, უნდა იქნას მიღებული ინდივიდუალურ შეფასებაზე დაყრდნობით და ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების გათვალისწინებით, შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში. ბავშვის ციხიდან გაყვანა უნდა განხორციელდეს დიდი სიფრთხილითა და მგრძნობელობით, მხოლოდ მზრუნველობის ალტერნატივის იდენტიფიცრების შემდეგ. ბავშვისა და დედის დაშორების და მის ოჯახთან ან ნათესავთან დაბინავების ან სხვა ალტერნატიული მზრუნველობის უზრუნველყოფის შემდეგ, პატიმარ ქალებს უნდა მიეცეთ მაქსიმალურად ბევრი საშუალება და შესაძლებლობა შეხვდნენ საკუთარ ბავშვებს, მაშინ, როცა ეს ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებში იქნება[121].

ბავშვის განცალკევებისას არ უნდა იქნას გამოყენებული მხოლოდ ფორმალური წესები, რომლებიც შესაბამისი ასაკის მიღწევის შემდეგ ავტომატურად იმოქმედებს. ამ შემთხვევაში, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობა და განვითარების დონე. ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ქალ პატიმრებს უნდა მიეცეთ მეურვის მოძიების შესაძლებლობა.

,,ბანგკოკის წესები" სახელმწიფოს პენიტენციურ დაწესებულებაში დედასთან ერთად მყოფი ბავშვების საუკეთესო ინტერესების დაცვას ავალდებულებს.

,,ბავშვის უფლებების შესახებ" გაერთიანებული ერების კონვენცია, სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, რათა ბავშვმა ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ყველაზე სრულყოფილი მომსახურებით, დაავადებების მკურნალობის და ჯანმრთელობის აღდგენის საშუალებებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ეკისრება შემდეგი სახის ვალდებულებები: ყველა ბავშვი უზრუნველყონ საჭირო სამედიცინო დახმარებით, ებრძოლონ დაავადებებს და საკვების ნაკლებობას, დედებს სათანადო მომსახურება გაუწიონ ჯანმრთელობის დასაცავად მშობიარობამდე და მშობიარობის შემდგომ პერიოდებში.[122]

,,სტამბოლის კონვენცია" სახელმწიფოს ავალდებულებს, მიიღოს ყველა საკანონმდებლო ან სხვა ზომა იმ ბავშვების საჭიროების გამოსავლენად და დასაცავად, ვინც იზრდებოდა ან შემსწრე იყო ძალადობრივ გარემოში. ეს ზომები მოიცავს შესაფერის ასაკობრივ ჯგუფზე ორიენტირებულ ფსიქო-სოციალურ კონსულტაციებს და სარეაბილიტაციო ღონისძიებებს.[123]

რადგან პენიტენციურ დაწესებულებაში ბავშვების აღზრდისთვის შექმნილი გარემო მაქსიმალურად უნდა იქნას მიახლოებული ციხის გარეთ მყოფი ბავშვის გარემოსთან, სახელმწიფომ უნდა გაატაროს შესაბამისი ზომები პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი ბავშვების საუკეთესო ინტერესების დასაცავად.

საქართველოს ეროვნული კანონმდებლობა პრინციპების დონეზე შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან. კანონმდებლობა არ არის საკმარისად სენსიტიური ძალადობის მსხვერპლ ქალ მსჯავრდებულთა და ბავშვთა საჭიროებების განსაზღვრისა და მათთვის სარეაბილიტაციო პროგრამების შეთავაზების კუთხით.

N5 პენიტენციური დაწესებულების დებულების მე-13 მუხლით, პენიტენციურ დაწესებულებაში გათვალისწინებულია დედათა და ბავშვთა სახლის არსებობა[124]. აღნიშნული მუხლის თანახმად,

118 ,,ნელსონ მანდელას წესები", წესი 52. https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/GA-RESOLUTION/E_ebook.pdf

119 იქვე, წესი 48

120 იქვე, წესი 51

121 იქვე, წესი 52

122 ,,ბავშვის უფლებების შესახებ" კონვენცია, 24-ე მუხლი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901

123 ევროპის საბჭოს ,,ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ" კონვენცია (სტამბოლის კონვენცია), 26-ე მუხლი https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678

124 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის #161 ბრძანება, მე-13 მუხლი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2641522

ორსული ქალებისა და მეძუძური დედებისათვის სხვა მსჯავრდებულებთან შედარებით გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო და კვების პირობების შექმნის მიზნით მოწყობილია დედათა და ბავშვთა სახლი, სადაც დედის შუამდგომლობით, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების ნებართვითა და დაწესებულების თანხმობით, განთავსებულნი არიან დედები 3 წლამდე ბავშვებთან ერთად. დაწესებულება ვალდებულია იზრუნოს მსჯავრდებულ დედასთან მცხოვრებ ბავშვებზე, უპირატესად დაიცვას მათი ინტერესები და შეუქმნას მათ საუკეთესო პირობები. 3 წლის მიღწევის შემდეგ ბავშვი ტოვებს დაწესებულებას.

ბავშვის მიერ დაწესებულების დატოვების წესი განისაზღვრება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 31 აგვისტოს ერთობლივი N105 - N01 – 57/ნ ბრძანებით[125]. ბრძანების თანახმად, ბავშვის მიერ 3 წლის მიღწევის გამო, დაწესებულების დატოვების ორგანიზებას უზრუნველყოფს პენიტენციური დაწესებულების სოციალური განყოფილება. ბრძანება ითვალისწინებს პენიტენციური დაწესებულების ვალდებულებას ბავშვის გაყვანასთან და გაყვანის შემდეგ ბავშვის ადგილსამყოფელის განსაზღვრასთან დაკავშირებით. ბრძანებით განსაზღვრული არ არის ბავშვის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის შესწავლა და რისკების შეფასება დაწესებულებიდან მის გაყვანამდე. ბრძანება ითვალისწინებს მხოლოდ ბავშვის გაყვანის შემდეგ მსჯავრდებული დედის ფსიქოლოგიურ დახმარებას და მის სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართვას[126]. ბრძანებით არ არის განსაზღვრული დედისა და ბავშვის დაშორების რისკების და მიზანშეწონილობის შეფასება ბავშვის დაწესებულებიდან გაყვანამდე.

2017 წელს, საქართველოს პატიმრობის კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც, ქალ მსჯავრდებულს, რომლის 3 წელს მიღწეულმა შვილმა დატოვა ქალთა სპეციალური დაწესებულება, უფლება აქვს, დეპარტამენტის დირექტორის გადაწყვეტილებით, შვილთან ურთიერთობის მიზნით, ბავშვის მიერ დაწესებულების დატოვებიდან 1 წლის განმავლობაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ უქმე დღეებში დატოვოს დაწესებულება. გადაწყვეტილების მიღებისას, გათვალისწინება ხდება ქალი მსჯავრდებულისაგან მომდინარე საზოგადოებრივი საშიშროების, მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტი, დანაშაულის ხასიათი, მოტივი, მიზანი, დამდგარი შედეგი, დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკი, სასჯელის მოხდისას გამოვლენილი ქცევა, ქალი მსჯავრდებულის პიროვნული თვისებები და სხვა[127]. ამ კუთხით, კანონმდებლობა ნაკლებ აქცენტს აკეთებს ქალის საჭიროებებზე და საკითხის გადაწყვეტისას ძირითადად საზოგადოებრივი უსაფრთხოების საფუძველს ეყრდნობა.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2017 წლის 31 აგვისტოს N101 ბრძანება მსჯავრდებულის მიერ პენიტენციური დაწესებულების დატოვების წესს განსაზღვრავს[128]. ბრძანების მე-8 მუხლის თანახმად, ორსულ ქალს და 3 წლამდე ბავშვის დედას უფლება აქვს წელიწადში სამჯერ ისარგებლოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით[129].

# 8. გარდამავალი მენეჯმენტის მნიშვნელობა ძალადობის მსხვერპლი ქალი მსჯავრდებულების რეაბილიტაციისთვის

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია 2006(2) წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით („ციხის ევროპული წესები“) განმარტავს, რომ მსჯავრდებულის სარეაბილიტაციო პროცესის ორგანიზება უნდა იყოს აგებული სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შემუშავებაზე და იგი უნდა ითვალისწინებდეს მსჯავრდებულის დასაქმებას, განათლებას და მსჯავრდებულის განთავისუფლებისათვის მომზადების პროცესს[130]. ამავე დოკუმენტის 107-ე წესი ადგენს, რომ პატიმრობის დასაწყისიდანვე საჭიროა იმ პერიოდზე ფიქრი, რომელიც ელის პატიმარს ციხიდან გამოსვლის შემდეგ. ამიტომ, მას უნდა გაეწიოს დახმარება იმ პირებთან და უწყებებთან ურთიერთობის შენარჩუნებასა და გამყარებაში, რომლებიც, ციხის გარეთ არიან და რომლებსაც შეუძლიათ დაიცვან მისი ოჯახის ინტერესები და ხელი შეუწყონ მის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვას განთავისუფლების შემდეგ[131].

მსჯავრდებულის განთავისუფლებისათვის მომზადება სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვისას, გათვალისწინებული უნდა იქნას ქალი

125 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობეციის მინისტრის და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 31 აგვისტოს ერთობლივი #105 - #01 – 57/ნ ბრძანება, https://matsne.gov.ge/ka/document/view/3791137

126საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობეციის მინისტრის და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 31 აგვისტოს ერთობლივი #105 - #01 – 57/ნ ბრძანება, მე-11 მუხლი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/3791137

127 საქართველოს პატიმრობის კოდექსის 72-ე მუხლი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/91612

128 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2017 წლის 31 აგვისტოს #101 ბრძანება მსჯავრდებულის მიერ პენიტენციური დაწესებულების დროებით დატოვების წესის შესახებ; https://matsne.gov.ge/ka/document/view/3785979

129 იქვე, მე-8 მუხლი

130 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია 2006(2) წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (ციხის ევროპული წესები), წესი 103.4 http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1225.pdf

131 იქვე, 107-ე წესი

პატიმრების მოწყვლადობა და მათი გენდერ- სპეციფიკური საჭიროებები. განსაკუთრებით, მოწყვლად კატეგორიას წარმოადგენენ ქალები, რომლებმაც განიცადეს ძალადობა, სტიგმა და დისკრიმინაცია.

,,ბანგკოკის წესების“ თანახმად, ციხის ადმინისტრაციამ უნდა შეიმუშაოს და უზრუნველყოს პატიმრების ინდივიდუალიზებული რეაბილიტაციის და საზოგადოებაში რეინტეგრაციის ღონისძიებები[132].

,,ბანგკოკის წესები“ განმარტავს, რომ სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვისას, გათვალისწინებულ უნდა იქნას ქალის მიერ განცდილი ძალადობის ისტორია და გენდერ- სპეციფიკური საჭიროებები[133].

სასჯელის ინდივიდუალურ დაგეგმვასა და პატიმრის განთავისუფლებისადმი მომზადებას საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს.

საქართველოს პატიმრობის კოდექსის პირველი მუხლის თანახმად, საქართველოში პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულება ხორციელდება კანონიერების, ჰუმანიზმის, დემოკრატიულობის, კანონის წინაშე თანასწორობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპებზე დაყრდნობით[134].

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N33 ბრძანებით, დამტკიცდა სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ინსტრუქცია[135]. იგი განსაზღვრავს მსჯავრდებულებთან მუშაობის პროცესს სასჯელის მოხდის პერიოდში, რომლის მიზანია დანაშაულის განმეორებით ჩადენასთან დაკავშირებული ინდივიდუალური რისკისა და საჭიროების შეფასება, პენიტენციურ დაწესებულებაში მსჯავრდებულისთვის საჭირო ჯანსაღი გარემოს შექმნა და შესაბამის სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართვა[136].

სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის მიზნით პენიტენციური დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დაწესებულებაში იქმნება მულტიდისციპლინური გუნდი. მის შემადგენლობაში შედიან: სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების მოსამსახურე და ექიმი. ჯგუფის საქმიანობას ხელმძღვანელობს სოციალური მუშაკი[137].

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N33 ბრძანება სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის განსაზღვრისას, ძირითადად ორიენტირებულია მსჯავრდებულის რისკის შეფასებაზე და არ ითვალისწინებს პატიმართა გენდერ სპეციფიკურ საჭიროებებს, მათ მოწყვლადობას და ვიქტიმიზაციის ისტორიას.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 3 ივლისის N68 ბრძანებით დამტკიცდა წესი ,,მსჯავრდებულის გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დეპარტამენტსა და სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს შორის კოორდინირებული საქმიანობის შესახებ“[138]. აღნიშნული წესის თანახმად, პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისთვის ან/და დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლისთვის კანონით დადგენილი ვადის ფაქტობრივად მოხდამდე 3 თვით ადრე წერილობით მიმართოს პრობაციის ეროვნულ სააგენტოს, დაწესებულების გარეთ მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკებისა და საჭიროებების შეფასების თაობაზე[139]. მსჯავრდებულის ოჯახის შეფასების პროცესში სოციალური მუშაკი ძირითად აქცენტს აკეთებს შემდეგ საკითხებზე: ოჯახის სოციალური გარემოს მზაობა მსჯავრდებულის დაბრუნების მიმართ, ოჯახის წევრთა დამოკიდებულება მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის მიმართ, გათავისუფლების შემდეგ მსჯავრდებულის თავშესაფრის არსებობა, მსჯავრდებულზე დამოკიდებული პირების საჭიროებები, გათავისუფლების შემდეგ მსჯავრდებულის ან/და მისი ოჯახის წევრების სავარაუდო შემოსავლის წყარო, სარეაბილიტაციო მომსახურების რესურსები და მათი ხელმისაწვდომობა გათავისუფლების შემდეგ.

ბრძანება N68 არ ითვალისწინებს ქალი მსჯავრდებულების გენდერსპეციფიურ საჭიროებებს, ასევე, ბრძანებით არ არის დარეგულირებული მსჯავრდებულის მიმართ განხორციელებული ძალადობის და ვიქტიმიზაციის ისტორიის შესწავლის ვალდებულება და ძალადობის მსხვერპლთათვის შესაბამისი სარეაბილიტაციო პროგრამების უზრუნველყოფა.

---

132 ,,ბანგკოკის წესები“, მე-40 წესი, http://www.un.org/en/ecosoc/docs/2010/res%202010-16.pdf

133 იქვე, 41-ე წესი

134 პატიმრობის კოდექსი, პირველი მუხლი, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/91612

135 სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის #29 აპრილის #33 ბრძანება სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2819442

136 სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის #29 აპრილის ბრძანება სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ, მე-3 მუხლი, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2819442

137 იქვე, მე-3 მუხლი.

138 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 3 ივლისის #68 ბრძანება, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2849516

139 იქვე, ბრძანების მე-2 მუხლი.

# ძალადობის, სტიგმისა და დისკრიმინაციის მსხვერპლი პრობაციონერი ქალები

პრობაციონერი ქალების უფლებრივი მდგომარეობის შესასწავლად, მნიშვნელოვანია, გაანალიზდეს საერთაშორისო სტანდარტები და ეროვნული კანონმდებლობა, მათი ურთიერთმიმართების და თანხვედრის საკითხი. ასევე, კანონმდებლობის სენსიტიურობა იმ ქალი პრობაციონერების საჭიროებების განსაზღვრის კუთხით, რომლებმაც განიცადეს ძალადობა, სტიგმა და დისკრიმინაცია.

,,ბანგკოკის წესები“[140] არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების შესახებ წარმოადგენს ,,გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები არასაპატიმრო ღონისძიებათა გამოყენების შესახებ“(ტოკიოს წესები)[141] დოკუმენტის დანართს. ,,ბანგკოკის წესები“ ახდენს ,,ტოკიოს წესების“ ინტერპრეტაციას გენდერული პერსპექტივიდან გამომდინარე.

,,ბანგკოკის წესების“ ანალიზიდან ირკვევა, რომ დანაშაულის ჩამდენ ქალთა მნიშვნელოვანი ნაწილი არ წარმოადგენს რისკს საზოგადოებისთვის და მათი პატიმრობა არა თუ ეხმარება, არამედ ხელს უშლის მათ სოციალურ რეინტეგრაციას. ბევრი მათგანი ციხეში მრავალგზის დისკრიმინაციის და უარყოფის მიზეზით მოხვდა, რომელსაც ქმრებისა თუ პარტნიორების, საკუთარი ოჯახებისა და საზოგადოებისგან აწყდებიან. აქედან გამომდინარე აუცილებელია, სისხლის სამართლის სისტემაში დამნაშავე ქალთა მიმართ სამართლიანი მოპყრობა, მათი წარსულისა და დანაშაულის ჩადენის მიზეზების გათვალისწინებით, ისევე როგორც მზრუნველობის გაწევა, მათი დახმარება და საზოგადოებაში მკურნალობა, რაც ხელს შეუწყობს მათი სისხლის სამართლებრივი ქმედებების მამოძრავებელი ფაქტორების აღმოფხვრას. ისეთ შემთხვევებში, სადაც პატიმრობა არ არის აუცილებელი ან გამართლებული, მათთვის პატიმრობის აცილებით, შესაძლებელია, ბავშვების დაცვა დედის პატიმრობით გამოწვეული არასასურველი გავლენისგან[142].

,,ბანგკოკის წესები“ სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, არასაპატიმრო ღონისძიებების განსაზღვრისას, გაითვალისწინოს ქალი მსჯავრდებულების და მათი შვილების მოწყვლადობა, მათი გენდერ-სპეციფიკური საჭიროებები, ქალის წარსული ისტორია, გადატანილი ტრავმა და ბავშვის საუკეთესო ინტერესები. ამასთანავე, აუცილებელია, სახელმწიფომ კანონმდებლობის დონეზე შეიმუშავოს გენდერულად სპეციფიკური საშუალებები ქალი დამნაშავის ვიქტიმიზაციის ისტორიისა და მზრუნველობის პასუხისმგებლობის გათვალისწინებით[143].

,,ბანგკოკის წესები“ სახელმწიფოს ავალდებულებს, შექმნას პატიმრობის ალტერნატივები ქალი დამნაშავეებისთვის, იმისათვის, რომ მოხდეს არასაპატიმრო ღონისძიებების იმ ღონისძიებებთან კომბინირება, რომელიც მიმართულია იმ ზოგადი პრობლემების მოგვარებაზე, რომელიც უბიძგებს ქალებს კავშირი იქონიონ სისხლის სამართლის სისტემასთან. ეს შესაძლებელია მოიცავდეს თერაპიულ კურსებს და საკონსულტაციო მომსახურებას ოჯახური ძალადობისა და სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის, საგანმანათლებლო და სასწავლო პროგრამებს დასაქმების პერსპექტივების გასაუმჯობესებლად. მსგავსი პროგრამები უნდა უზრუნველყოფდნენ ქალთა და ბავშვთა მზრუნველობის საჭიროებებს.

,,ბანგკოკის წესები“ მიუთითებს ქალებზე მორგებული სერვისების დანერგვის საჭიროებაზე. ქალებზე მორგებული სერვისები შესაძლებლობას აძლევს ქალებს იყვნენ კაცების მხრიდან ძალადობისგან უსაფრთხო ადგილას და მიიღონ კონკრეტულად მათ საჭიროებებზე მორგებული სერვისები.

,,ბანგკოკის წესების“ თანახმად, პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების დროს ქალი პატიმრის სასარგებლოდ უნდა იქნას გათვალისწინებული მისი მზრუნველობაზე პასუხისმგებლობა, ისევე, როგორც სპეციფიკური სოციალურ რეინტეგრაციის საჭიროებები.

,,ბანგკოკის წესები“ განსაზღვრავს, რომ ორსული ქალებისთვის და ქალებისთვის, რომლებსაც ჰყავთ მათზე დამოკიდებული ბავშვები, უპირატესობა უნდა მიენიჭოს არასაპატიმრო სასჯელების გამოყენებას, როდესაც და რა შემთხვევაშიც ეს შესაძლებელია[144].

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია ,,პრობაციის წესების შესახებ“ პრობაციის წესებს და პრობაციონერთა რეაბილიტაცია/რესოციალიზაციის საკითხებს განსაზღვრავს.[145] რეკომენდაციის მთავარ პრინციპს წარმოადგენს ის, რომ პრობაციის ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ პრობაციონერებს საზოგადოებაში წარმატებულ სოციალურ ინტეგრაციაში. პრობაციის ორგანოებმა პოლიტიკის დაგეგმვისას, სრულად უნდა მიიღონ მხედველობაში მსჯავრდებულთა ინდივიდუალური მახასითებლები, გარემოებები და საჭიროებები, რათა უზრუნველყონ თითოეული პრობაციონერის საქმის სამართლიანად და კანონის დაცვით აღსრულება[146]. რეკომენდაცია განსაზღვრავს, რომ პრობაციის მიზანი უნდა იყოს,

140 ,,ბანგკოკის წესები“, 57-58 მუხლები http://www.un.org/en/ecosoc/docs/2010/res%202010-16.pdf
141 ,,ტოკიოს წესები“, http://pptc.ge/cms/site_images/pdf/publikaciebi/probation.pdf
142 ,,ბანგკოკის წესები“, 57-58 მუხლები, ბანგკოკის წესების კომენტარი, http://www.un.org/en/ecosoc/docs/2010/res%202010-16.pdf
143 ,,ბანგკოკის წესები“, 57-ე მუხლი,http://www.un.org/en/ecosoc/docs/2010/res%202010-16.pdf
144 ,,ბანგკოკის წესები,“ 63-ე მუხლი http://www.un.org/en/ecosoc/docs/2010/res%202010-16.pdf
145 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec (2010)1 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროსაბჭოს პრობაციის წესების შესახებ, http://pptc.ge/cms/site_images/pdf/publikaciebi/probation.pdf
146 იქვე, ძირითადი პრინციპების პირველი და მეოთხე ნაწილები, http://pptc.ge/cms/site_images/pdf/publikaciebi/probation.pdf

პრობაციონერის საჭიროებების დაკმაყოფილება, როგორიცაა, სამსახურის მოძებნა, ბინათმოწყობა, განათლება, რათა შემცირდეს დანაშაულის ხელახლა ჩადენისა და სერიოზული ზიანის მიყენების რისკი[147]. პრობაციონერთა გათავისუფლების შემდგომი თანადგომა და მათთვის გათავისუფლების შემდგომი, საჭიროებებზე დაფუძნებული სერვისების მიწოდება, მათდამი მულტიდისციპლინური მიდგომა ევროპის საბჭოს რეკომენდაციის ფუძემდებლურ პრინციპს წარმოადგენს[148].

ევროპის საბჭოს რეზოლუცია ,,პირობით მსჯავრდებულ ან/და პირობით გათავისუფლებულ პირთა ზედამხედველობისა და გათავისუფლების შემდგომი ზრუნვის ღონისძიებების პრაქტიკული ორგანიზების შესახებ“ ადგენს, რომ უნდა გატარდეს შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროფესიონალი, კვალიფიციური პერსონალის დაქირავება ეფექტური საპრობაციო მომსახურებისთვის[149].

პრობაციონერთა წარმატებული სოციალური რეაბილიტაცია არ არის დამოკიდებული მხოლოდ პენიტენციურ დაწესებულებასა და საზოგადოებაში არსებული სარეაბილიტაციო პროგრამების ეფექტურობაზე. რეაბილიტაციის პროცესზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა პრინციპებზე დაყრდნობით უნდა წარიმართოს სარეაბილიტაციო პროცესი. პრობაციონერთა რეაბილიტაციის პროცესის მომწესრიგებელი კანონმდებლობის ანალიზი იძლევა რეაბილიტაციის პროცესში არსებული სამართლებრივი ან ადმინისტრაციული ხასიათის დამაბრკოლებელი გარემოებების გამოვლენის შესაძლებლობას.

,,არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ კანონის თანახმად, პრობაციის ეროვნული სააგენტო უზრუნველყოფს პრობაციის პროგრამის განხორციელებას. მის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს მსჯავრდებულის რესოციალიზაცია, საზოგადოებაში ინტეგრაცია და რეაბილიტაცია. პრობაციის ეროვნული სააგენტო თავის მიზნებს ახორციელებს მსჯავრდებულის რისკისა და საჭიროების შეფასების საფუძველზე, სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური დაგეგმვით, მსჯავრდებულის აუცილებელი ზედამხედველობითა და კონტროლით, მისი რესოციალიზაცია და რეაბილიტაციისთვის ხელის შეწყობისა და დახმარებით[150]. მიზნების იმპლემენტაციის საფუძველს წარმოადგენს მსჯავრდებულის რისკებისა და საჭიროებათა ანალიზი, სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმების შემუშავება, ბენეფიციართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის ხელშეწყობა/დახმარება.

2015 წლის 5 ივნისიდან, პრობაციის ეროვნული სააგენტო საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N39 ბრძანების[151] საფუძველზე ახორციელებს პირობით მსჯავრდებულებისათვის სარეაბილიტაციო მომსახურების მიწოდებას. აღნიშნული მომსახურება გულისხმობს ბენეფიციარებთან როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ მუშაობას. რებილიტაციის პროცესში ჩართული სპეციალისტები მომსახურების მიწოდებისას ხელმძღვანელობენ სარეაბილიტაციო პროგრამების მოდულების საშუალებით, რომლებიც მიმართულია კონკრეტული პრობლემური საკითხის მოგვარებისკენ (მაგალითად, ბრაზის მართვის უნარების გაუმჯობესება, კონფლიქტების მართვისა და ასერტული უნარების გამომუშავება, ცხოვრებისეული ღირებულებების გააზრება, ცხოვრებისეული რისკების გააზრება და პიროვნული რესურსების მოძიება მათთან გასამკლავებლად, მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულებასთან გამკლავება და სხვა). ზიანის რისკისა და დანაშაულის განმეორების ალბათობის განსაზღვრას ახორციელებენ პრობაციის ოფიცერი, საჭიროებისამებრ, სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი. შეფასების განხორციელების შემდეგ, პრობაციონერთან დგება სასჯელის ინდივიდუალური გეგმა, რომელშიც აისახება რეაბილიტაციის პროგრამა. გეგმის თითოეულ პუნქტზე განისაზღვრება პასუხისმგებელი პირი. შესაბამისი სპეციალისტი აწვდის სარეაბილიტაციო მომსახურებას ბენეფიციარს, ახორციელებს მონიტორინგს, მხარდაჭერას. დამატებითი საჭიროებების შემთხვევაში ამისამართებს სხვადასხვა გარე სერვისებთან. მუშაობის ამგვარი მეთოდი ვრცელდება ყველა პრობაციონერზე, შესაბამისად, პრობაციის სისტემაში მოხვედრილი ქალი პრობაციონერები ჩართულნი არიან სარეაბილიტაციო პროცესში.

,,ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონი სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, შექმნას პირობები ძალადობის მსხვერპლის რეაბილიტაციისთვის, მისთვის უფასო იურიდიული დახმარების, უფლებებისა და დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმირების, უფასო პირველადი და სამედიცინო მომსახურების და ფსიქოლოგიური დახმარების გაწევის კუთხით. კანონი განსაზღვრავს მსხვერპლისთვის სოციალური მომსახურების გაწევას, როგორიცაა: ოჯახური დავების მიზეზების შესწავლა, შესაბამისი ანალიზი და დავების დაძლევაში ოჯახის წევრთა დახმარება, მსხვერპლთა მხარდაჭერისა და თანადგომის ღონისძიებების გატარება და სხვა. კანონი ითვალისწინებს მსხვერპლის დროებით თავშესაფარში და კრიზისულ ცენტრში მოთავსებას, რაც ემსახურება მსხვერპლის ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას და

147 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec (2010)1 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროსაბჭოს პრობაციის წესების შესახებ, პუნქტი 61

148 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec (2010)1 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროსაბჭოს პრობაციის წესების შესახებ, პუნქტები 62 , 77. http://pptc.ge/cms/site_images/pdf/publikaciebi/probation.pdf

149 ევროპის საბჭოს 1970 წლის 26 იანვრის რეზოლუცია(70)1 ,,პირობით მსჯავრდებულ ანდა პირობით გათავისუფლებულ პირთა ზედამხედველობისა და გათავისუფლების შემდგომი ზრუნვის ღონისძიებების პრაქტიკული ორგანიზების შესახებ“, http://pptc.ge/cms/site_images/pdf/publikaciebi/probation.pdf

150 ,,არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ კანონი, მე-7 მუხლი, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/21610

151 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 5 ივნისის #39 ბრძანება, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2820641

საზოგადოებაში ინტეგრაციას[152]. ამ მომსახურებით უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ პრობაციონერი ქალებიც გენდერ-სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინებით.

საქართველოს კანონმდებლობა პრობაციონერ ქალთა რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის შესახებ პრინციპების დონეზე შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. თუმცა, იგი ნაკლებად გენდერ-სენსიტიურია და რეაბილიტაციის პროგრამების განსაზღვრისას არ ითვალისწინებს ქალი დამნაშავის მიერ გადატანილ ძალადობას, ვიქტიმიზაციის ისტორიას და სარებილიტაციო პროგრამებში ოჯახში ძალადობის მსხვერპლებად ჩართვის კრიტერიუმებს.

## ძალადობის, სტიგმისა და დისკრიმინაციის მსხვერპლი ყოფილი პატიმარი ქალები

,,ბანგკოკის წესების“ თანახმად, საზოგადოებრივ სამსახურებთან თანამშრომლობით, გათავისუფლების შემდგომი დამატებითი მხარდაჭერა უნდა იქნას უზრუნველყოფილი ყოფილი პატიმარი ქალებისთვის, რომლებიც საჭიროებენ ფსიქოლოგიურ, სამედიცინო, იურიდიულ და პრაქტიკულ დახმარებას, რათა მოახდინონ საზოგადოებაში წარმატებული ინტეგრაცია[153]. საზოგადოებაში ინტეგრაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ყოფილი პატიმარი ქალებისთვის, რომლებმაც განიცადეს ძალადობა, სტიგმა და დისკრიმინაცია.

,,სტამბოლის კონვენცია“ სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, მიიღოს ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ძალადობის მსხვერპლს ხელი მიუწვდებოდეს ისეთ სამსახურებზე, რომელიც დაეხმარება მას ძალადობის გადატანის შემდეგ ძალების აღდგენაში. ამ ზომებში უნდა შედიოდეს ისეთი მომსახურება, როგორიცაა, იურიდიული და ფსიქოლოგიური კონსულტაციები, ფინანსური დახმარება, თავშესაფარი, განათლება, პროფესიული განათლება და სამუშაოს მოძიებაში დახმარება. ამასთანავე, სახელმწიფომ უნდა გაატაროს ყველა საჭირო ან სხვა ზომა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ძალადობის მსხვერპლს ხელი მიუწვდებოდეს სამედიცინო და სოციალურ მომსახურებაზე.

ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციის პროცესი მოწესრიგებულია საქართველოს კანონმდებლობით.

ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის პროცესს ახორციელებს დანაშაულის პრევენციის ცენტრი. მისი უფლებამოსილებები მოწესრიგებულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 25 მარტის N16 ბრძანებით[154]. ყოფილ მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის პროცესს დანაშაულის პრევენციის ცენტრი ახორციელებს ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სამმართველოს მეშვეობით[155]. აღნიშნული სამმართველოს ფუნქციებს წარმოადგენს: ყოფილი პატიმრებისთვის საჭირო სერვისების იდენტიფიცირება და არსებული სერვისების შესახებ მათი ინფორმირება; ყოფილი პატიმრების მომართვიანობის აღრიცხვა/გადანაწილება, მონაცემთა დამუშავება და ანალიზი, ბენეფიციარების შეფასება, და მათი საჭიროების გამოკვეთა; ბენეფიციარების და მათი ოჯახის წევრებისთვის საჭიროებებზე მორგებული სერვისების მიწოდება, პროფესიული ზრდის ხელშეწყობა, ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებაში აქტიური მონაწილეობა; ყოფილი პატიმრების დასაქმების მიზნით, სოციალური საწარმოების შექმნა და ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობა[156].

დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორის მიერ შემუშავებული არის ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროგრამა და მისი განხორციელების წესი[157]. აღნიშნულ დოკუმენტში საკმაოდ დეტალურად არის გაწერილი ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროცესში მათი საჭიროებების შეფასების სისტემა შესაბამისი ინსტრუმენტებით. პროგრამა ითვალისწინებს ყოფილი პატიმრებისთვის შემდეგი სახის სერვისების მიწოდებას: ფსიქო-სოციალური მომსახურება, იურიდიული მომსახურება, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, დასაქმების ხელშეწყობა, სპორტული, რეკრეაციული და კულტურული ღონისძიებების განხორციელება, პროფესიული გადამზადება და ხელობის შესწავლა, არაფორმალური განათლება, ყოფილ პატიმართა ბიზნეს-ინიციატივების მხარდაჭერა, ბენეფიციართა ოჯახის წევრებთან მუშაობა[158]. პროგრამის მე-13 პუნქტის თანახმად, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული არცერთი ღონისძიება არ უნდა იწვევდეს ბენეფიციართა სტიგმატიზაციას. ნებისმიერი აქტივობა, პროექტი თუ სხვა მოქმედება ან გადაწყვეტილება უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს იმგვარად, რომ მაქსიმალურად შემცირდეს პროგრამის ბენეფიციართა სტიგმატიზაციის რისკები[159].

152 ,,ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მეხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონი, მე-17 მუხლი, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/26422

153,,ბანგკოკის წესები, 47-ე მუხლი,http://www.un.org/en/ecosoc/docs/2010/res%202010-16.pdf

154 საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 25 მარტის #16 ბრძანება, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2292225

155 იქვე, მე-11 მუხლი.

156 იქვე, მე-11 მუხლი

157 დანაშაულის პრევენციის ცენტრის ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამა და მისი განხორციელების წესი, http://prevention.gov.ge/prevention.gov.ge/uploads/files/aqtebi/programa.pdf

158 იქვე, მე-5 მუხლი.

159 დანაშაულის პრევენციის ცენტრის ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამა და მისი განხორციელების წესი, მე-13 მუხლი, http://prevention.gov.ge/prevention.gov.ge/uploads/files/aqtebi/programa.pdf

ყოფილ პატიმრებს იურიდიული დახმარების მიღება შეუძლიათ სახელმწიფო ადვოკატის მეშვეობით. ,,იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონის თანახმად, ყოფილ მსჯავრდებულებს შეუძლიათ იურიდიული მომსახურების მიღება სისხლის, ადმინისტრაციულ და სამოქალაქო კატეგორიის საქმეებზე[160].

საქართველოს კანონმდებლობა არ არის სენსიტიური ძალადობის მსხვერპლი ყოფილი ქალი პატიმრების საჭიროებებისადმი. კანონმდებლობით არ არის გაწერილი ის სარეაბილიტაციო პროგრამები, რომელიც დაეხმარებათ ძალადობის მსხვერპლ ყოფილ პატიმარ ქალებს ძალების აღდგენასა და საზოგადოებაში ინტეგრაციაში.

## ძალადობის მსხვერპლ მსჯავრდებულ ქალთა ბავშვები

ქალ მსჯავრდებულთა ბავშვები, ძირითადად, სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ იმყოფებიან. ისინი განთავსებულნი არიან ან მინდობით აღზრდაში ან/და მცირე საოჯახო ტიპის დაწესებულებებში.

ბავშვთა სახელმწიფო მზრუნველობის მარეგულირებელი საერთაშორისო სტანდარტებიდან უმნიშვნელოვანესია გაეროს გენერალური ასამბლეის N64/142 (2010) რეზოლუცია, რომლის საფუძველზეც დამტკიცებულია ალტერნატიული ზრუნვის სახელმძღვანელო პრინციპები[161]. აღნიშნული პრინციპებიდან სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია ისეთი პრინციპების გათვალისწინება, როგორიცაა: ბენეფიციარის ბიოლოგიურ ოჯახთან ტერიტორიულად ახლოს განთავსება, ძალადობისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობისაგან არასრულწლოვანის დაცვა, ალტერნატიულ მზრუნველობაში რაც შეიძლება მცირე დროის გატარება, განათლებისა და ჯანდაცვის თანაბარი მისაწვდომობა, მომსახურების ინკლუზიურობა და არათანასწორი მოპყრობის აკრძალვა. რეზოლუცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მიმღები მშობლებისათვის ტრენინგების ჩატარებას[162] და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა დაცვაზე სისტემატური მონიტორინგის განხორციელების აუცილებლობას[163]. სახელმწიფო მზრუნველობის სფეროში განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს მინდობით აღზრდისა და რეინტეგრაციის პროგრამების გაძლიერებას, რაც ამ ბავშვების ინკლუზიურ, მშობლიურ და ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ პირობებში აღზრდის საშუალებას იძლევა. რეზოლუციის მიხედვით, სახელმწიფოებმა უნდა განავითარონ და გააძლიერონ ბიოლოგიური ოჯახების სააღმზრდელო უნარები და სოციალური სერვისები მშობლებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის. ამ მიზნით, ეროვნულ დონეზე უნდა შემუშავდეს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სერვისები და პროცედურული მექანიზმები. ამასთან, სახელმწიფომ, პოზიტიური თუ ნეგატიური ვალდებულებების ფარგლებში, უნდა შექმნას ბავშვთა ალტერნატიული მზრუნველობის ეფექტიანი სისტემა, რათა ხელი შეუწყოს მზრუნველობამოკლებულ მინდობით აღსაზრდელ ბავშვთა ფუნდამენტური უფლებების აღსრულებას.

,,ბავშვის უფლებების კონვენციის“ მე-20 მუხლის თანახმად, ბავშვს, რომელიც დროებით ან მუდმივად მოკლებულია თავის ოჯახურ გარემოს ან, რომელსაც საკუთარი ინტერესებისთვის არ შეუძლია ასეთ გარემოცვაში დარჩეს, სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული დაცვისა და დახმარების უფლება აქვს[164].

გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტის შეფასებით, მინდობით აღზრდის პროგრამა უნდა ხორციელდებოდეს ბავშვის უფლებათა კონვენციის 25-ე მუხლის ჭრილში, რომელიც აღიარებს ალტერნატიულ მზრუნველობაში მყოფი ბავშვის უფლებას, იყოს დაცული. პერიოდულად მის მიმართ უნდა ხდებოდეს ასეთი სახის მეურვეობასთან დაკავშირებული სხვა პირობების შეფასება[165].

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მდგრადი განვითარების მიზნებიდან გამომდინარე, უნდა მოხდეს ყველა ბავშვის დროული და ადეკვატური მზრუნველობითა და აღზრდა/განათლებით, ასევე, ადრეული განვითარების მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა[166].

ძალადობის მსხვერპლი მშობლების ბავშვების მიმართ, რომლებიც განსაკუთრებულ მოწყვლად კატეგორიას წარმოადგენენ, ,,ბავშვთა უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-19 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, მიმართოს ყველა საჭირო საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ღონისძიებებს, რათა დაიცვან არასრულწლოვნები ძალადობის ყველა ფორმისგან. ძალადობისგან დაცვის ღონისძიებები უნდა მოიცავდეს ეფექტიან პროცედურებს სოციალური პროგრამების შესამუშავებლად იმ მიზნით, რათა მხარდაჭერა გაუწიონ ბავშვს და მასზე მზრუნველ პირებს, განახორციელონ ძალადობის ფაქტების გამოვლენა, შეტყობინება, მათი განსახილველად გადაცემა, გამოძიება და სხვა შესაბამისი ღონისძიებები[167]. ამავე კონვენციის 36-ე მუხლი განსაზღვრავს,

160,,იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონი, მე-3 მუხლი, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/21604

161 გაეროს გენერალური ასამბლეის #64/142 (2010) რეზოლუცია, https://www.unicef.org/protection/alternative_care_Guidelines-English.pdf

162 გაეროს გენერალური ასამბლეის #64/142 (2010) რეზოლუცია, პარაგრ. 118. https://www.unicef.org/protection/alternative_care_Guidelines-English.pdf

163 იქვე, პარაგრ. 128.

164,,ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენცია, 20-ე მუხლი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901

165 Report of the Committee on the Rights of the Child, United Nations General Assembly, Official Records, Fifty – Fifth Session, Supplement No. 41, Doc. A/55/41, p. 66. http://www.un.org/documents/ga/docs/55/a5541.pdf

166 გაეროს გენერალური ასამბლეის მდგრადი განვითარების მიზნები, მე-3 და მე-4 მიზანი https://sustainabledevelopment.un.org/?menu=1300

167 ,,ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენცია, მე-19 მუხლი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901

რომ სახელმწიფომ უნდა მიმართოს ყველა საჭირო ზომას, რათა ხელი შეუწყოს ძალადობის მსხვერპლი მშობლების ბავშვის ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ აღდგენას და მათ სოციალურ რეინტეგრაციას[168].

გაეროს ბავშვთა ფონდისა და ბავშვის უფლებების კომიტეტის ,,ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული სერვისების მინიმალური რეგიონული სტანდარტების“ თანახმად, არასრულწლოვანთა ყველა ფორმის ძალადობისგან დაცვის უზრუნველსაყოფად, ბენეფიციარებს და მინდობით აღმზრდელ მშობლებს უნდა მიეწოდებოდეთ სრულყოფილი ინფორმაცია ბავშვის მიმართ არასათანადო მოპყრობისგან დაცვის ძირითადი მექანიზმების შესახებ. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების მიერ უნდა დაიგეგმოს ბავშვებზე პოზიტიური მზრუნველობის პოლიტიკა[169].

,,ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის 28-ე მუხლი სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას მათ შორის იმ ბავშვთა  განათლების უზრუნველყოფის მიზნით, რომელთა მშობლებმაც გადაიტანეს ძალადობა და დისკრიმინაცია.  ამ კუთხით, განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ძალადობის მსხვერპლი მშობლების ბავშვების საჭიროებები. ,,ბავშვის უფლებების კონვენციის“ თანახმად, ბავშვი უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი საშუალო და პროფესიული განათლებით[170].

გაეროს გენერალური ასამბლეის მდგრადი განვითარების მიზნების მე-4 მიზნის ანალიზიდან იკვეთება, რომ ინკლუზიური და ხარისხიანი განათლება თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა ბავშვისთვის მათი სპეციფიკური საჭიროებების გათავალისწინებით[171].

ძალადობის მსხვერპლი მშობლების ბავშვების ჯანდაცვისა და სარეაბილიტაციო პროგრამების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებას წარმოადგენს.

გაეროს ,,ბავშვის უფლებების“ კონვენცია სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, გაატაროს შესაბამისი ზომები, რათა ბავშვებს ხელი მიუწვდებოდეთ ჯანდაცვის სისტემის ყველაზე სრულყოფილ მომსახურებაზე, ავადმყოფობათა მკურნალობისა და ჯანმრთელობის აღდგენის საშუალებებით[172].

საერთაშორისო სტანდარტების ნორმატიული შინაარსიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება,  ბავშვთა სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინებით, შესთავაზოს მათ თანაბარი ხელმისაწვდომობა სამედიცინო მომსახურებასა და სარეაბილიტაციო ღონისძიებებზე.

საერთაშორისო დონეზე მოქმედი სტანდარტებიდან, სახელმწიფო მზრუნველობაში მოხვედრილ ბავშვებსა და ბიოლოგიურ ოჯახს შორის ურთიერთობის ხელშემწყობი ძირითადი მოთხოვნები მოცემულია გაეროს ,,ბავშვის უფლებების“ კონვენციასა და გაეროს გენერალური ასამბლეის  N64/142 რეზოლუციაში ,,ბავშვთა ალტერნატიული მზრუნველობის პრინციპების შესახებ“.

გაეროს ბავშვთა ფონდისა და გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტის ძირითადი სტანდარტების თანახმად, ბავშვის  ბიოლოგიურ ოჯახთან კომუნიკაცია უნდა იყოს სისტემატური ხასიათის, მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით[173].  საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, სახელმწიფო მზრუნველობის სისტემაში განთავსებული ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახთან კავშირის შენარჩუნება და გაძლიერება, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს და საჭიროებებს ალტერნატიული მზრუნველობის და ბავშვის რეაბილიტაციის ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა. აღნიშნული ერთი მხრივ, ხელს უწყობს ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში  შემდგომ რეინტეგრაციას, ხოლო მეორე მხრივ, ბავშვსა და ბიოლოგიურ მშობელს შორის კავშირის შენარჩუნებას[174].

საქართველოში მინდობით აღზრდის საკითხებს არეგულირებს კანონი ,,შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“[175]. მინდობით აღზრდის საკითხებში სახელმწიფო პოლიტიკის აღსრულება, ბავშვთა უფლებების დაცვა, მეურვეობა-მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოების მუშაობის კოორდინაცია მეურვეობისა და მზრუნველობის ცენტრალური ორგანოს კომპეტენციაა. კანონის 70-ე მუხლის თანახმად, მინდობით აღზრდას ექვემდებარება ბავშვი, რომლის მშობელს (მშობლებს) შეეზღუდა, შეუჩერდა ან ჩამოერთვა მშობლის უფლებები[176]. მინდობით აღზრდაში შეიძლება გადაცემული იქნენ მსჯავრდებულთა, პრობაციონერთა ან ყოფილ მსჯავრდებულთა შვილები, რომლებსაც ჩამოერთვათ ან შეუჩერდათ მშობლის უფლება. მინდობით აღზრდის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება სოციალური მუშაკის მიერ ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და მისი საჭიროებიდან გამომდინარე. მინდობით აღზრდაში გადაცემისას, გადაწყვეტილების მიმღებმა უნდა გაითვალისწინოს ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა, მისი მოწყვლადობა, ასაკი და რეინტეგრაციის საჭიროებები. ამასთანავე, მინდობით აღზრდაში გადაცემისას, მნიშვნელოვანია, ბავშვის ინდივიდუალური გეგმის შემუშავება და მისი

168 ,,ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენცია, 36-ე მუხლი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901

169 UNICEF, „Regional Minimum Standards For Alternative Care Services for Children“ (2012), https://www.unicef.org/easterncaribbean/ECAO_Regional_Minimum_Standards_for_Alternative__Care_Services_for_Children.pdf

170 ,,ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენცია, 28-ე მუხლი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901

171 გაეროს გენერალური ასამბლეის მდგრადი განვითარების მიზნები,  მე-4 მიზანი https://sustainabledevelopment.un.org/?menu=1300

172,,ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენცია, 26-ე მუხლი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901.

173 General Assembly, Resolution N64/42,  „Guidelines for the Alternative Care of Children“ (2010), https://www.unicef.org/protection/alternative_care_Guidelines-English.pdf

174 General Assembly Resolution, Guidelines for the Alternative Care of Children, 24 February 2010, Doc. A/ RES/64/142. https://www.unicef.org/protection/alternative_care_Guidelines-English.pdf

175 კანონი ,,შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3665080

176  იქვე, 70-ე მუხლი.

შესრულების მონიტორინგი, ბენეფიციარის საცხოვრებელი პირობების, აღზრდის, განვითარების, განათლების, ჯანმრთელობის მდგომარეობის, მიმღები მშობლების მიერ მოვალეობების ჯეროვნად შესრულების ზედამხედველობა და ბენეფიცრისა და მიმღები მშობლის შეფასება და თავსებადობის განსაზღვრა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 27 დეკემბრის მინდობით აღზრდის წესის დამტკიცების შესახებ N01-72/ნ ბრძანებით, მინდობით აღსაზრდელს, მისი ასაკის, ჯანმრთელობისა და განვითარების დონის გათვალისწინებით უფლება აქვს ურთიერთობა ჰქონდეს ბიოლოგიური ოჯახის წევრებთან, მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური გეგმის შედგენაში და გამოთქვას საკუთარი აზრი მისი აღზრდის საკითხებთან დაკავშირებით[177].

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის ბავშვის შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის მსურველი პირის სავალდებულო მოსამზადებელი კურსის ადმინისტრირების წესის დამტკიცების თაობაზე N01-75/ნ ბრძანება ითვალისწინებს მოსამზადებელ კურსს შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის მსურველი პირებისთვის ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის საჭირო საბაზისო ცოდნისა და უნარჩვევების შეძენა/განმტკიცების შესახებ[178].

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის N601 დადგენილებით ,,სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" გათვალისწინებულია ბავშვზე ზრუნვის პროგრამის შემდეგი კომპონენტები: კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა; ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა; ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამა; დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა; მინდობით აღზრდის ქვეპროგრამა; მცირე საოჯახო ტიპის სახლების ქვეპროგრამა[179]. დადგენილება ითვალისწინებს ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა, მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ პირობებში აღზრდის ხელშეწყობა, ბავშვის ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით მის ინდივიდუალურ განვითარებასა და საჭიროებებზე ორიენტირებული ზრუნვის უზრუნველყოფა, ბავშვთა ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადების ხელშეწყობა, არასრულწლოვანთა ბიოლოგიურ ოჯახთან კონტაქტის გაძლიერება და მისი ხელშეწყობის უზრუნველყოფა.

## ძალადობის, სტიგმისა და დისკრიმინაციის მსხვერპლი მსჯავრდებული ქალების და ბავშვების თავშესაფრით უზრუნველყოფა

,,ბანგკოკის წესების" თანახმად, მსჯავრდებული ქალები, მათ შორის, ძალადობის მსხვერპლი ქალები, საჭიროების მიხედვით უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ თავშესაფრებით, რომლებსაც მართავს დამოუკიდებელი ორგანოები, არასამთავრობო ორგანიზაციები ან სხვა საზოგადოებრივი სამსახურები[180].

სტამბოლის კონვენცია, სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის შექმნას მხარდაჭერის სამსახურები. კონვენციის მე-20 მუხლი განსაზღვრავს, რომ სახელმწიფომ მიიღოს ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომა იმის უზრუნველსაყოფად, რომ მსხვერპლს ხელი მიუწვდებოდეს ისეთ სამსახურებზე, რომელიც დაეხმარება მას ძალადობის აქტების შემდეგ ძალების აღდგენაში. ამ ზომებში უნდა შედიოდეს აუცილებლობის შემთხვევაში, ისეთი მომსახურება, როგორიცაა, იურიდიული და ფსიქოლოგიური კონსულტაციები, ფინანსური დახმარება, თავშესაფარი, განათლება, პროფესიული მომზადება და სამუშაოს მოძიებაში დახმარება. მხარეები იღებენ ყველა საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ მსხვერპლს ხელი მიუწვდებოდეს სამედიცინო და სოციალურ მომსახურებაზე და რომ ამ სამსახურებს ჰქონდეს შესაფერისი რესურსები და ჰყავდეს სპეციალისტები, რომლებსაც გავლილი ექნებათ მომზადება მსხვერპლისთვის დახმარების გასაწევად და რომლებიც გადაამისამართებენ მათ შესაბამის სამსახურებში[181].

ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრით უზრუნველყოფის საკითხები მოწესრიგებულია საქართველოს კანონმდებლობით.

,,ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" კანონით ძალადობის მსხვერპლი უფლებამოსილია ისარგებლოს თავშესაფრით/

177 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 27 დეკემბრის მინდობით აღზრდის წესის დამტკიცების შესახებ #01-72/ნ ბრძანება https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3959823

178 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის ბავშვის შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის მსურველი პირის სავალდებულო მოსამზადებელი კურსის ადმინისტრირების წესის დამტკიცების თაობაზე #01-75/ნ ბრძანება, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3962723

179 საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის #601 დადგენილება ,,სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ", https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3976984

180 ,,ბანგკოკის წესები", წესი 59, http://www.un.org/en/ecosoc/docs/2010/res%202010-16.pdf

181 ,,ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ" კონვენცია, მე-20 მუხლი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678

კრიზისული ცენტრით და იქ არსებული სარეაბილიტაციო მომსახურებით. თავშესაფარში მსხვერპლს გაეწევა უფასო იურიდიული კონსულტაცია, უფასო პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება და ფსიქოლოგის დახმარება[182]. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სისტემაში არსებული მსხვერპლთა თავშესაფარი მსხვერპლს უნდა უქმნიდეს საყოფაცხოვრებო პირობებს და უნდა უზრუნველყოფდეს მის მიერ პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებითა და ფსიქოლოგიური დახმარებით სარგებლობის შესაძლებლობას. თავშესაფარში მსხვერპლის მოთავსება ხდება 3 თვემდე ვადით, თუმცა, ეს ვადა შესაძლებელია კიდევ გაგრძელდეს გარკვეული პერიოდით[183]. ამასთანავე, კანონი ითვალისწინებს მსხვერპლის მიერ კრიზისული ცენტრით სარგებლობის შესაძლებლობას. კრიზისული ცენტრი არის სავარაუდო მსხვერპლთა და მსხვერპლთა დროებითი განთავსების ადგილი და ემსახურება მათ ფსიქოლოგიურ, სოციალურ რეაბილიტაციას, პირველად და გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებას და სამართლებრივ დახმარებას[184]. თავშესაფრისგან განსხვავებით, კრიზისულ ცენტრში შესაძლებელია მოთავსდეს სავარაუდო მსხვერპლი, რომელსაც ოფიციალურად არ აქვს მინიჭებული მსხვერპლის სტატუსი.

ძალადობის მსხვერპლის თავშესაფარში მოთავსებისა და მსხვერპლთა რეაბილიტაციის საკითხებს კურირებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი. მისი უფლებამოსილებები გაწერილია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის N146 დადგენილებით ფონდის დებულების დამტკიცების შესახებ[185]. ფონდის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვა, დახმარება, თავშესაფრით უზრუნველყოფა, მსხვერპლთა რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობა.[186]

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 ბრძანებით დამტკიცდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლი და დაზარალებული ბავშვის რეფერირების პროცედურები[187]. ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემა მოიცავს: ძალადობის მსხვერპლი ბავშვის გამოვლენას; ბავშვის მდგომარეობის შეფასებას, ბავშვზე ძალადობის შემთხვევის შესახებ შესაბამისი ორგანოების ინფორმირებას, საჭიროების შემთხვევაში, ბავშვის განცალკევებასა და განთავსებას ბავშვთა სათანადო სპეციალიზებულ დაწესებულებაში/თავშესაფარში/მინდობით აღზრდაში, რომელიც ხელს შეუწყობს მის რეაბილიტაციას[188].

საქართველოს კანონმდებლობა ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაცია/რეინტეგრაციის მიმართულებით შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. საკანონმდებლო დონეზე გაწერილია მსხვერპლთა დაცვისა და რეაბილიტაცია/აბილიტაციის ღონისძიებები.

# 9. მართლმსაჯულების სფეროში ქალთა გენდერ-სპეციფიკურ საჭიროებებთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზი

## ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია (2014-2020 წლებისთვის)

სახელმწიფო პოლიტიკა ასახვას ჰპოვებს სხვადასხვა სახის სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში, რომლებსაც შეხება აქვთ მართლმსაჯულების სფეროში ქალთა გენდერ-სპეციფიკურ საჭიროებებთან.

ქვეყნის მთავარ სტრატეგიულ დოკუმენტს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია წარმოადგენს. 2014 წლის 30 აპრილს, იგი საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა[189]. სტრატეგიის ძირითადი პრინციპებია: ადამიანის უფლებების სახელმწიფოს მიერ დაურღვევლობა; ადამიანის უფლებების სხვა პირთა მიერ დარღვევისაგან დაცვა; ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც ადამიანებს საკუთარი უფლებების რეალიზების შესაძლებლობას მისცემს; ადამიანების სათანადო ინფორმირება მათი უფლებების შესახებ. ეროვნული სტრატეგიის ერთ-ერთ მიზანს საერთაშორისო სტანდარტების

182 ,,ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" კანონი, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/26422

183 იქვე, მე-18 მუხლი

184 იქვე, იქვე, მე-18[1] მუხლი

185 საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის#146 დადგენილება ფონდის დებულების დამტკიცების შესახებ, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2246470

186 საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის#146 დადგენილება ფონდის დებულების დამტკიცების შესახებ, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2246470, მე-2 და მე-3 მუხლები.

187 საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის #437 ბრძანება, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3394478

188 იქვე, მე-4 მუხლი.

189 საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 30 აპრილის დადგენილება, http://myrights.gov.ge/uploads/file-manager/Strategy2014-2020.pdf

შესაბამისი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის და ყოფილ პატიმრებზე ზრუნვის მექანიზმების ჩამოყალიბება წარმოადგენს.[190] აღნიშნული მიზნის მისაღწევად, სახელმწიფო საჭიროდ თვლის შემდეგი ამოცანების განხორციელებას: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის დაწესებულებებში მყოფ პირთა ადეკვატური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა; მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროგრამების განხორციელება; სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემაში გენდერულად მგრძნობიარე მიდგომების დამკვიდრება. ამასთანავე, სტრატეგიის ერთ-ერთ ამოცანას ძალადობის მსხვერპლთა სამართლებრივი დაცვის, ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისა და თავშესაფრის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნული სტრატეგია, როგორც მთავარი პოლიტიკური დოკუმენტი, გენდერ სენსიტიურ მიდგომას ავლენს ქალი პატიმრებისა და პრობაციონერების საჭიროებებთან დაკავშირებით. ეროვნული სტრატეგიის თანახმად, მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის პროგრამების შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნას მსჯავრდებულთა გენდერ-სპეციფიკური საჭიროებები[191].

## ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2018-2020 წლებისთვის

ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა[192] ერთ-ერთ მთავარ ამოცანად ქალ მსჯავრდებულთა, ყოფილ მსჯავრდებულთა და პრობაციონერთა რეაბილიტაციის, დასაქმების პროგრამების განხორციელებას და საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობას მიიჩნევს. აღნიშნულისთვის, სამოქმედო გეგმა მნიშვნელოვნად მიიჩნევს ისეთი ღონისძიებების გატარებას, როგორიცაა: გენდერული ნიშნით შექმნილი ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის მიდგომების დახვეწა და შესაბამისი პროგრამების შექმნა; სოციალური მუშაკის ინდივიდუალური მუშაობა თითოეულ ბენეფიციართან და მისი შეფასება შესაბამისი ფორმით, რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესის დაგეგმვა და განხორციელება; ფსიქოლოგიური კონსულტაციების წარმოება; არტ თერაპიის მოდულის შეთავაზება; პროფესიული გადამზადების კურსებში ყოფილ მსჯავრდებულთა ჩართვა; ყოფილ პატიმართა დასაქმების ხელშეწყობა და სხვა. სამოქმედო გეგმა ცალკე სეგმენტად არ გამოყოფს იმ მსჯავრდებულთა და ყოფილ მსჯავრდებულთა რეაბილიტაციას, რომელთაც გადაიტანეს ძალადობა და დისკრიმინაცია. ქალთა და ოჯახში ძალადობის საკითხებს სამთავრობო სამოქმედო გეგმის ცალკე სეგმენტი უჭირავს, სადაც ზოგადად საუბარია ქალთა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაციასა და სამართლებრივ დახმარებაზე.

## სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგია (2017 წელი)

მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია/რეაბილიტაცია სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგიის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. სტრატეგიის მიხედვით, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიზანია მსჯავრდებულთა მაქსიმალურად დიდი რაოდენობის ჩართვა საგანმანათლებლო, სარეაბილიტაციო თუ დასაქმების პროგრამებში. ამასთანავე, სტრატეგიაში აქცენტი კეთდება პროფესიული მომზადების სასერთიფიკატო პროგრამებზე, რომელთაც პროფესიული კოლეჯები უზრუნველყოფენ[193].

სისხლის სამართლის სისტემის სტრატეგიაში საუბარია პრობაციის სისტემის რეფორმაზე. რეფორმის პრიორიტეტებს წარმოადგენს: პრობაციის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული რესურსის განვითარება; საკანონმდებლო ბაზის განვითარება; ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება; სარეაბილიტაციო პროგრამების და საზოგადოების ჩართულობის განვითარება; უწყებათაშორისი კოორდინაციის უზრუნველყოფა და პრობაციის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაუმჯობესება.

სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგია ცალკე სეგმენტად არ გამოყოფს ქალი პატიმრების და ყოფილი პატიმრების გენდერ-სპეციფიურ საჭიროებებს, მათ შორის, იმ ქალი პატიმრების რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის საკითხებს, რომელთაც გადაიტანეს ძალადობა, სტიგმა და დისკრიმინაცია.

190 ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია (2014-2020 წლებისთვის), მე-5 მიზანი, http://myrights.gov.ge/uploads/file-manager/Strategy2014-2020.pdf

191 ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია (2014-2020 წლებისთვის), მე-5 და მე-14 მიზანები, http://myrights.gov.ge/uploads/file-manager/Strategy2014-2020.pdf

192 ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2018-2020 წლებისთვის, http://myrights.gov.ge/ka/plan/Action%20Plan%202020?sphere=684&goal=

193 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგია (2017 წელი), http://www.justice.gov.ge/AboutUs/Council/237

## პრობაციის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმა (2017 წელი)

პრობაციის სისტემის სამოქმედო გეგმის მიზანს რესოციალიზაცია/რეაბილიტაცია და პრევენციაზე ორიენტირებული ინდივიდუალური მიდგომის დანერგვა და დახვეწა წარმოადგენს. ამ კუთხით, სამოქმედო გეგმით გაწერილია აქტივობები სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს შექმნისა და მისი გამართულად ფუნქციონირების მიმართულებით.

სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს აქტივობებს შერჩეულ პრობაციონერთა ჯგუფისთვის არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობით სულ მცირე ერთი სარეაბილიტაციო პროგრამის შემუშავებასა და პილოტირებასთან დაკავშირებით, ასევე, ღონისძიებებს პრობაციის ოფიცრებისთვის რეაბილიტაციის საქმიანობასთან დაკავშირებული ტრენინგების დაწყების კუთხით.

სამოქმედო გეგმით დაგეგმილია ღონისძიებები სავალდებულო და ნებაყოფლობითი სარეაბილიტაციო პროგრამების ამოქმედებასთან დაკავშირებით. სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ღონისძიებებს სასჯელის მისჯამდე და პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლების სტადიაზე პრობაციის სააგენტოს ჩართვის კუთხით. სამოქმედო გეგმით გაწერილია აქტივობები პრობაციის ოფიცრების რისკისა და საჭიროებების შეფასების და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის მიხედვით მსჯავრდებულებთან მუშაობის მიმართულებით.

პრობაციის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმა საკმაოდ ზოგადი ხასიათისაა. მასში ძირითადი აქცენტი კეთდება პრობაციის სისტემის ინსტიტუციურ და საკადრო საკითხებზე, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და სისტემის გამართულ მუშაობაზე. სამოქმედო გეგმაში ნაკლებად კეთდება აქცენტი უშუალოდ სარეაბილიტაციო პროგრამებზე, მათ შორის, გენდერ-სპეციფიური მიმართულებით.

## პენიტენციური სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმა (2017 წელი)

პენიტენციური სისტემის რეფორმის მიზანს პატიმართა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა, ეფექტიანი რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის ღონისძიებების საშუალებით განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკის შემცირება წარმოადგენს.

სამოქმედო გეგმით გაწერილია მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია/რესოციალიზაციის პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებს ისეთ ქვეპროგრამებს, როგორიცაა:

- მსჯავრდებულთა შრომის შესაძლებლობის გაზრდისათვის საწარმოო ზონებისა და მისი დასაქმების კერების შექმნა დაწესებულების ტერიტორიაზე;
- პენიტენციურ დაწესებულებებში განათლების მიღების შესაძლებლობა პროფესიული, სახელობო და სატრენინგო - საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის მეშვეობით;
- მსჯავრდებულებთან მიმართებაში ინდივიდუალური მიდგომების შემუშავება;
- მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამებით;
- მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა ბიბლიოთეკებით, საზოგადოებასთან ურთიერთობით, სპორტული და კულტურული ღონისძიებებით;

პენიტენციური სისტემის რეფორმების საქმოქმედო გეგმა ითვალისწინებს პატიმართა სამართლებრივი გარანტიების გაძლიერების პროგრამას, რაც დადებითაც უნდა შეფასდეს. პროგრამაში შედის შემდეგი ქვეპროგრამები:

- პატიმართა ცნობიერების ამაღლება მათი უფლებების შესახებ საჩივრების, დისციპლინურ და ადმინისტრაციულ პროცედურებთან მიმართებით;
- პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების პროცედურების ხელმისაწვდომობა;

სამოქმედო გეგმა ზოგადი ხასიათისაა. იგი ცალკე სეგმენტად არ გამოყოფს ქალი პატიმრების გენდერ-სპეციფიურ საჭიროებებს რეაბილიტაცია/რესოციალიზაციის კუთხით, მათ შორის, იმ ქალი პატიმრების რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის საკითხებს, რომელთაც გადაიტანეს ძალადობა, სტიგმა და დისკრიმინაცია.

# 10. რეკომენდაციები

**სისხლის სამართლის სისტემაში რეაბილიტაცია/რესოციალიზაციის სამოქმედო გეგმა (2017 წელი)**

სამოქმედო გეგმის მიზანს მსჯავრდებულთა და ყოფილ მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია/რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- საჭიროებებზე ორიენტირებული სერვისების მოკვლევა და ადაპტაცია ადგილობრივ და საერაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით;
- ხშირად მოთხოვნადი სარეაბილიტაციო სერვისების ორგანიზაციის ბაზაზე დანერგვა;
- საბაზისო სერვისების კოორდინირებული შექმნისა და მიწოდების უზრუნველყოფა;
- სარეაბილიტაციო სერვისების ხარისხის კონტროლი;
- კვლევების დაგეგმვა სარეაბილიტაციო პროგრამების ეფექტიანობის გასაზომად;
- სოციალური მეწარმეობის იდეის პოპულარიზაცია და კონცეფციის მომზადება;
- რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის პროცესში ჩართული უწყებების მიერ სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პრიორიტეტებისა და აქტივობების საკუთარ სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებშიასახვა;
- რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის შესაბამის უწყებებში ინფრასტრუქტურის შექმნა;
- სასჯელის აღსრულებისა და გათავისუფლების შემდგომი ზრუნვის პროცესში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის ჩართვა;
- ორგანიზაციის ბაზაზე განსახორციელებელი სარეაბილიტაციო პროგრამების მიწოდებისთვის პერსონალის გადამზადება;
- სარეაბილიტაციო ღონისძიებების ერთობლივად განხორციელება პარტნიორ სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებთან ერთად;

სამოქმედო გეგმა საკმაოდ ზოგადი ხასიათისაა. იგი ცალკე სეგმენტად არ გამოყოფს ქალი პატიმრების გენდერ-სპეციფიურ საჭიროებებს რეაბილიტაცია/რესოციალიზაციის კუთხით, მათ შორის, იმ ქალი პატიმრების რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის საკითხებს, რომელთაც გადაიტანეს ძალადობა, სტიგმა და დისკრიმინაცია.

## კანონმდებლობის სრულყოფის რეკომენდაციები

**1. მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია/რეაბილიტაცია**

N5 პენიტენციური დაწესებულების დებულებაში არ არის ცალკე გაწერილი იმ ქალ მსჯავრდებულთა საჭიროებები და სარეაბილიტაციო პროგრამები, რომლებმაც განიცადეს სტიგმა, ძალადობა და დისკრიმინაცია.

**რეკომენდაცია:**

საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- N5 პენიტენციური დაწესებულების დებულება მოყვანილ იქნას ,,ბანგკოკის წესებთან" შესაბამისობაში და განისაზღვროს იმ ქალ მსჯავრდებულთა სპეციფიური საჭიროებები და სარეაბილიტაციო პროგრამები, რომლებმაც განიცადეს სტიგმა, ძალადობა და დისკრიმინაცია;

**2. მსჯავრდებულთა დასაქმება**

N5 პენიტენციური დაწესებულების დებულება არ ითვალისწინებს ქალ მსჯავრდებულთა დასაქმების პროგრამების ჩამონათვალს. დებულებაში გაწერილია მხოლოდ სამუშაოზე განაწილების წესი. დებულება არ ითვალისწინებს გენდერ-სპეციფიკურ მიდგომას ქალი პატიმრების, მათ შორის, იმ პატიმრებთან

დაკავშირებით, რომელთაც გადაიტანეს ძალადობა, დისკრიმინაცია და სტიგმა. ასევე, დებულება არ აწესრიგებს იმ პატიმარ ქალთა დასაქმების საკითხებს, რომლებიც ბავშვებთან ერთად ცხოვრობენ პენიტენციურ დაწესებულებაში. აღნიშნული მსჯავრდებულები განსაკუთრებულად მოწყვლად კატეგორიას წარმოადგენენ და მათ მიმართ სენსიტიური მიდგომა აუცილებელია.

**რეკომენდაცია:**

საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- N5 პენიტენციური დაწესებულების დებულება მოყვანილ იქნას ,,ბანგკოკის წესებთან" შესაბამისობაში და განისაზღვროს იმ ქალ მსჯავრდებულთა დასაქმების საკითხი, რომელთაც გადაიტანეს ძალადობა, სტიგმა და დისკრიმინაცია;

**3. სამედიცინო მომსახურება**

N5 პენიტენციური დაწესებულების დებულება აწესრიგებს სამედიცინო მომსახურების ორგანიზების პრობლემებს, სანიტარულ-პროფილაქტიკური და ფსიქიატრიული დახმარების საკითხებს. დებულება არ არის სენსიტიური გენდერ-სპეციფიკური დაავადებების მკურნალობის კუთხით. ასევე, არ ითვალისწინებს რეგულაციებს იმ მსჯავრდებულების მკურნალობასთან დაკავშირებით, რომლებმაც განიცადეს ძალადობა, სტიგმა და დისკრიმინაცია.

**რეკომენდაცია:**

საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- N5 პენიტენციური დაწესებულების დებულება მოყვანილ იქნას ,,ბანგკოკის წესებთან" შესაბამისობაში და განისაზღვროს იმ ქალ მსჯავრდებულთა მკურნალობის საკითხები და ინსტრუქცია, რომელთაც გადაიტანეს ძალადობა, სტიგმა და დისკრიმინაცია;

**4. სუიციდის და თვითდაზიანების პრევენცია**

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 11 თებერვლის N13 ბრძანება ,,სუიციდის პრევენციის პროგრამის დამტკიცების შესახებ" არ ითვალისწინებს თვითდაზიანებისა და სუიციდის გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირების საჭიროებას და ინდივიდუალურ მიდგომას იმ მსჯავრდებულთა მიმართ, რომელთაც გადაიტანეს ძალადობა, სტიგმა და დისკრიმინაცია.

**რეკომენდაცია:**

საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 11 თებერვლის N13 ბრძანება მოყვანილ იქნას შესაბამისობაში ,,ბანგკოკის წესებთან" და განისაზღვროს თვითდაზიანებისა და სუიციდის გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირების საჭიროება და ინდივიდუალური მიდგომის საკითხები იმ ქალ მსჯავრდებულთა მიმართ, რომელთაც გადაიტანეს ძალადობა, სტიგმა და დისკრიმინაცია.

**5. ძალადობის, დისკრიმინაციისა და სტიგმის მქონე ქალ მსჯავრდებულთა ნარკოტიკზე/ალკოჰოლზე დამოკიდებულება და მათი ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია**

2014 წლის 31 დეკემბერს, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N161 ბრძანებით დამტკიცდა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მსჯავრდებულთა ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამის - ,,ანტლანტისის" განხორციელების ინსტრუქცია. ,,ატლანტისის" პროგრამაში ბენეფიციართა შერჩევა ხდება ზოგადი კრიტერიუმების საფუძველზე, როგორიც არის ალკოჰოლზე/ნარკოტიკზე დამოკიდებულება, მსჯავრდებულის სურვილი მონაწილეობა მიიღოს პროგრამაში და თუ მსჯავრდებული საფრთხეს არ წარმოადგენს პროგრამაში მონაწილე სხვა პირებისა და დაწესებულების თანამშრომლებისთვის. პროგრამაში ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმები დაკონკრეტებას საჭიროებს. ,,ატლანტისის" პროგრამაში ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმად არ არის განსაზღვრული ისეთი მნიშვნელოვანი წარსულის საფუძვლები, როგორიცაა გადატანილი ძალადობა, სტიგმა და დისკრიმინაცია. ალკოჰოლზე/ნარკოტიკზე დამოკიდებული პირები ერთ-ერთ ყველაზე სტიგმატიზებულ და დისკრიმინირებულ კატეგორიას წარმოადგენენ, რომლებსაც სპეციფიკური

მიდგომა ესაჭიროებათ. ამასთანავე, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N161 ბრძანება არ არის გენდერულად სენსიტიური და არ ითვალისწინებს ქალთა სპეციფიურ საჭიროებებს.

## რეკომენდაცია

იუსტიციის მინისტრს:

- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბერის N161 ბრძანება მოყვანილ იქნას ,,ბანგკოკის წესებთან" შესაბამისობაში, გაიწეროს ,,ატლანტისში" ბენეფიციართა შერჩევის ისეთი კრიტერიუმები, როგორიც არის გადატანილი ძალადობა, სტიგმა და დისკრიმინაცია. ბრძანებით განისაზღვროს ქალთა სპეციფიკური საჭიროებები

### 6. ვადაზე ადრე გათავისუფლება და სასჯელის გადავადება ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო

საქართველოს ეროვნული კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ ძირითად პრინციპებს, თუმცა, კანონმდებლობის დონეზე მაინც ნაკლებად ხდება ქალი პატიმრის გათავისუფლებისას მისი ისტორიის და ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინება. საქართველოს კანონმდებლობა არ ავლენს სენსიტიურობას ვადაზე ადრე გათავისუფლებისას, ისეთი მნიშვნელოვანი გარემოებების გაწერისას, როგორიცაა, ქალის მიერ გადატანილი ძალადობა, სტიგმა და დისკრიმინაცია, შვილებისადმი მოვლა-მზრუნველობითი ვალდებულებები და ა.შ. საქართველოს კანონმდებლობა მსჯავრდებულის ვადაზე ადრე გათავისუფლებისას, ძირითადად, აქცენტს აკეთებს ჩადენილი დანაშაულის ირგვლივ და არ ითვალისწინებს მსჯავრდებულის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას, განცდილ ძალადობას და სხვა გენდერ-სპეციფიკურ მახასიათებლებს.

## რეკომენდაცია:

იუსტიციის მინისტრს და საქართველოს პარლამენტს:

- შეავიდეს ცვლილებები საქართველოს პენიტენციური სისტემის კანონმდებლობაში (პატიმრობის კოდექსი და სხვა აქტები) და მსჯავრდებულის ვადაზე ადრე გათავისუფლებისას გათვალისწინებულ იქნას ქალი მსჯავრდებულების ინდივიდუალური მახასიათებლები და გადატანილი ძალადობის ისტორია.

### 7. ძალადობის მსხვერპლთათვის უფლებების განმარტება (ვიქტიმიზაციის ისტორია)

საქართველოს პატიმრობის კოდექსზე დაყრდნობით, პენიტენციურ დაწესებულებაში მომხდარი დანაშაულის გამოძიება ხდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. პატიმრობის კოდექსში არ არსებობს დებულებები ქალთა მიმართ სექსუალური ან სხვა სახის ძალადობის გამოძიების, ასევე, ქალი პატიმრებისათვის, მათ შორის, ძალადობი, სტიგმისა დისკრიმინაციის მსხვერპლთათვის მათი უფლებების გაცნობის შესაბამისი პროცედურების შესახებ. კანონმდებლობა ასევე ვერ უზრუნველყოფს დებულებებს დაზარალებული ქალების სპეციალიზებული ფსიქოლოგიური ან იურიდიული დახმარების ან შურისძიების რისკების თავიდან აცილების ზომების შესახებ. კანონმდებლობის დონეზე არსებობს ნაკლებობა, რომელიც მოითხოვს ძალადობის შესახებ ადრინდელი ისტორიის კვლევას სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის პროცედურების დროს.

## რეკომენდაცია:

იუსტიციის მინისტრს და საქართველოს პარლამენტს:

- შეავიდეს ცვლილება პატიმრობის კოდექსში და განისაზრვროს ქალთა მიმართ სექსუალური ან სხვა სახის ძალადობის გამოძიების, ასევე, ქალი პატიმრებისათვის, მათ შორის, ძალადობის, სტიგმისა დისკრიმინაციის მსხვერპლთათვის მათი უფლებების გაცნობის შესაბამისი პროცედურები;
- შეავიდეს ცვლილება პატიმრობის კოდექსში და განისაზღვროს დებულებები დაზარალებული ქალების სპეციალიზებული ფსიქოლოგიური ან იურიდიული დახმარების ან შურისძიების რისკების თავიდან აცილების ზომების შესახებ;

**8. ძალადობის მსხვერპლი ორსული ქალები, მეძუძური დედები და ბავშვიანი ქალები**

კანონმდებლობა არ არის საკმარისად სენსიტიური ძალადობის მსხვერპლ ქალ მსჯავრდებულთა და ბავშვთა საჭიროებების განსაზღვრისა და მათთვის სარეაბილიტაციო პროგრამების შეთავაზების კუთხით. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 31 აგვისტოს ერთობლივი N105 - N01 – 57/ნ ბრძანების თანახმად, ბავშვის მიერ 3 წლის მიღწევის გამო, დაწესებულების დატოვების ორგანიზებას უზრუნველყოფს პენიტენციური დაწესებულების სოციალური განყოფილება. ბრძანება ითვალისწინებს პენიტენციური დაწესებულების ვალდებულებას ბავშვის გაყვანასთან და გაყვანის შემდეგ ბავშვის ადგილსამყოფელის განსაზღვრასთან დაკავშირებით. ბრძანება ითვალისწინებს მხოლოდ ბავშვის გაყვანის შემდეგ მსჯავრდებული დედის ფსიქოლოგიურ დახმარებას და მის სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართვას.

**რეკომენდაცია:**

იუსტიციის მინისტრსა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 31 აგვისტოს ერთობლივ N105 - N01 – 57/ნ ბრძანებაში შევიდეს ცვლილება და გათვალისწინებულ იქნას ბავშვის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის შესწავლა და რისკების შეფასება დაწესებულებიდან მის გაყვანამდე;
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 31 აგვისტოს ერთობლივ N105 - N01 – 57/ნ ბრძანებაში გაიწეროს ბავშვის გაყვანამდე მსჯავრდებული დედის ფსიქოლოგიური დახმარების ვალდებულება და მისი სპეციალურ სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართვა.

**რეკომენდაცია:**

იუსტიციის მინისტრს და პარლამენტს:

- საქართველოს პატიმრობის კოდექსში შევიდეს ცვილებები და დაკონკრეტდეს გათავისუფლებისათვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მიღების კრიტერიუმები. კრიტერიუმების შემუშავებისას გათვალისწინებზულ იქნას გენდერ-სპეციფიკური საჭიროებები და ქალის მიერ გადატანილი ძალადობის და ვიქტიმიზაციის ისტორია.

# 11. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საბიუჯეტო დაფინანსება და პროგრამული პრიორიტეტები 2017-2018 წლების მონაცემები

## ზოგადი ინფორმაცია საბიუჯეტო ასიგნებების შესახებ

2018 წელს 2017 წელთან შედარებით 11 მილიონით გაიზარდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საბიუჯეტო დაფინანსება, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

,,საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის თანახმად, 2018 წელს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ბიუჯეტი შეადგენდა 150 მილიონ ლარს[194], რაც თითქმის 11 მილიონი ლარით აჭარბებს 2017 წლის მაჩვენებელს. 2017 წელს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დაფინანსება შეადგენდა 139 მილიონ 100 000 ლარს[195].

პენიტენციური სისტემის დაფინანსება და პროგრამული პრიორიტეტები

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბებისთვის გამოიყო 143 მილიონ 600 000 ლარი. 2017 წელს, გამოიყო თითქმის 4 მილიონი ლარით ნაკლები 131 მილიონ 100 000 ლარი. აქედან პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება, მართვა და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესებაზე გამოიყო 114 მილიონ 600 000 ლარი. 2017 წელს, გამოიყო თითქმის 2 მილიონით ნაკლები - 112 მილიონ 670 000 ლარი.

194 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3938064?publication=1
195 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი, https://www.matsne.gov.ge/document/view/3495562?publication=2

2018 წელს, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფაზე გამოიყო 5 მილიონი ლარი. 2017 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო თითქმის ნახევარი მილიონით ნაკლები - 450 მილიონი ლარი.

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით ერთ-ერთ პროგრამულ პრიორიტეტს წარმოადგენს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია/რეაბილიტაცია და მათი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა. 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი განსაზღვრავს შემდეგი სახის პროგრამულ პრიორიტეტებს:

- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოსაყალიბებლად, საქართველოს კანონმდებლობის ანალიზისა და საერთაშორისო ორგანიზაციების, დამოუკიდებელი ექსპერტებისა და საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციების გათვალისწინებით, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება და ღონისძიებების განხორციელება.
- პენიტენციური სისტემის ადმინისტრირების სრულყოფა;
- პენიტენციური სისტემისთვის საჭირო კვებითი მომსახურებით უზრუნველყოფა;
- პენიტენციური სისტემისთვის საჭირო უნიფორმით, რბილი ინვენტარითა და პირადი ჰიგიენისათვის აუცილებელი საშუალებებით უზრუნველყოფა;
- ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია/რესოციალიზაცია (მსჯავრდებულთა შრომით საქმიანობაში და პროფესიულ/სახელობო, სარეაბილიტაციო სატრენინგო/საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვის შესაძლებლობის გაზრდა);
- ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამართლებრივი გარანტიების გაძლიერება;
- ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალწამლო საშუალებებით უზრუნველყოფა, მათთვის სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურების მიწოდება პენიტენციური სისტემის შიგნით და მის გარეთ;
- პენიტენციური ჯანმრთელობის დაცვის სტანდარტის შესაბამისად პრევენციული (პროფილაქტიკური) ღონისძიებების განხორციელება ჰიგიენის, გადამდები დაავადებების კონტროლის და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის მიზნით.

## პრობაციის სისტემის დაფინანსება და პროგრამული პრიორიტეტები

2018 წელს, პრობაციის სისტემაზე გამოიყო 5 მილიონ 400 000 ლარი. 2017 წელს, პრობაციის სისტემის სრულყოფისთვის გამოიყო თითქმის მილიონით მეტი - 6 მილიონ 130 000 ლარი.

პრობაციონერთა სარეაბილიტაციო პროგრამებით უზრუნველყოფა ბიუჯეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს.

პროგრამული პრიორიტეტებია:

- საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთააღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარება;
- სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება და მათში პრობაციონერთა ჩართვა;
- მსჯავრდებულთა სასჯელის სახის – შინაპატიმრობის სრულყოფილი აღსრულება ელექტრონული მონიტორინგის სისტემის საშუალებით

2018 წელს, დანაშაულის პრევენციასა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციაზე გამოიყო მილიონ 285 000 ლარი. ანალოგიური თანხა გამოიყო 2017 წელსაც.

პროგრამული პრიორიტეტებია:

- დანაშაულის გამომწვევი რისკ-ფაქტორების შესამცირებლად ბენეფიციართა ფსიქო-სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, ყოფილ პატიმართა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით მათი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების გადაჭრა;
- ყოფილი პატიმარებისთვის შრომის ბაზრის მოთხოვნების ადეკვატური ტრენინგების/პროფესიული გადამზადების კურსების შეთავაზება და პოტენციურ დამსაქმებელთან რეკომენდაციის გაწევა;

პროგრამების ანალიზისას უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოსთვის ბიუჯეტის დონეზე პრიორიტეტს წარმოადგენს მსჯავრდებულთა, პრობაციონერთა და ყოფილ მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია/რეაბილიტაცია და მათი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

რაც შეეხება დაფინანსებას, პენიტენციური სისტემის დაფინანსების ზრდა აღინიშნება 2018 წელს 2017 წელთან შედარებით. დანაშაულის პრევენციის მიმართულებით და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცი/

რეაბილიტაციაზე გაწეული ხარჯები 2017 და 2018 წლებში იდენტურია. 2018 წელს, კი შემცირებულია პრობაციის სისტემის დაფინანსება 2017 წელთან შედარებით, რაც უარყოფით ტენდენციაზე მიუთითებს.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარვეზს წარმოადგენს ის, რომ იგი არ არის გენდერ-სენსიტიური და არ ითვალისწინებს ქალ მსჯავრდებულთა, ყოფილ მსჯავრდებულთა და პრობაციონერთა საჭიროებების კონკრეტულ ასახვას ბიუჯეტში. სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმატში ცალკე პროგრამულ პრიორიტეტად არ გაწერს კანონთან კონფლიქტში მყოფ ქალთა საჭიროებებს, რაც უარყოფითად უნდა შეფასდეს.

# 12. სოციოლოგიური კვლევის შედეგები

## შესავალი, პრობლემების აღწერა და კვლევის საგანი

საქართველოში პატიმარი ქალები პატიმართა საერთო რაოდენობის ძალიან მცირე - მხოლოდ 2.8%-ს წარმოადგენენ.[196] მათი საჭიროებები და პრიორიტეტები ხშირად განსხვავდება მამაკაცებისგან და შეიძლება ყურადღების მიღმა დარჩეს.

წინამდებარე კვლევის მიზანია სტიგმის, ძალადობისა და დისკრიმინაციის მსხვერპლი პატიმარი, პრობაციონერი და ყოფილი პატიმარი ქალების საჭიროებების გამოვლენა და შეფასება ქვეყანაში მოქმედი პოლიტიკის, კანონმდებლობის, არსებული მხარდამჭერი პროგრამებისა და გამოწვევების ჭრილში.

აღსანიშნავია, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი და პატიმარი ქალების მამრობითი სქესისაგან განსხვავებულად მოპყრობა არ არის უსამართლო და დისკრიმინაციული. სინამდვილეში, პირიქით. მსჯავრდებულ და პატიმარ ქალებს გააჩნიათ გამორჩეული საჭიროებები, რომელთა იდენტიფიცირებაც და უზრუნველყოფაც უნდა მოხდეს, რათა მათ მიმართ განხორციელდეს სამართლიანი მიდგომა.

სოციოლოგიურ კვლევაში მონაწილეობის შესაძლებლობა მიეცა ყველა პატიმარ ქალს N5 პენიტენციურ დაწესებულებაში. 2018 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით დაწესებულებაში იმყოფებოდა 304 ბრალდებული და მსჯავრდებული ერთად[197]. მათ შორის 46 ბრალდებული და 258 მსჯავრდებული. ასევე თბილისის, გორის, რუსთავის, კახეთისა და ზუგდიდის პრობაციის ბიუროებში რეგისტრირებულ პრობაციონერებს (2017 – 2018 წლის მდგომარეობით) და ყოფილ პატიმრებს (2017 – 2018 წლის მდგომარეობით).

ანკეტური გამოკითხვა კვლევის მიზნის გათვალისწინებით განხორციელდა ორ ეტაპად. პირევლ ეტაპზე სტიგმის/დისკრიმინაციისა და/ან ძალადობის მსვერპლი პატიმარი, პრობაციონერი და ყოფილი პატიმარი ქალების გამოსავლენად სპეციალურად შემუშავებული ანკეტების საშუალებით ნებაყოფლობითობის საფუძველზე გამოიკითხა პატიმარი, პრობაციონერი და ყოფილი პატიმარი ქალები. პირველადი გამოკითხვის მიზანი იყო პატიმარ, პრობაციონერ და ყოფილ პატიმარ ქალთა შორის გამომგვევლინა ისინი, ვინც საკუთარ თავს მიიჩნევდა სტიგმის, დისკრიმინაციისა და/ან ძალადობის მსხვერპლად.

მეორე ეტაპზე მხოლოდ ამ კონკრეტული ჯგუფის გამოკითხვა მოხდა ანკეტირების, ჩაღრმავებული ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების საშუალებით, რათა დეტალურად განგვესაზღვრა კონკრეტული საჭიროებები და მოთხოვნები თითოეული მათგანის მიმართ[198].

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ნებისმიერ ქალს, შეეძლო მონაწილეობა მიეღო კვლევაში, ფოკუს ჯგუფებში თუ ჩაღრმავებულ ინტერვიუებში. შესაბამისად, გამოყენებული იქნა მხოლოდ ნებაყოფლობითი შერჩევის მეთოდი. კითხვარების მეშვეობით მოპოვებული ინფორმაციის შეტანა და დამუშავება მოხდა სპეციალურად შექმნილი მონაცემთა ბაზის მეშვეობით. კითხვარის მეშვეობით გამოკითხულმა ზოგიერთმა პატიმარმა ქალმა ასევე მონაწილეობა მიიღო ფოკუსურ ჯგუფებსა და ჩაღრმავებულ ინტერვიუებში.

196 „პატიმარ ქალთა საჭიროებები და პრიორიტეტები საქართველოში“ http://georgia.unwomen.org/en/digital-library/publications/2014/01/needs-and-priority-issues-of-women-prisoners-in-georgia

197 მათ შორის უცხო ქვეყნის მოქალაქე/მოქალაქეობის არმქონე პირი - 48. ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სტატისტიკა პენიტენციურ დაწესებულებაში.

198 ანკეტის შინაარსის ძირითადი აქცენტები: რა სახის ძალადობის მსხვერპლები გამხდარან/არიან მსჯავრდებული ქალები/მათი შვილები; სახელმწიფოს მხრიდან მიღებული ზომები; რა სერვისებით ისარგებლეს მათ სახელმწიფოს და/ან არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან; არსებული სერვისების შეფასება; დამატებითი საჭიროებების გამოვლენა.

| პატიმართა საერთო რაოდენობა | გამოკი-თხულთა რაოდენობა | ძალადობა/ დისკრი-მინაციის/ სტიგმის მსხვერპლ პატიმართა საერთო რაოდენობა | პრობაცი-ონერთა საერთო რაოდენობა თბილისი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, კახეთი, სამეგრელო | გამოკითხულ პრობა-ციონერთა საერთო რაოდენობა | სტიგმა/ ძალადობა/ დისკრი-მინაციის მსხვე-რპლთა რაოდენობა | ყოფილ პატიმართა საერთო რაოდენობა 2018 წლის მდგომა-რეობით | გამო-კითხულ ყოფილ პატიმა-რთა რაო-დენობა | სტიგმა/ ძალა-დობა/ დისკრი-მინაციის მსხვე-რპლთა რაო-დენობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 304 | 58 | 23 | 300 | 122 | 59 | 50 | 13 | 13 |

1. პატიმარ ქალთა შორის ჩატარებული კვლევის შედეგები

პატიმარ ქალთა შორის ჩატარებული პირველადი კვლევის - ანკეტირების საფუძველზე ნებაყოფლობით გამოკითხულ 58 პატიმარ ქალს შორის ძალადობის, სტიგმის და/ან დისკრიმინაციის მსხვერპლად საკუთარ თავს მიიჩნევს 23 პატიმარი ქალი. მათ შორის:

| ძალადობის მსხვერპლი პატიმარი ქალების რაოდენობა | დისკრიმინაციის მსხვერპლი პატიმარი ქალების რაოდენობა | სტიგმის მსხვერპლი პატიმარი ქალების რაოდენობა |
|---|---|---|
| 23 | 0 | 9 |

- გამოკითხულ 23 ქალს შორის ექვსისთვის ამჟამინდელი პატიმრობა არ არის პირევლადი მსჯავრი.
- გამოკითხულ 23 ქალს შორის მხოლოდ 4 მიიჩნევს თავს დისკრიმინაციის მსხვერპლათ, თუმცა დაზუსტებულ კითხვებზე პასუხებიდან ირკვევა, რომ არცერთმა მათგანმა კონკრეტულად არ იცის რას ნიშნავს დისკრიმინაცია და ამ უკანასკნელს აიგივებს ოჯახში ძალადობასთან.
- 9 გამოკითხული პატიმარი ქალი აცხადებს, რომ სტიგმის მსხვერპლია. მათ შორის 6 ქალს (რომლებმაც ჩაიდინეს განმეორებითი დანაშაული) გამოცდილი აქვს საკუთარ თავზე ნასამართლობის სტიგმა და აცხადებს რომ დასაქმებაში ხელის შეშლის მიზეზი იყო სწორედ წინა ნასამართლობა, ხოლო 3 ქალი პატიმრობის შედეგად ოჯახის დანგრევის განაცხადს აკეთებს.
- 23 ქალიდან 21 აცხადებს, რომ არის ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი მათ შორის 19 - ქმრის/ პარტნიორის მხრიდან, 1 მამის და 1 - ძმის მხრიდან. 2 მსჯავრდებული ქალი არის ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი დედამთილის მხრიდან. 23 გამოკითხულიდან რვა ბენეფიციარს გარდა ცემისა და ჩხუბის გამოუცდია სექსუალური ძალადობა, მათ შორის 2 მსჯავრდებულ ქალს გაუპატიურება სხვათა თანდასწრებით.

| გამოკითხულთა რაოდენობა | ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი | ქმრის/ პარტნიორის მხრიდან | მამის მხრიდან | ძმის მხრიდან | ფსიქიკური ძალადობის მსხვერპლი | სექსუალური ძალადობის მსხვერპლი 23 -დან |
|---|---|---|---|---|---|---|
| 23 | 21 | 19 | 1 | 1 | 2 | 8 |

# 13. პატიმარ ქალთა შორის ჩატარებული კვლევის ძირითადი შედეგები

**1. ასაკი, ეროვნება, ოჯახური მდგომარეობა და შვილები**

23 გამოკითხული ბენეფიციარიდან, 15 მსჯავრდებულ ქალზე - მესამედზე მეტი 31-დან 50 წლამდე ასაკისაა, მაშინ როდესაც 19-დან 31-მდე - 4, ხოლო 50 წელს ზემოთ - 4 მსჯავრდებული ქალია.

კვლევის ჩატარების პერიოდში დაწესებულებაში არ იმყოფებოდა 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი ქალი პატიმარი. როგორც წესი, მათი განთავსება ხდება ქალთა ციხეში სპეციალურად გამოყოფილ საკნებში და მათ შესაძლებლობა აქვთ დაესწრონ გაკვეთილებს დაწესებულებაში.

| გამოკითხულთა რაოდენობა | პატიმარ ქალთა ასაკი |
|---|---|
| 8 | 41-დან 50-მდე |
| 7 | 31-დან -40 მდე |
| 4 | 51 წლის და ზემოთ |
| 3 | 22 - დან - 30 მდე |
| 1 | 19-დან 21-მდე |

- პატიმრობაში იმყოფებოდა უცხო ქვეყნის 2 მოქალაქე შემდეგი ქვეყნებიდან: სამხრეთ აფრიკა და ბრაზილია.
- გამოკითხულ ქალთა უმეტესობა, ნახევარზე მეტი განქორწინებულია.

### ოჯახური მდგომარეობა

| გამოკითხულთა რაოდენობა | პატიმარ ქალთა ოჯახური მდგომარეობა |
|---|---|
| 2 | დაქორწინებული |
| 12 | განქორწინებული |
| 6 | ქვრივი |
| 3 | ცხოვრობს პარტნიორთან ერთად |

გამოკითხულ ქალთა შორის 20 ჰყავს შვილი/შვილები. მათ შორის 12 ქალს ჰყავს არასრულწლოვანი შვილი. მათგან 2 პატიმარ ქალს ჰყავს შვილი მოთავსებული ბავშვთა სამზრუნველო დაწესებულებაში. პატიმარი ქალების ბავშვების უმეტესობა ცხოვრობს დედის ოჯახში, ხოლო 2 ბავშვი - ქალთა N5 პენიტენციურ დაწესებულებაში დედასთან ერთად. დანარჩენი შვილები ცხოვრობენ მამასთან, ნათესავებთან, ან - დამოუკიდებლად.

| გამოკითხულთა რაოდენობა | ბავშვები |
|---|---|
| 20 | ჰყავს შვილები |
| 2 | არ ჰყავს |
| 17 | ცხოვრობენ დედასთან |
| 12 | ყავს არასრულწლოვანი შვილები |
| 0 | მინდობით აღზრდაში |
| 3 | მამასთან |
| 0 | ბავშვთა სამზრუნველო დაწესებულებაში |

### განათლება და დასაქმება

| გამოკითხულთა რაოდენობა | განათლების დონე |
|---|---|
| 6 | სრული უმაღლესი |
| 13 | საშუალო |
| 4 | არასრული უმაღლესი |
| 0 | არასრული საშუალო |
| 0 | არ იცის წერა-კითხვა |
| 0 | დაწყებითი განათლება |

ა. გამოკითხულ პატიმარ ქალთა შორის არცერთი არ არის წერა კითხვის უცოდინარი, 6 მათგანს აქვს სრული უმაღლესი განათლება (ბაკალავრის ან უფრო მაღალი ხარისხი), 4 არასრული უმაღლესი განთლება, ხოლო 13 სრული საშუალო განათლება (11 ან 12 კლასი).

ბ. 8 ქალი ამბობს რომ, საშულო შემოსავლის მქონე ოჯახიდანაა, 15 კი თავს ღარიბად ან ძალიან ღარიბად მიიჩნევს.

# ჩადენილი დანაშაულები და სასჯელები

23 გამოკითხულიდან ყველა მსჯავრდებულია. მათ ბრალი ედებოდათ შემდეგ დანაშაულებში:

- 40%-ს ბრალი ედებოდა საკუთრების წინააღმდეგ არაძალადობრივ დანაშაულში, როგორიცაა ქურდობა, გაფლანგვა, თაღლითობა და ფულის გამოძალვა.
- 27.8%-ს ბრალი ედებოდა ნარკოტიკულ დანაშაულში, მათ შორის ნარკოტიკული საშუალებების გასაღება, გადაცემა, ტრანსპორტირება და შენახვა დიდი ოდენობით.
- მსჯავრდებული ქალების მხოლოდ 5.7%-ს ედებოდა ბრალი მკვლელობასთან დაკავშირებულ დანაშაულში.
- მსჯვრდებული ქალების 4.8%-ს ბრალი ედება ისეთ დანაშაულებში, როგორიცაა თავისუფლების უკანონო აღკვეთა, მძევლად ხელში ჩაგდება, მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევა, ხმის მიცემის უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლა, გაფიცვის უფლების ხელყოფა, ასევე შრომის დაცვის წესის დარღვევა.

| რაოდენობრივი მაჩვენებელი | პატიმარ ქალთა მიერ ჩადენილი დანაშაულები და სასჯელები |
|---|---|
| 9 | საკუთრების წინააღმდეგ |
| 10 | ნარკოტიკული |
| 2 | დაუკონკრეტებელი |
| 2 | მკვლელობასთან დაკავშირებული |

### ამნისტია, შეწყალება და ვადაზე ადრე პირობით გათავისუფლება

გამოკითხულ პატიმარ ქალებს შორის 13 მიუმართავს შეწყალების ან პირობით ვადამდე გათავისუფლების თხოვნით, ხოლო 10-ს არ მიუმართავს.

| 2017 - 2018 წლის მონაცემებით | ამნისტიით | შეწყალებით | ვადაზე ადრე გათავისუფლებით |
|---|---|---|---|
| | 0 | 13 | 2 |

# გასაჩივრების მექანიზმებზე წვდომა

ქვემოთ მოყვანილი მონაცემები ეხება როგორც საჩივრებს ციხის ადმინისტრაციის მიმართ, ასევე სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენების გასაჩივრებას, რომლის მიხედვითაც ქალები ცნეს დამნაშავედ.

პრაქტიკაში საჩივრების ყუთი ძალზე იშვიათად გამოიყენება. საჩივრებისა და თხოვნების გაგზავნის უპირატესი საშუალება, ძირითადად, დაწესებულების სოციალური მუშაკების მეშვეობით გადაცემაა.

ფოკუს ჯგუფებში განხილვის შედეგების მიხედვით, კვლევის ჩატარების პერიოდში პატიმართა ძირითადი სადარდებელი და საჩივრები შეეხებოდა სისხლის სამართლის საქმეებისა და სანქციების პროპორციულობის გადახედვას, ასევე პატიმრობის ხანგრძლივობას და მიმართული იყო სხვა სახელისუფლებო ორგანოებისადმი.

| გამოკითხულ პატიმარ ქალთა რაოდენობა | გასაჩივრების უფლების გამოყენება |
|---|---|
| 0 | არ გამოუყენებია საჩივრით მიმართვის უფლება |
| 23 | გამოიყენა საჩივრით მიმართვის უფლება |
| 0 | არ იცოდა, რომ ჰქონდა ამის უფლება |
| | პასუხი გასაჩივრებაზე |
| 3 | საჩივარს რეგირება არ მოჰყოლია |
| 12 | საჩვარი არ დაკმაყოფილდა |
| 5 | საჩივარი განხილვის პროცესშია |
| 3 | საჩივარი დაკმაყოფილდა |

# 14. ძირითადი შედეგები ქალი პატიმრების მიმართ მოპყრობისა და ზრუნვის შესახებ

## ჯანდაცვაზე წვდომა

გამოკითხულ პატიმართა 76% აღნიშნა, რომ ციხეში მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა. ქალთა მეხუთედს მდგომარეობა არ შეცვლია, ხოლო 3% აღნიშნავდა, რომ მათი მდგომარეობა გაუმჯობესდა.

მკურნალობის საჭიროების შემთხვევაში, 76% გამოკითხულთაგან აღნიშნავდა, რომ, სახელმწიფომ უზრუნველყო მათი დახმარება, 13% – ოჯახის სახსრებით იმკურნალა, 11 % – საკუთარი ხარჯებით (წამლების შეძენის ან კერძო ექიმის მომსახურების საფასურის ხარჯები).

გამოკითხულთა 76% ადასტურებს, რომ საჭიროებს მკურნალობას ციხეში, ხოლო 24% აღნიშნა, რომ არა აქვს ამის საჭიროება.

ამგვარი საჭიროების მქონეთა 74%-მა აღნიშნა, რომ მკურნალობა მიეწოდებათ, ხოლო 26%-მა მიუთითა, რომ ვერ იღებს სათანადო დახმარებას.

გამოკითხული ქალების 75% მიუთითებს, რომ რეგულარულად უტარდება პროფილაქტიკური/პრევენციული შემოწმება (სკრინინგი), 25%-მა უარყოფითი პასუხი გასცა ამ კითხვას.

59% აღნიშნა, რომ იღებს ინფორმაციას სხვადასხვა დაავადებების შესახებ, ხოლო 41% თქვა, რომ ამგვარი ინფორმაცია არ მიეწოდება.

იმ შემთხვევაში, როდესაც პატიმრობის პერიოდში იყო ორსული ან მეძუძური დედა, გამოკითხულთა 82% აღნიშნა, რომ არ მიუღია სათანადო სამედიცინო დახმარება, მხოლოდ 18% უპასუხა დადებითად ამ კითხვას. ეს კითხვა რელევანტური იყო გამოკითხულთა 38%-სთვის.

ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში, გამოკითხულთა 57% მიიჩნევს, რომ მოთხოვნის საფუძველზე ექიმის მოწვევის შესაძლებლობა არა აქვს, ხოლო 43% თვლის, რომ ამის შესაძლებლობა არსებობს.

დადებითი პასუხის შემთხვევაში ხარჯებს ფარავს მსჯავრდებულთა ოჯახი – 54%, თავად მსჯავრდებული – 21%, არასამთავრობო ორგანიზაციები – 13% და სხვა – 13%.

საჭიროების შემთხვევაში სამოქალაქო ჯანდაცვის დაწესებულებაში გადაყავთ გამოკითხულთა – 60%, ხოლო 40% მიუთითებს, რომ არ ხდება მათი გაყვანა.

გამოკითხულ პატიმართა მოსაზრებით ხელმისაწვდომი სამედიცინო სერვისებია: ა) პირველადი ჯანდაცვის მომსახურება (ამბულატორიული), რომელიც ხელმისაწვდომია გამოკითხულთა 46%; ბ) ფსიქიკური ჯანდაცვის სერვისი 12%; გ) პროფილაქტიკური ჯანდაცვა 13%; დ) სტაციონარული მომსახურება 11%; დ) აივ/შიდსის – პრევენცია და მკურნალობა 7%; ე) ნარკოტიკზე დამოკიდებულების მკურნალობა 4%; ვ) რეპროდუქციული და სექსუალური მკურნალობა 4%; ზ) მშობიარობამდე და მშობიარობის შემდგომი მკურნალობა 3% ; თ) სხვა სამედიცინო სერვისი 2%.

გამოკითხულთა 87% მიიჩნევს, რომ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების შემთხვევაში ციხის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სამედიცინო მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალობას, ხოლო 13% ფიქრობს, რომ ეს ასე არაა.

საჭიროების შემთხვევაში მედიკამენტებს აწვდით: 62%–ის განცხადებით ადმინისტრაცია და სამედიცინო დეპარტამენტი, 21% – თვითონ ყიდულობს დაწესებულების აფთიაქში, 16%-ს ამარაგებს ოჯახი და ახლობლები, 1% – არასამთავრობო ორგანიზაცია.

კვლევის ფარგლებში ვეცადეთ გამოგვევლინა ქალი მსჯავრდებულების სამედიცინო ხასიათის ჩივილები და პრობლემები. კითხვაზე თუ რა სახის სამედიცინო მომსახურება სჭირდებათ პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულ ქალებს, მივიღეთ ზოგადი პასუხები, კერძოდ, ისინი საჭიროებენ სრული სამედიცინო მომსახურებას, კომპლექსური გამოკვლევებს, მედიკამენტებით უზრუნველყოფას, სამედიცინო ჩივილებზე და პრობლემებზე დროული რეაგირებას, დიაგნოსტიკური კვლევებასა და თანამდევი მკურნალობის ჩატარებას, ექიმის კონსულტაციას;

გამოკუთხულთაგან გამოიკვეთა სადიაგნოსტიკო მომსახურების საჭიროება: ონკოლოგიური გამოკვლევა, ექოსკოპია, კარდიოლოგიური გამოკვლევა, რენტგენი, ნევროლოგიური გამოკვლევა, მუცლის ღრუს გამოკვლევა, კუჭ-ნაწლავის გამოკვლევა, ხერხემლის და სახსრების ტომოგრაფია, ენდოკრინოლოგიური გამოკვლევა, ხერხემლის რენტგენოგრაფია, ა.შ.

სპეციალიზებული მკურნალობის საჭიროების კუთხით: ონკოლოგიური, სტაციონარული მომსახურება, პირველადი სამედიცინო დახმარება, ხუდადოვის ტუბდისპანსერში გაყვანა, უროგენიტალური ინფექციების მკურნალობა, C ჰეპატიტზე მკურნალობა, დიაბეტის, გულსისხლძარღვთა დაავადებების მკურნალობა, თირკმელზე მკურნალობა, შაქრიანი დიაბეტის მკურნალობა, ფსიქოლოგიური კონსულტაციები, სახსრების ართრიტის მკურნალობა, ნაღვლკენჭოვანი დაავადებების მკურნალობა და ქირურგია, ქიმიოთერაპია, ეპილეფსიის მკურნალობა, ნევროლოგის კონსულტაცია, ქრონიკული, მწვავე ფრონტიტის მკურნალობა, ყელზე სიმსივნის ოპერაციის გაკეთება, სტომატოლოგიური მომსახურება, ფსიქიატრიულ-სტაციონარული დახმარება, ალერგოლოგის დახმარება, ა.შ.

დამხმარე სამედიცინო საშუალებების საჭიროების მხრივ: თვალის პროტეზირება, სმენის აპარატი, სახსრების პროტეზირება, ა.შ.

გენდერ-სპეციფიური ხასიათის სამედიცინო ჩივილები/პრობლემების კუთხით გამოვლინდა საჭიროება/მოთხოვნა: PAP ტესტის დროული დიაგნოსტირებაზე, გინეკოლოგიური მომსახურებაზე, მამოლოგიური გამოკვლევაზე, ორსულობასთან დაკავშირებული გამოკვლევაზე, გინეკოლოგიური გამოკვლევაზე, მიომის, ფიბრომის, კისტის  სრული გამოკვლევაზე, საკეისრო კვეთასა და ქალური დაავადებების მკურნალობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ციხეებში ჯანდაცვის სისტემის მართვა და ადმინისტრირება სისხლის სამართლის რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია და ყურადღება მიექცა იმ პრობლემებს, რომლებიც წინა წლებში არსებობდა, კვლავ პრობლემურად რჩება ისეთი საკითხები, როგორიცაა სტაციონარული მკურნალობა, სხვადასხვა დაავადებების კომპლექსური მკურნალობა, სპეციალიზებული მკურნალობა, მაგ. ნარკოდამოკიდებულების და გენდერ-სპეციფიკური ჯანდაცვის საჭიროებები პატიმარი ქალებისთვის.

გამოკითხული მსჯავრდებული ქალების მიერ სხვა სამედიცინო პრობლემებიდან გამოიყო ორი პრობლემური საკითხი, კერძოდ

- ხშირ შემთხვევაში არ ხდება ქალების სამოქალაქო საავადმყოფოებში დიაგნოზირებისთვის დროული გადაყვანა;

- ისინი ვერ იღებენ დანიშნულ წამლებს დროულად.

პენიტენციურ სისტემასი სათანადო სტანდარტების, ასევე, ისეთი სამედიცინო დაწესებულებების არარსებობა, რომელიც მოემსახურება მხოლოდ ქალებს, ამძიმებს პატიმრების ჯანმრთელობის მდგომარეობას მომსახურების შეფერხებით ან არასრულად მიწოდების გამო. ხშირ შემთხვევაში, შეუძლებელია მათი დროული გადაყვანა სამოქალაქო საავადმყოფოებში. პატიმრებს უწევთ ლოდინი რამდენიმე დღის ან კვირის განმავლობაში. ლოდინის რეჟიმი ხშირად გამოწვეულია იმ საავადმყოფოებში ადგილების ნაკლებობით, რომლებთანაც სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს აქვს ხელშეკრულება სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის შესახებ.

პრობლემები არსებობს სხვადასხვა დაავადებების მქონე პატიმრების კომპლექსურ გამოკვლევასა და მკურნალობასთან დაკავშირებითაც. ზოგჯერ ვერ ხერხდება მათთვის ყველა გამოწერილი მედიკამენტის ერთდროულად მიწოდება. ხშირ შემთხვევაში, კომპლექსური მკურნალობა დაგვიანებულია ყველა მედიკამენტის ერთდროულად მიწოდების დაგვიანების გამო. პატიმრებს მედიკამენტების შეძენისა და მიწოდებისთვის ლოდინი უწევთ, რაც შეიძლება ერთ თვეზე მეტიც გაგრძელდეს.

სამედიცინო სფეროში არსებული პრობლემების საბოლოოდ გადაჭრის მიზნით, აუცილებელია სასჯელაღსრულების სისტემაში ხარისხის კონტროლის და რეფერალური მექანიზმების გაუმჯობესება, გენდერ-სპეციფიკური საკითხების გათვალისწინებით.

## ფსიქიკური ჯანმრთელობა

ამჟამად ფსიქოლოგიური პრობლემები აწუხებს გამოკითხულთა შორის 19 პატიმარს, დანარჩენ 4 პატიმარს ფსიქოლოგიური პრობლემები არ აწუხებს.

| გამოკითხულ პატიმარ ქალთა რაოდენობა, რომელი უჩივის ფსიქოლოგიურ პრობლემებს | გამოვლენილი ფსიქოლოგიური პრობლემები |
|---|---|
| 3 | უძილობა |
| 8 | დეპრესია |
| 18 | შფოთვა |
| 5 | შიშები |
| 0 | აგრესია |
| 3 | ფსიქოტროპული წამლების მოხმარება |
| 12 | მარტოობა |
| 0 | თვითგაზიანებისაკენ მიდრეკილება |
| 2 | თვითმკვლელობაზე ფიქრი |
| 7 | სხვა |

ამ მონაცემებით თვალსაჩინოა, რომ პატიმარ ქალებს აწუხებთ სხვადასხვა ფსიქოლოგიური ჩივილები.

გამოკითხულთა შორის 15 მიუთითებს, რომ აღნიშნულმა პრობლემებმა თავი იჩინა პატიმრობის პერიოდში, 4-ს აწუხებდა პატიმრობამდეც და პატიმრობის პერიოდში გაუმწვავდა.

გამოკითხულთა 50% მიიჩნევს, რომ უტარდებათ ფსიქოლოგის ან ფსიქიატრის კონსულტაცია და მკურნალობა, ხოლო 50% აცხადებს, რომ ვერ იღებს აღნიშნულ დახმარებას.

ფსიქიკური ან ფსიქოლოგიური პრობლემის არსებობისას იღებენ შემდეგი სახის დახმარებას: 49% – ფსიქოლოგის ან ფსიქიატრის კონსულტაცია, 32% – სპეციალისტის მიერ დანიშნული დასამშვიდებელი საშუალებები, 19% – ფსიქოტროპული საშუალებები.

ამ შემთხვევაში მკურნალობას უზრუნველყოფს სახელმწიფო – 85%, პატიმრის ოჯახის ხარჯები – 15%. ფსიქოლოგიურ კონსულტაციებს ნაწილობრივ უზრუნველყოფენ სასჯელაღსრულების დაწესებულების სოციალური სამსახურის მიერ დაქირავებული ფსიქოლოგები, უფრო ინტენსიურად კი, ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ პატიმარი ქალების რეაბილიტაციის სერვისების მიწოდებაზე. კითხვარების და ჯგუფური განხილვების შედეგად ჩანს, რომ ქალები საჭიროებენ უწყვეტ და უფრო ინტენსიურ, ჩართულობით ფსიქოლოგიურ და ფსიქიკურ დახმარებას, ვიდრე ამჟამად იღებენ.

## ჰიგიენა

ჰიგიენურ საშუალებებს (სანიტარული პროდუქტი, საპონი, სარეცხი ფხვნილი, კბილის პასტა და ჯაგრისი და ა.შ.) პატიმარ ქალებს აწვდიან:

| გამოკითხულო პატიმარ ქალთა რაოდენობა | ჰიგიენური პროდუქტის მიწოდება |
|---|---|
| 19 | ოჯახის წევრი/ნათესავი |
| 4 | ყიდულობს დაწესებულების მაღაზიაში |
| 8 | ციხის ადმინისტრაცია |
| 3 | აწვდიან თანამესაკნე პატიმრები |
| 0 | ჰიგიენური საშუალებები არ მიეწოდებათ |
| 9 | არასამთავრობო ორგანიზაციები |

გამოკითხულთა შორის 16 აღნიშნა, რომ თვეში ერთხელ მიეწოდება ჰიგიენური საშუალებები, 4 მაჯვრდებულ ქალს– სამ თვეში ერთხელ, ხოლო 3 ბენეფიციარს ორ თვეში ერთხელ.

ციხეში არსებულ სანიტარიულ მდგომარეობას დადებითად ახასიათებს 14 გამოკითხული მაჯვრდებული ქალი. ქალებისთვის სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვა ციხეში რთულია. დაწესებულებაში შესვლის დროს პატიმარს მიეწოდება ერთი შეკვრა თეთრეული, ხოლო თვეში ერთხელ - ერთი სარეცხის საპონი და ერთი ჭიქა სარეცხი ფხვნილი. პატიმრებს ჰიგიენური საშუალებებით ამარაგებენ ოჯახის წევრები ან მეგობრები. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა მათთვის, ვინც სოციალურად დაუცველი ან უცხო ქვეყნის მოქალაქეა, ან არ ჰყავს ოჯახის წევრები ან ნათესავები.

## საცხოვრებელი პირობები

საცხოვრებელ პირობებთან მიმართებაში, პატიმარ ქალებს სურთ გაუმჯობესდეს შემდეგი ასპექტები[199]:

- გამოკითხულ ქალთა 15%-მა აღნიშნა, რომ სურს გაუმჯობესდეს დაწესებულების ზოგადი ფიზიკური გარემო (იგულისხმება გამწვანება);
- 14 % აღნიშნავს რომ პრობლემატურია ბეტონის იატაკი (ადგილზე არ არსებობს ხის იატაკი), რომელიც განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს პატიმრების რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე;
- თეთრეულის ხარისხის გაუმჯობესება პრიორიტეტს წარმოადგენდა გამოკითხულთა 14%-სთვის. ფოკუსურ ჯგუფებში მათ განაცხადეს, რომ თეთრეული მიეწოდებათ მხოლოდ დაწესებულებაში მიღებისას.
- ჰაერის კონდიცირებასა და ვენტილაციას პრობლემურად მიიჩნევს ქალი პატიმრების დაახლოებით 13%. როგორც ჩანს, ეს პრობლემა გამოწვეულია ორმაგი გისოსებით, რომლის

199 შესაძლებელი იყო რამდენიმე პასუხის მონიშვნა

გამოც შეუძლებელია ფანჯრის ბოლომდე გაღება და შესაბამისად საკნების წესიერი განიავება.

- სხვა პრობლემები, რომელიც აღნიშნა გამოკითხულთა 10%-მა ეხებოდა საკნის ფართს, ასევე საშხაპეებს, ცხელი წყლის პრობლემას და ტუალეტებს. გათბობა პრობლემას წარმოადგენს გამოკითხული პატიმრების 7%სთვის.
- ასევე აღინიშნა სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების საჭიროება, პლასტმასის ჭურჭლის გამოცვლა, რომელიც მიეწოდებათ მხოლოდ ერთხელ, წყლის (სუფთა) ხარისხის გაუმჯობესება, ფანჯრებიდან ორმაგი გისოსების მოხსნა.

# კვება

დაწესებულების მიერ მჯავრდებული ქალებისთვის მიწოდებულ კვების ხარისხს შემდეგნაირად აფასებენ გამოკითხული ქალები:

64% – საშუალო

21% – კარგი

15% – ცუდი

**კვების კუთხით მსჯავრდებული ქალები ითხოვენ, რომ გაუმჯობესდეს, როგორც საკვების ხარისხი, ასევე მენიუ. კერძოდ,**

37% – ხილის დამატება რაციონში

29% – ხარისხის გაუმჯობესება

12% – რძის პროდუქტებით რაციონის გამდიდრება

10% – ბოსტნეულის დამატება

8% – თევზეულის და ხორცის დამატება

3% – სხვა.

საკვების ზოგადი ხარისხი გაუმჯობესდა, განსაკუთრებით 2013 წლის დასაწყისში სასჯელაღსრულების მინისტრისა და ჯანდაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანების გამოცემის შემდეგ, რომელიც განსაზღვრავს საკვების ხარისხსა და მრავალფეროვნებას, თუმცა პატიმრები ისევ ჩივიან საკვების ნაკლებობასა და მის ხარისხზე (განსაკუთრებით ისინი, რომლებიც მთლიანად ციხის საკვებზე არიან დამოკიდებული და არ აქვთ ფინანსური საშუალება, შეიძინონ დამატებითი საკვები დაწესებულების მაღაზიაში ან დაუკავშირდნენ ოჯახის წევრებს). მეტი ყურადღება უნდა მიექცეს დაწესებულებაში მცხოვრები 3 წლამდე ასაკის ბავშვების კვებას. დედები ჩივიან მათი შვილებისთვის საკვების ნაკლებობაზე. ისინი ხშირად იძულებულნი არიან მათ საკუთარი საკვები გაუნაწილონ, რომელიც უმეტეს შემთხვევაში, არ შეესაბამება ჩვილი ბავშვების კვებით საჭიროებებს. პენიტენციური სისტემის თანამშრომლებთა ინტერვიუს ჩატარებისას გამოიკვეთა რომ პატიმრობის კოდექსში დაგეგმილი ცვლილებები, ითვალისწინებს ამ პრობლემის მოგვარებაში ადმინისტრაციის პასუხისმგებლობას. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია შეიცვალოს საქართველოს კანონმდებლობა ან შესაბამისი დებულებები, ისე რომ იგი უზრუნველყოფდეს პატიმარი ქალების მიერ მათი შვილების ძუძუთი კვების წახალისებას, თუ არ არსებობს შემაფერხებელი გარემოება ჯანმრთელობის მდგომარეობის სახით. უნდა გამკაცრდეს კონტროლი და მონიტორინგი უნდა განხორციელდეს თუ რა ხდება პრაქტიკაში და რამდენად შეესაბამება რეალობაში პატიმარი ქალებისათვის მიწოდებული საკვები მინისტრთა ბრძანებით დადგენილ სტანდარტებს. სხვა საკითხები, რომლებიც საჭიროებს შემდგომ განვითარებას მოიცავს, სპეციალური დიეტური რეჟიმებსა და სურსათის ხარისხს ისეთი ქრონიკული დაავადებების მქონე ქალებისთვის, როგორიცაა დიაბეტი, გასტრიტი, და ა.შ. ასევე განსაკუთრებით ყურადსაღებია ბრალდებულის/მსჯავრდებულის უფლება ჰქონდეს შეუზღუდავი რაოდენობით სუფთა სასმელი წყალი. წინასწარ პატიმრობაში მყოფი პატიმრები გამოკითხვისას აღნიშნავდნენ სასმელი წყლის უხარისხობას, რის გამოც მათ უწევთ წყლის შეძენა დაწესებულებაში არსებულ მაღაზიაში ან მისი მიღება ოჯახებისგან ამანათის მეშვეობით.

# კონტაქტი გარესამყაროსთან

შვილებთან კონტაქტის საშუალება აქვს გამოკითხულთაგან 20-ს, ხოლო 3-ს არა აქვს ამის საშუალება.

ოჯახის წევრებთან და ახლო ნათესავებთან კონტაქტის სიხშირეს რაც შეეხება:

მსჯავრდებული ქალების 38% წელიწადში ერთხელ ეკონტაქტება მისი ოჯახის წევრებს, 31% გამოკითხული პატიმარი ქალი ყოველდღიურად, 20% – კვირაში ერთხელ, 9% – თვეში ერთელ, ხოლო 2% – სამ თვეში ერთელ.

ოჯახის წევრებთან შეხვედრის სიხშირეს რაც შეეხება, მსჯავრდებულ ქალების 28% - სურვილისამებრ ხვდება ოჯახის წევრებს, 22% - თვეში ერთელ, 21% - თვეში რამდენჯერმე, 18% - იშვიათად, ხოლო 11 % -საერთოდ არ ნახულობს ოჯახის წევრებს და ახლო ნათესავებს.

ამ უკანასკნელის მიზეზებად დასახელდა შემდეგი ფაქტორები, კერძოდ: დედას არ უნდა შვილებმა ციხეში ნახოს, ოჯახს აქვს ფინანსური პრობლემები, მშობლები არ ცხოვრობენ საქართველოში და მოხუც ბებია-პაპას არა აქვს ნახვის შესაძლებლობა, შვილი კრიზისულ ცენტრშია და უჭირს დედის ციხეში ნახვა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ციხის გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გამო, შვილს მამა არ უშვებს დედის სანახავად. ქალი პატიმრების აზრით, ოჯახსი წევრებთან და ახლო ნათესავებთან კონტაქტის გაუმჯობესებაში ბენეფიციარებს დაეხმარებათ:

53% – სატელეფონო ბარათების გამოყენების წესის გაუმჯობესება

24% – ხანგრძლივი პაემნების შემოღება

17% – საოჯახო პაემნების რაოდენობის გაზრდა

7% – სხვა (ვიდეო პაემანზე ხელმისაწვდომობა და ა.შ.)

კითხვაზე თუ რა გავლენა იქონია პატიმრობამ ოჯახის წევრებთან ურთიერობაზე ბენეფიციარების 52% აღნიშნავს, რომ ოჯახის წევრები უწევენ მორალურ და ფინანსურ თანადგომას; ქალ მსჯავრდებულთა 29% – ოჯახთან ურთიერთობის მხრივ არაფერი შეცვლილა, ხოლო 10% – გაუარესდა ურთიერთობა, ხოლო 7%, რომლებმაც აირჩიეს ეპასუხათ ღია კითხვისთვის, მათთვის გაუმჯობესდა ურთიერთობა ოჯახის წევრებთან, სანახავ პირთა წრე გაიზარდა, შვილები თავშესაფრის გარეშე დარჩა, თავდაპირველად გაუარესდა, ამჟამად პრობლემა მოგვარებულია. გამოკითხული ბენეფიციარების 1% მიმართ – ოჯახმა გაწყვიტა კავშირი ოჯახის წევრებთან, ასევე არ აქვთ შვილების ცხოვრების დაგეგმვაში ჩართულობის შესაძლებლობა:

გამოკითხულ ქალთა 77%–ს საშუალება აქვს იყოს შვილების ცხოვრების დაგეგმვაში ჩართული პირადი შეხვედრების, შვილებთან ან შვილების პედაგოგებთან სატელეფონო საუბრების საშუალებით.

23% აღნიშნავს, რომ ვერ იღებს ოჯახისა და შვილების ცხოვრების დაგეგმვაში მონაწილეობას, ძირითადად, ეკონომიკური მიზეზების გამო, არ აქვს საშუალება შეიძინოს იმდენი სატელეფონი ბარათი, რომ შეინარჩუნოს შვილთან შესაბამისი კონტაქტი. ქალთა პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებული ქალების ოჯახებთან კონტაქტს ასევე ართულებს გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, ვინაიდან ოჯახის ციხიდან მოშორებით ცხოვრების გამო, ხელი არ მიუწვდებათ სამგზავრო ხარჯებზე. არის შემთხვევები, როცა შვილი ციხეშია და დედას არ აქვს მასთან კონტაქტის საშუალება.

ქალი მსჯავრდებულების ოჯახის წევრებთან ურთიერთობის ფორმებია:

53% – სატელეფონო ზარები

38% – ხანმოკლე პაემნები

5% – საოჯახო პაემნები

4% – სხვა

პაემნების განხორციელების ოთახების ინფრასტრუქტურის მდგომარეობას ქალი მსჯავრდებულები აფასებენ, როგორც:

51% - საშუალოა

21 % – კარგი

6% – ძალიან კარგი

6% –ცუდი

5% - ძალიან ცუდი

გამოკითხულ პატიმარ ქალთა 96% აღნიშნავს, რომ ციხის ადმინისტრაცია ოჯახის წევრებთან პაემანის აკრძალვას არ იყენებს, როგორც დისციპლინურ სასჯელს, თუმცა 4% აღნიშნავს, რომ მათ ეს შესაძლებლობა შეეზღუდათ სასჯელის სახით.

პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციისთვის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის თხოვნით მიუმართავს მხოლოდ გამოკითხულთა 8%–ს. დადებითი რეაგირება მოყვა გამოკითხულთაგან 3%–ს, უარყოფითი 3%–ს, ხოლო 5% – არ მოჰყოლია შესაბამისი რეაგირება. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კუთხით გამოკითხულ პატიმარ ქალთა მესამედმა განაცხადა, რომ მათ გათავისუფლების შემდგომ ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ ინფორმაცია მიეწოდათ. თუმცა გამოკითხული ბენეფიციარების ნახევარმა განაცხადა, რომ მათ ასეთი სახის ინფორმაცია არ მიუღიათ.

**ბენეფიციარებმა, რომლებმაც დადებითად უპასუხეს ზემოაღნიშნულ კითხვას, მონიშნეს სხვადასხვა პროგრამები, ქვემოთმოცემული პროცენტულობის შესაბამისად.**

20% – დასაქმება

20% – უფასო იურიდიული დახმარება

19% – განათლება და პროფესიული სწავლება

12% – ჯანდაცვა

9% – სოციალური რეაბილიტაციის პროგრამები

6% – ფსიქო-სოციალური და ფსიქიატრიული კონსულტაციების გაგრძელების შესახებ ინფორმაცია

რაც შეეხება ინფორმაციის მიწოდების წყაროებად ბენეფიციარებმა აღნიშნეს:

2 % – სხვა ინფორმაციის წყარო

28% – სოციალური მუშაკი

23% – ციხის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები

13% – სახელმწიფო სტრუქტურები (დანაშაულის პრევენციისა და ინოვაციური პროგრამების ცენტრი -იუსტიციის სამინისტრო)

12% – პირადი ადვოკატი

10% - ციხის ადმინისტრაცია

10 % – სახალხო დამცველის აპარატი

3% – სხვა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გამოიკვეთა, რომ სოციალური მუშაკები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები არიან გათავისუფლების შემდგომი სერვისების შესახებ ინფორმაციის ძირითადი მიმწოდებლები ქალი მსჯავრდებულებისთვის. დამატებითი ღონისძიებებია საჭირო ამ კუთხით ქალი პატიმრების ცნობიერების ამაღლების მიზნით.

აღნიშნული ინფორმაცია მიეწოდებათ: სიტყვიერად – 44%, ბროშურებით – 31%, საინფორმაციო შეხვედრა–სემინარების გზით – 15%, სხვა საშუალებებით – 10%.

გამოკითხულთა 3%-ს არ აქვს შესაძლებლობა იკონტაქტოს ქალთა N5 პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციასთან მათთვის გასაგებ ენაზე. ესენი არიან უცხო ქვეყნის მოქალაქე პატიმარი ქალები, რომლებიც არ ფლობენ რუსულ ან ინგლისურ ენას - ორ ძირითად ენას, რომლის საშუალებითაც ციხის ადმინისტრაციას შეუძლია კავშირის დამყარება.

არაქართულენოვან პატიმართა 45% აღნიშნავს, რომ ადმინისტრაცია ფლობს მისთვის გასაგებ ენას, 35% – თარჯიმნის მეშვეობით ამყარებს კონტაქტს, 15% სხვა პატიმრების დახმარებით, 5% – სხვა საშუალებით (ჟესტებით).

**რეაბილიტაცია/რესოციალიზაცია**

გამოკითხულ პატიმარ ქალთა ინფორმაციით, მათთვის ხელმისაწვდომი რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სერვისებია:

27% – სამედიცინო მომსახურება

23% – ექიმის კონსულტაცია

15% – ფსიქოლოგის/ფსიქიატრის კონსულტაცია

14% – პროფესიული ტრენინგები

10% – იურიდიული დახმარება

7% – ციხეში არსებული სხვადასხვა სერვისები

4% – დასაქმება [200]

კითხვაზე თუ რა სახის სერვისების მიღება დაეხმარებათ მათ პატიმრობის პერიოდში რესოციალიზაციისათვის და დროის მიზნობრივ გამოყენებაში ბენეფიციარებმა გამოკვეთეს მნიშვნელოვანი საკითხები, პრიორიტეტიზაციის შესაბამისად.

| გამოკითხულ ქალთა მიერ დასახელებული პროცენტულობა | პენიტენციურ დაწესებულებაში საჭირო სერვისები |
|---|---|
| 15% | მკურნალობა |
| 13% | პროფესიული სახელობო განათლება |
| 12% | განათლება |
| 11% | იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა |
| 11% | სპორტულ-გამაჯანსაღებელ პროგრამებზე ხელმისაწვდომობა |
| 8% | სოციალურად დაუცველის სტატუსის მინიჭება |
| 7% | თავდაჯერებულობისა და ცხოვრებისეული უნარების ასამაღლებელი პროგრამები |
| 7% | ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე კონსულტირება და თერაპია |
| 5% | სახლთან ახლო ციხეში გადაყვანა |
| 2% | პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების აღებაში/აღდგენაში დახმარება |
| 2% | ალკოჰოლის ან ნარკოტიკის მოხმარებისგან განკურნებისათვის კონსულტირება და თერაპია |
| 2% | ძალადობისგან დაცვა |
| 1% | დევნილის სტატუსის მინიჭება |
| 1% | სხვა სახის დახმარების მიღება |
| 1% | ოჯახური ძალადობის/ტრავმის შემდგომი კონსულტირება და თერაპია |

200 შენიშვნა:. შესაძლებელი იყო რამდენიმე პასუხის შემოხაზვა, რის გამოც საერთო მაჩვენებელი აღემატება 100%-ს .

გათავისუფლების შემდეგ ბენეფიციარებისათივს დახმარების საჭრიოების პროცენტული მაჩვენებელი გადანაწილდა შემდეგნარიად:

| გამოკითხულ ქალთა მიერ დასახელებული პროცენტულობა | გათავისუფლების შემდგომ საჭირო სერვისები |
|---|---|
| 24% | დასაქმება |
| 17% | ჯანდაცვა |
| 14% | დაბინავება/თავშესაფარი |
| 10% | სოციალურად დაუცველი სტატუსის მინიჭება |
| 8% | იურიდული დახმარების ხელმისაწვდომობა |
| 7% | განათლების ან პროფესიული ტრენინგებისათვის ფინანსური დახმარება |
| 5% | კონსულტირება და თერაპია: ფსიქიკური ჯანმრთელობის მხრივ დახმარება |
| 3% | სხვა სახის დახმარება |
| 2% | ბავშვზე ზრუნვაში დახმარება |
| 2% | ოჯახთან ან ქმართან კავშირის აღდგენა |
| 1% | დევნილის სტატუსის მინიჭება |
| 1% | საკუთარ ქვეყანაში დაბრუნებაში დახმარება |
| 1% | კონსულტირება და თერაპია ოჯახური ძალადობის/მსხვერპლისთვის |
| 1% | ძალადობისგან დაცვა |

გარდა ამისა, მონაცემებმა აჩვენა, რომ რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებულები უზრუნველყოფილნი არიან პროფესიული სასწავლო პროგრამებით. მიუხედავად ამისა, დასაქმების პერსპექტივა პენიტენციური დაწესებულების კონტიგენტის უმრავლესობისთვის მაინც ძალიან დაბალია.

# 15. განმეორებითი დანაშაული და რეინტეგრაციის ხელისშემშლელი ფაქტორები

გამოკითხვაში მონაწილე ქალთა დაახლოებით მეოთხედი წარსულში ნასამართლევია. მათ შევეკითხეთ, თუ რა იყო ყველაზე სერიოზული პრობლემა, რომელსაც გათავისუფლების შემდგომ წააწყდნენ. უმრავლესობამ დაასახელა ნასამართლეობის გამო დასაქმების პრობლემა. აგრეთვე დასახელდა ციხეში ყოფნის გამო სტიგმატიზაცია და ალკოჰოლზე/ნარკოტიკზე დამოკიდებულება.

გამოკითხულ ქალთა 24% წარსულში ნასამართლევია. კითხვაზე, თუ რა იყო ყველაზე სერიოზული პრობლემა, რომელსაც გათავისუფლების შემდგომ წააწყდა ახალი ცხოვრების დაწყებისას ბენეფიციარებმა გამოკვეთეს ხელისშემშლელი ფაქტორები.

| წარსულში ნასამართლევი პატიმრების რაოდენობა | პრობლემა |
|---|---|
| 6 | ნასამართლობამ ხელი შეუშალა დასაქმებაში |
| 6 | საზოგადოების მხრიდან უარყოფითი დამოკიდებულება (სტიგმა) |
| 0 | ნარკოტიკზე/ალკოჰოლზე დამოკიდებულება |
| 4 | ჯანმრთელობის პრობლემები, მაგრამ მკურნალობა არ იყო ხელმისაწვდომი |
| 5 | მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობა |
| 3 | ოჯახმა მიატოვა |
| 1 | ვერ იპოვა თავშესაფარი |

ადრე ნასამართლევთაგან 4-ს არანაირი დახმარება არ მიუღია ახალი ცხოვრების დასაწყებად. მხოლოდ 2-მა მიიღო დახმარება, ძირითადად, სოციალური მომსახურების სააგენტოსგან, ჯანდაცვის სამსახურისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან.

გაწეული დახმარების სახეებია: საგანმანათლებლო პროგრამები, ჯანდაცვის სფეროში დახმარება, ფსიქიკური ჯანმრთელობის ან ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებულებაზე კონსულტირება და თერაპია, დასაქმებაში დახმარება, იურიდიული დახმარება/კონსულტაცია.

გარდა ამისა ქალი პრობაციონერები და ყოფილი ქალი პატიმრები საუბრობენ სკოლებში მასწავლებლების მხრიდან მათი შვილების მიმართ არსათაანდო დამოკიდებულებასა და მეზობლებთან ურთიერთობის გაფუჭებაზე. ასევე სასჯელის მოხდის შემდეგ ან გათავისუფლებისას, პენიტენციური დაწესებულებიდან სახლში დასაბრუნებლად ტრანსპორტის ფულის არქონაზე. ჩაღრმავებული ინტერვიუებიდან ნათელი ხდება, რომ პრაქტიკაში გათავისუფლებისთვის მომზადება საერთოადდ არ ხდება (ერთ-ერთ მიზეზად სახელდება გათავისუფლების სპონტანური შეტყობინება).

# 16. პრობაციონერ ქალთა შორის ჩატარებული გამოკითხვის შედეგები

კვლევის ფარგლებში გამოიკითხა თბილისის, რუსთავის, გორის, კახეთისა და ზუგდიდის ბიუროების სულ 122 პრობაციონერი, მათ შორის:

| თბილისის პრობაციის ბიურო | რუსთავის პრობაციის ბიურო | გორის პრობაციის ბიურო | კახეთის პრობაციის ბიურო | ზუგდიდის პრობაციის ბიურო |
|---|---|---|---|---|
| 64 | 17 | 9 | 10 | 22 |

პრობაციონერ ქალთა შორის ჩატარებული პირველადი კვლევის - ანკეტირების საფუძველზე ნებაყოფლობით გამოკითხულ 122 პრობაციონერ ქალს შორის სტიგმის/ძალადობის და/ან დისკრიმინაციის მსხვერპლად საკუთარ თავს მიიჩნევს 59 პრობაციონერი ქალი. მათ შორის:

| ძალადობის მსხვერპლი პრობაციონერი ქალების რაოდენობა | დისკრიმინაციის მსხვერპლი პრობაციონერი ქალების რაოდენობა | სტიგმის მსხვერპლი პრობაციონერი ქალების რაოდენობა |
|---|---|---|
| 31 | 0 | 50 |

- გამოკითხულ 59 პრობაციონერს შორის 50 ბენეფიციარი არის სტიგმის მსხვერპლი ხოლო 31 სტიგმასთან ერთად თავს მიიჩნევს ძალადობის მსხვერპლად.
- გამოკითხულთა შორის 8 მიიჩნევს თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად, თუმცა დაზუსტებულ კითხვებზე პასუხებიდან ირკვევა, რომ არცერთმა მათგანმა კონკრეტულად არ იცის რას ნიშნავს დისკრიმინაცია და ამ უკანასკნელს აიგივებს ოჯახში ძალადობასთან.
- 50 გამოკითხული პრობაციონერი ქალი აცხადებს, რომ სტიგმის მსხვერპლია.

პირველ ეტაპზე, ძალადობის/სტიგმისა/დისკრიმინაციის მსხვერპლ პრობაციონერთა გამოსავლენად კვლევის მეთოდოლოგიას წარმოადგენდა კითხვარების საშუალებით გამოკითხვა. მეორე ეტაპზე - საჭიროებებისა და პრობლემების კვლევა განხორციელდა ჩაღრმავებული ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების საშუალებით.

## ქალ პრობაციონერთა ასაკი, ეროვნება, ოჯახური მდგომარეობა და შვილები

პრობაციონერთა შორის 20 პრობაციონერი ქალი 22-დან -30- წლამდეა, 16 ბენეფიციარი 41-დან 50 წლამდე ასაკისაა, 16 – 31-დან 40 წლამდე, 7 – 50 წელს ზემოთ, ხოლო 1 პრობაციონერი – 18 წლის.

| გამოკითხულთა რაოდენობა | პრობაციონერ ქალთა ასაკი |
|---|---|
| 16 | 41-დან 50-მდე |
| 16 | 31-დან -40 მდე |
| 7 | 51 წლის და ზემოთ |
| 20 | 22 - დან - 30 მდე |
| 1 | 18-დან 21-მდე |

# ოჯახური მდგომარეობა

ქალი პრობაციონერების დაახლოებით ერთი და იგივე რაოდენობა დაქორწინებული და განქორწინებულია. ძალიან მცირე სხვაობაა ქვრივ და დასაქორწინებელ პრობაციონერთა რაოდენობაში.

| გამოკითხულთა რაოდენობა | პრობაციონერ ქალთა ოჯახური მდგომარეობა |
|---|---|
| 17 | დაქორწინებული |
| 23 | განქორწინებული |
| 9 | დასაოჯახებელი |
| 5 | ქვრივი |
| 1 | ცხოვრობს პარტნიორთან ერთად |
| 1 | სხვა |

გამოკითხულ ქალთა 17 ქმართან/ოჯახთან/პარტნიორთან ერთად ცხოვრობს, 20 ქირაობს საცხოვრებელს, ვინაიდან სასამართლო ხარჯების გამო წარმოქმნილი ფინანსური პრობლემის გამო დაკარგა ქონება.

პრობაციონერ ქალთა 10 ცხოვრობს ნათესავებთან, ხოლო 8 მარტო ცხოვრობს საკუთარ სახლში.

| გამოკითხულთა რაოდენობა | საცხოვრებელი ადგილი |
|---|---|
| 17 | ცხოვრობს ოჯახთან/ქმართან/პარტნიორთან ერთად |
| 20 | ქირაობს საცხოვრებელს |
| 10 | ცხოვრობს ნათესავებთან |
| 8 | მარტო ცხოვრობს საკუთარ სახლში |

გამოკითხულთაგან 45 -ს ჰყავს შვილი/შვილები (35 ორი და მეტი); 11 -ს არ ჰყავს. 38 შემთხვევაში ბავშვები ცხოვრობენ დედასთან. 29 პრობაციონერს ჰყავს არასრუწლოვანი შვილი/შვილები. 1 შემთხვევაში ბავშვები ცხოვრობენ მინდობით აღზრდაში.

| გამოკითხულთა რაოდენობა | ბავშვები |
|---|---|
| 45 | ჰყავს შვილები |
| 11 | არ ჰყავს |
| 38 | ცხოვრობენ დედასთან |
| 29 | ყავს არასრულწლოვანი შვილები |
| 1 | მინდობით აღზრდაში |
| 4 | მამასთან |
| 0 | ბავშვთა სამზრუნველო დაწესებულებაში |

გამოკითხულ პრობაციონერთაგან 8 აქვს სრული უმაღლესი განათლება, 7 - არასრული უმაღლესი განათლება. 37 აქვს საშუალო განათლება. ხოლო 7 - არასრული საშუალო განათლება. მხოლოდ 1 აქვს დაწყებითი განათლება და 1 წერა-კითხვის უცოდინარია.

| გამოკითხულთა რაოდენობა | განათლების დონე |
|---|---|
| 8 | სრული უმაღლესი |
| 37 | საშუალო |
| 7 | არასრული უმაღლესი |
| 5 | არასრული საშუალო |
| 1 | არ იცის წერა-კითხვა |
| 1 | დაწყებითი განათლება |

გამოკითხულთა შორის 20 აქვს საშუალო შემოსავალი, მაშინ როდესაც 39 თავს მიიჩნევს ღარიბად, ან ძალიან ღარიბად.

| გამოკითხულ პატიმარ ქალთა რაოდენობა | სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი |
|---|---|
| 20 | საშუალო შემოსავლის მქონე ოჯახიდანაა |
| 14 | უსახლკაროა |
| 19 | ღარიბია |
| 18 | სოციალურად დაუცველია |
| 3 | იძულებით გადაადგილებული პირია |
| 20 | ძალიან ღარიბია |

საპრობაციო პერიოდის გავლენა პრობაციონერი ქალების ოჯახურ ურთიერთობებზე

კითხვაზე, თუ რა გავლენა იქონია პრობაციონერი ქალების ოჯახურ ურთიერთობებზე საპრობაციო პერიოდმა, 38-მა განაცხადა რომ არანაირი გავლენა არ ჰქონია, თუმცა 81-მა უარყოფითად შეაფასა გავლენა. 3-მა დადებითი შეფასება მისცა ოჯახის წევრებთან მის ურთიერთობას.

| გამოკითხულთა რაოდენობა | გავლენა ოჯახურ ურთიერთობებზე |
|---|---|
| 38 | გავლენა არ ჰქონია |
| 81 | უარყოფითი გავლენა |
| 3 | დადებითი გავლენა |

საპრობაციო პერიოდის გავლენა პრობაციონერი ქალების ურთიერთობაზე საზოგადოების სხვა წევრებთან (სტიგმა, დისკრიმინაცია)

პრობაციონერ ქალთა უმეტესობა მიიჩნევს რომ საზოგადოების სხვა წევრებთან ურთიერთობაზე პრობაციონერობამ გავლენა იქონია, ხოლო 49 აცხადებს რომ ხელი შეეშალა დასაქმებაში.

| პრობაციონერთა რაოდენობა | პრობლემა |
|---|---|
| 49 | ხელი შეეშალა დასაქმებაში |
| 35 | საზოგადოების მხრიდან უარყოფითი დამოკიდებულება (სტიგმა) |
| 41 | მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობა |
| 12 | ოჯახმა მიატოვა |
| 9 | ვერ იპოვა თავშესაფარი |

# დასაქმება

პრობაციონერთა დასაქმების მაჩვენებელი უმუშევრობის მაჩვენებელთან შედარებით საკმაოდ დაბალია. ამჟამად ანაზღაურებადი სამუშაო აქვს მხოლოდ 22 ქალს, ხოლო დანარჩენს - არ აქვს.

უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ პრობაციონერ ქალთა უმრავლესობა დასაქმებულია კერძო სექტორში, როგორიცაა კერძო კომპანიები. ზოგი მათგანი არის ინდმეწარმე, ბაზარში მუშაობს, დამლაგებელია, ადვოკატია, რესტორანში მუშაობს, განათლების სფეროს მენეჯერია, ტყავის ქარხანაში, ვაჭრობს, ინდმეწარმეა, აქვს დამოუკიდებელი ხელობა, ბუღალტერია, კაფეში მუშაობს, ვაჭრობს, ჯიხურში ვაჭრობს, ბარში მიმტანად მუშაობს, ასისტენტია სამედიცინო კლინიკურ ცენტრში, მცირე მეწარმეა, გამყიდველია, მოლარე, კვების ობიექტშია დასაქმებული.

ნასამართლეობა უმრავლესობისთვის დასაქმების მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს. საჯარო სექტორში შეუძლებელია დასაქმება ნასამართლეობის შესახებ ცნობის გარეშე. თავდაჯერებულობის ნაკლებობა ასევე ერთ-ერთი ძირითადი დაბრკოლებაა სამუშაოს მოძიების კუთხით. რაც შეეხება კერძო სექტორს, არსებობს დაბრკოლება ყოფილ პატიმართა და პრობაციონერთა დასაქმებისას, რომელიც გამომდინარეობს ნდობისა და საიმედოობის ფაქტორიდან.

# მანძილი გამოცხადების ადგილამდე

52% აცხადებს რომ პრობაციის სამსახური (სადაც ისინი უნდა გამოცხადდნენ დადგენილი რეგულარობით) მათი საცხოვრებელი ადგილიდან საშუალო მანძილზეა. გამოკითხულთა 27%-სთვის ბიურო ახლოსაა, ხოლო 21%-სთვის - შორს.

რა მიზეზით ექმნებათ შეფერხებები გამოცხადების ადგილთან დაკავშირებით, თუ ასეთი არსებობს (რამდენიმე პასუხი შეეძლოთ შემოეხაზათ)

58%–ს არ ექმნება შეფერხებები 24%–ს ექმნება შეფერხებები ეკონომიკური პრობლემების გამო (მგზავრობის თანხა არა აქვს, ან უჭირს გადახდა) 17%–ს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო 12%–ს ოჯახური პირობების გამო 7%–ს არასათანადო სატრანსპორტო კომუნიკაციის გამო 1%–ს სხვა მიზეზით მოცემულ ფოკუსურ ჯგუფებსაც დაესვათ კითხვა პრობაციის ბიუროში გამოცხადების ადგილთან დაკავშირებული შეფერხებების შესახებ. გამოკითხულ ქალთა უმრავლესობა - 58% აცხადებს, რომ მათ არ ექმნება შეფერხებები, მაგრამ 24%-ს ექმნება შეფერხებები ეკონომიკური პრობლემების გამო (მგზავრობის თანხა არ გააჩნიათ). როგორც უკვე აღინიშნა, პრობაციონერ ქალთა უმრავლესობა უმუშევარია. 17% მიზეზად დაასახელა ჯანმრთელობის მდგომარეობა, 12%-მა კი - ოჯახური მდგომარეობა. 7%-სთვის დაბრკოლებას წარმოადგენს არასათანადო სატრანსპორტო კომუნიკაცია, 1%-მა კი სხვა მიზეზები დაასახელა.

| პრობაციონერთა რაოდენობა | შეფერხებები |
|---|---|
| 58% | არ ექმნება შეფერხებები |
| 24% | ეკონომიკური პრობლემების გამო (მგზავრობის თანხა) |
| 17% | ჯანმრთელობის მდგომარეობა |
| 7% | არასათანადო სატრანსპორტო კომუნიკაცია |
| 12% | ოჯახური მდგომარეობა |
| 1% | სხვა |

## საზღვარაგარეთ გამგაზავრების განცხადება

გამოკითხულ პრობაციონერთაგან 90%-ს არასდროს შეუტანია განცხადება საზღვარგარეთ გამგზავრებასთან დაკავშირებით. 4%-ის მოთხოვნა დადებითად გადაწყდა, იგივე რაოდენობის პრობაციონერებს ეთქვათ უარი, ხოლო განხილვის პროცესშია გამოკითხუთა 1%-ის განცხადება.

| გამოკითხულთა რაოდენობა | საზღვარგარეთ გასვლა |
|---|---|
| 90% | არასდროს მიუმართავს |
| 4% | მოთხოვნა დაკმაყოფილდა |
| 4% | უარი ეთქვა |
| 1% | საქმე ამჟამად განხილვაშია |

გამოკითხულ პრობაციონერთაგან ზოგიერთს შეეზღუდა უფლებები პრობაციონერის სტატუსის გამო. გამოკითხული ქალების 20%-მა გასცა დადებითი პასუხი კითხვას დაუწესდა თუ არა მათ უფლებრივი შეზღუდვები. მაგალითად, 4 მსჯავრდებულს არ მიეცა ქვეყნის დატოვების საშუალება, ხოლო 4 ქალს შეეზღუდა შრომის უფლება (თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის გამო).

**მიუმართავს თუ არა პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და ნასამართლობის მოხსნის შესახებ მუდმივმოქმედი კომისიისათვის**

40%–ს მიუმართავს პირობითი მსჯავრის გაუქმების თაობაზე 37%–ს ნასამართლობის მოხსნის თაობაზე 41%–ს არ მიუმართავს

არასაპატიმრო სანქციებისა და პრობაციის შესახებ კანონის (მუხლი 12) მიხედვით, სასჯელის მოხდის პერიოდში, პრობაციონერებისთვის მთავარი საკონტაქტო პირები არიან პრობაციის ოფიცრები. გამოკითხულ პრობაციონერთა 56% პრობაციის ოფიცერს, თავისი საქმის შესრულებასთან მიმართებაში, აფასებს, როგორც ძალიან კარგი. 36% აფასებს, როგორც კარგი, ხოლო 8% - როგორც საშუალო.

| გამოკითხულთა რაოდენობა | პრობაციის ოფიცრის შეფასება |
|---|---|
| 53 | ყურადღებიანი |
| 53 | თავაზიანი |
| 53 | გულისხმიერი |
| 53 | საქმიანი |
| 53 | დახმარების უნარის მქონე |
| 6 | გულგრილი პრობლემის გადაწყვეტისას |

ქალ პრობაციონერებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კვლევაში, ჰქონდათ ხელმისაწვდომობა პრობაციის ეროვნული სააგენტოსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ შეთავაზებულ სხვადასხვა პროგრამებსა და მომსახურებებზე. ერთი ფაქტორი, რაც უნდა აღინიშნოს, არის ის, რომ პრობაციის სააგენტოს მიერ შემოთავაზებული პროგრამების და მომსახურების უმეტესობა არარეგულარული და მოკლევადიანია. საჭიროა, გაძლიერდეს რესოციალიზაციის სხვადასხვა პროგრამები და დახმარების სერვისები. განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ისეთი სოციალურად დაუცველი ჯგუფების საჭიროებები და პრიორიტეტები, როგორიცაა ქალები, არასრულწლოვნები და ა.შ, მათი საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის ინდივიდუალური გეგმის მიხედვით.

**გამოკითხული პრობაციონერთაგან მხოლოდ 39 აღნიშნავდა, რომ პრობაციონერობის პერიოდში ზოგიერთი მომსახურება ხელმისაწვდომია მათთვის.**

| გამოკითხულთა რაოდენობა | ხელმისაწვდომი სერვისები |
|---|---|
| 5 | დასაქმება |
| 39 | სოციალური მუშაკის დახმარება |
| 12 | ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობა |
| 7 | ფსიქოლოგიური |
| 39 | იურიდიული |
| 18 | განათლების |
| 3 | ფსიქო–სოციალური რეაბილიტაცია |
| 0 | სხვა |

ზოგიერთმა გამოკითხულმა პრობაციონერმა გამოთქვა სურვილი მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროგრამებში. ყველაზე სასურველია შრომითი უნარჩვევების ასამაღლებელი პროგრამები, რასაც მოჰყვება ამ სახის სხვადასხვა პრიორიტეტები (იხ. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი)

| გამოკითხულთა რაოდენობა | სასურველი სარეაბილიტაციო პროგრამა |
|---|---|
| 46 | შრომითი უნარჩვევების გაუმჯობესება |
| 14 | სასწავლო სახელობო პროგარმები |
| 12 | მხარდაჭერითი საუბრები |
| 9 | სოციალური უნარების განვითარება |
| 11 | ემოციების მართვის ტექნიკის სწავლება |
| 3 | ფსიქო განათლება |
| 8 | აგრესიის და ბრაზის მართვა |
| 17 | კომუნიკაციის უნარების განვითარება |
| 2 | დანაშაულის გენეზისისა და მიყენებული ზიანის გაცნობიერება |

## ქალ პრობაციონერებს ესაჭიროებათ სხვადასხვა სახის დახმარება

| გამოკითხულთა რაოდენობა | დახმარების ტიპი |
|---|---|
| 49 | დასაქმებაში დახმარება |
| 12 | თავშესაფარი |
| 3 | სოციალურად დაუცველის სტატუსის მოპოვება |
| 9 | ჯანმრთელობის პრობლემების მკურნალობა |
| 4 | იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა |
| 24 | ფინანსურ დახმარება განათლების ან პროფესიული ტრენინგებისათვის |
| 12 | ბავშვზე ზრუნვაში დახმარება |
| 2 | შვილებთან კავშირის აღდგენაში დახმარება |
| 3 | ძალადობისგან დაცვა |
| 6 | ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებთან გამკლავება |
| 1 | დევნილის სტატუსის ან დოკუმენტის მიღება |

კითხვარის დასაწყისში პრობაციონერებს ვთხოვეთ, ჩამოეთვალათ დაახლოებით 10 პრიორიტეტი და საჭიროება, რომელიც დააჩქარებდა მათ რესოციალიზაციასა და რეინტეგრაციას პრობაციონერობის პერიოდში. მათ მიერ დასახელდა შემდეგი პრიორიტეტები და საჭიროებები:

- მარტოხელა დედობის გამო, შვილების დასაქმებაში დახმარება
- დაბინავება
- დასაქმება
- ჯანდაცვა
- საპრობაციო ვადის დროულად მოხსნა
- სამსახურის გაცდენა ბიუროში გამოცხადების გამო
- შეწყალება
- გამოცხადების რეჟიმის შემსუბუქება
- ნასამართლეობის მოხსნა
- საქმის დროულად განხილვა
- ბიზნესის დაფინანსება, რევიზიის დასრულება
- დასაქმების პირობების გაუმჯობესება
- უცხოეთში წასვლა
- იურიდიული დახმარება
- პირობითი მსჯავრის მოხსნა ორსულობის გამო
- სოციალური საკითხების მოგვარება (მათ შორის არასრულწლოვანი შვილის წრის გადასახადი; ზამთრის პერიოდში კომუნალური გადასახადის გადახდა; შვილის უმაღლესში სწავლის გადასახადის გადახდა).
- ეკონომიკური პრობლემები, სოც. დაუცველის სტატუსის აღდგენა, ჯანდაცვა, პირადობის მოწმობა. განქორწინებული ქმრის გვარის შეცვლა (ფინანსების გამო ვერ ახერხებს).
- შვილის განათლება
- ფინანასური დახმარება, ოჯახური საჭიროებები

## 17. ყოფილ პატიმარ ქალთა შორის ჩატარებული კვლევის ძირითადი შედეგები

ყოფილ პატიმართა საჭიროებებისა და პრობლემების გასანალიზებლად გამოყენებული იქნა ფოკუს ჯგუფებში გამოკითხვის მეთოდი. გამოკითხული იქნა დანაშაულის პრევენციის ცენტრში რეგისტრირებული 50 ყოფილი პატიმრიდან - 13 ყოფილი პაიმარი ქალი.

მათ შორის 5 მა ისარგებლა გათავისუფლების მერე შემდეგი სერვისებით: განათლება, თავშესაფარი, იურიდიული დახმარება. საპატიმრო დაწესებულებაში მიიღო სამკერვალო განათლება; დაბინავებაში დაეხმარა არასამთავრობო როგანიზაცია “ქალი და ბიზნესი”.

2 -ს შევსებული აქვს ბიზნესის ხელშეწყობის აპლიკაცია, თუმცა პასუხი ჯერ არ მიუღია. ყველა ბენეფიციარს იურიდიულ დახამრებას უწევდა არასამთავრობო როგანოზაცია.

13- დან 7 ყოფილი პატიმარი ზოგად სისტემურ პრობლემად მიიჩნევს გათავისუფლებულებისთვის ჯიბის ფულის არქონას, რათა გათავისუფლებულმა პატიმარმა ისარგებლოს საზ. ტრანსპორტით სახლამდე მისასვლელად.

ცამეტივე ყოფილი პატიმარი ადასტურებს რომ იძულებულები არიან დამალონ ნასამართლობა, რათა შეძლონ კერძო სექტორში დასაქმება (ტაქტიანი უარი საცხობის მეპატრონის, მას შემდეგ რაც შეიტყო, რომ ნასამართლები იყო).

ყოფილი პატიმრები ორ ძირითად სტიგმას ასახელებენ: საზოგადოების მხრიდან უარყოფითი დამოკიდებულება და ნასამართლობამ ხელი შეუშალათ დასაქმებაში.

კითხვაზე, რა სახის სარეაბილიტაციო პროგრამების მიღებას ისურვებდით?:

- სასწავლო-სახელობო პროგრამებში ჩართვას მოითხოვს 5 ყოფილი პატიმარი ქალი.
- შრომითი უნარების გაუმჯობესებას მოითხოვს 4 ყოფილი პატიმარი ქალი.
- ემოციების მართვის ტექნიკის შესწავლა მოითხოვა 2-მა ყოფილმა პატიმარმა ქალმა.

**კითხვაზე, რა სახის დახმარებები გესაჭიროებათ?:**

- დაბინავებაში დახმარება მოითხოვა 3-მა.

- განათლება /პროფესიული ტრენინგებისათვის ფინანსური დახმარება - 3
- ჯანმრთელობის პრობლემების მკურნალობა/დაზღვევა - 3
- სოციალურად დაუცველის სატისის მიღება - 1
- საზღვარგარეთ გასვლის შესაძლებლობა - 2
- დასაქმებაში ხელშეწყობა/დახამრება - 2
- შვილის უმაღლესში სწავლის ღირებულების დაფარვაში ფიანანსური დახმარება - 1
- ალკოჰოლზე დამოკიდებულების მკურნალობა - 1
- ფინანსური დახამრება, რომ განქორწინების შემდეგ დარჩენილი ქმრის გვარი მოიშოროს და დარჩეს მხოლოდ საკუთარ გვარზე - 1

# 18. ექსპერტებთან, პრაქტიკოსებთან, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, სახელმწიფო მოხელეებთან ინტერვიურების ფორმით იდენტიფიცირებული საკითხები

**თამარ დეკანოსიძე – საია**

პრობლემად გამოყო ყოფილი პატიმრებისა და პრობაციონერების რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის პრობლემები, რომელთაც წარსულში გადაიტანეს სექსუალური ძალადობა. ამ კატეგორიის პირების რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია პრაქტიკულად არ ხდება. არც თავშესაფრებში და არც კრიზისულ ცენტრებში არ არის სერვისები სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის. ასევე, დაბალია მათი გამოვლენის მაჩვენებელი. აუცილებელა, მულტიდისციპლინური გუნდის მუშაობა ამ კატეგორიის პირებთან. მათ პენიტენციური დაწესებულების დატოვებისთანავე უნდა მიეწოდოთ ფსიქოლოგიური დახმარება. ასევე, ექსპერტს აუცილებლად მიაჩნია, პრობაციის სამსახურის, დანაშაულის პრევენციის ცენტრის და პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელთა გადამზადება გენდერსპეციფიური მიდგომის უნარების კუთხით.

ექსპერტს პრობლემად მიაჩნია იმ ყოფილ მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია, რომლებიც სასჯელს იხდიდნენ ნარკოდანაშაულისათვის და თავისუფლების შემდეგაც არიან წამალდამოკიდებულნი. მათი დიდი ნაწილი ჩართულია მეტადონის პროგრამაში. ისინი მეტადონის რიგში ჩართულნი არიან მამაკაცებთან ერთად, რომელთა მხრიდანაც ხშირად განიცდიან დისკრიმინაციას და შევიწროვებას. ამიტომ, ექსპერტი აუცილებლად თვლის, რომ ჯანდაცვის სამინისტრომ შექმნას მეტოდონის ცალკე რიგი ქალებისთვის. აუცილებელია, წამალდამოკიდებული ქალების რეაბილიტაცია და მკურნალობა წარიმართოს გენდერსენსიტიური პოლიტიკის შესაბამისად. ასევე, პრობლემას წარმოადგენს კონფიდენციალობის დაცვა ქალებისთვის. ისინი გაცილებით უფრო სტიგმატიზირებულნი არიან ამ კუთხით ვიდრე მამაკაცები. ექპერტს მიაჩნია, რომ წამალკამოკიდებულთათვის სერვისი უნდა იყოს გენდერსენსიტიური. წამალდამოკიდებულ ქალებს არ მიეწოდებათ ჩანაცვლებითი თერაპიის სერვისები თავშესაფრებში და კრიზისულ ცენტრებში, რადგან იქ ნარკოტიკის მიწოდება აკრძალულია. ასევე, კრიზისულ ცენტრებში და თავშესაფრებში არ არის თერაპიის სერვისები წამალდამოკიდებული ქალებისთვის.

ექსპერტს მნიშვნელოვნად მიაჩნია ყოფილ პატიმარ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით ზრუნვა და მათი შრომით ბაზარზე არსებული მოთხოვნილებების შესაბამისად გადამზადება.

ექსპერტს აუცილებლად მიაჩნია ყოფილი პატიმარი ქალების შვილების ფსიქოლოგით დროული უზრუნველყოფა როგორც კი დედა ფატოვებს პენიტენციურ დაწესებულებას. ბავშვი ისედაც სტიგმატიზირებულია, რომ მისი დედა ყოფილი პატიმარია. ამიტომ, ბავშვს სჭირდება ფსიქოლოგის დახმარება ამ სტრესის დაძლევაში და იმაში, რომ მას მშობელთან ურთიერთობა გაუადვილდეს.

აუცილებელია ყოფილ პატიმარ ქალებს, მათ შორის, ნარკოდამოკიდებულებს სახელმწიფო დაეხმაროს დასაქმებაში. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია, დაინერგოს job coacher-ის ინსტიტუტი (როგორც ეს არის შშმ პირების დასქმების შემთხვევაში), რომელიც ამ კატეგორიის პირებს დაეხმარება სამუშაოს მოძიებაში.

## იდა ბახტურიძე – ქალთა მოძრაობა

ექსპერტი თვლის, რომ ყოფილი ქალი პატიმრები, რომლებმაც გადაიტანეს ძალადობა, სტიგმა და დისკრიმინაცია არ არის იდენტიფიცირებული ჯგუფი და არც მათი საჭიროებებია ნაკვლევი. უშუალოდ, აღნიშნულ ექსპერტს ამ ჯგუფთან არ უმუშავია. თუმცა, თვლის, რომ ამ კატეგორიისთვის გადამწყვეტად მნიშვნელოვანია ფსიქოსოცილური სერვისების მიწოდება. აღნიშნული კატეგორიის პირები არიან ორმაგი დისკრიმინაციის მსხვერპლნი. ექსპერტის მოსაზრებით, აუცილებელია, დაინერგოს გენდერსპეციფიური რესოციალიზაციის პროგრამები, რადგან, პატიმრობაგამოვლილ ქალებს აქვთ სპეციფიური საჭიროებები ჩვეულებრივ ძალადობის მსხვერპლი ქალებისგან განსხვავებით. ექსპერტს მნიშვნელოვნად მიაჩნია მსხვერპლი ქალების შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისად უნარებით აღჭურვა და პროფესიული განათლების კუთხით მხარდაჭერა. ასევე, ამ კატეგორიის პირებთან მუდმივად უნდა მუშაობდნენ სოცმუშაკები და ფსიქოლოგები. რაც შეეხება პატიმარი და ყოფილი პატიმარი ქალების ბავშვებს, აუცილებელია მათთვის ფსიქოლოგიური მხარდაჭერის უზრუნველყოფა ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან სანამ დედა სასჯელს იხდის. აღნიშნულ მნიშვნელოვანია ბავშვების მიერ სტიგმის დასაძლევად და დედასთან თანაცხოვრების შესაძლებად.

## გოგა ხატიაშვილი – შსს

შსს-ს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უშუალოდ შეხება არ აქვთ იმ ყოფილ მსჯავრდებულებთან, რომელთაც განიცადეს ძალადობა, სტიგმა და დისკრიმინაცია, თუმცა ზოგადად მუშაობენ ძალადობის მსხვერპლს ქალებთან და თანამშრომლობენ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან მსხვერპლინ ქალების რეაბილიტაციის მიმართულებით. შსს-ს წარმომადგენლის ინფორმაციით, შსს-ს ადამიანის უფლებათა დეპარტამენტი თანამშრომლობს <u>თავშესაფრებთან,</u> სადაც დღე-ღამის მომსახურებას უწევენ ძალადობის მსხვერპლ ქალებს და მათ ბავშვებს. მსხვერპლებს ეწევათ პირველადი დახმარება (მათ შორის კვება), უზრუნველყოფენ ჯანდაცვით, ფსიქოლოგის დახმარებით და იურიდიული კონსულტაციებით. წარმომადგენელს ხარვეზად მიაჩნია ის, რომ თავშესაფრებში ნაკლები აქცენტი კეთდება დასაქმებაზე, რეაბილიტაციაზე და განათლებაზე, ნაკლებია სახელმწიო სერვისები. თავშესაფრები ძირითადად ორიენტირებულები არიან ბენეფიციართათვის პირველადი, აუცილებელი დახმარების მიწოდებაზე.

<u>კრიზისული ცენტრები</u> ბენეფიციარებს უწევენ მოკლევადიან დახმარებას, მათ ძირითადად აქვთ დღის სერვისები. როგორც წესი ღამის სერვისებს კრიზისული ცენტრები არ აწვდიან ბენეფიციარებს, გარდა, ძალიან გამონაკლისი შემთხვევებისა. კრიზისული ცენტრები ბენეფიციარებს აწვდიან დისტანციურ სერვისებს იურიდიული და სამედიცინო კონსულტაციების კუთხით. კრიზისული ცენტრები ძირითადად ორიენტირებულები არიან დღის სერვისებზე.

შსს-ს წარმომადგენელმა მოგვაწოდა ინფორმაცია <u>კერძო ორგანიზაციების</u> შესახებ (ზუსტად ვერ ასახელებს ორგანიზაციებს), რომლებიც ბენეფიციარებს მრავალფეროვან სერვისებს სთავაზობენ. ძალადობის მსხვერპლებს შეუძლიათ აღნიშნული ორგანიზაციების ბაზაზე არსებულ ცენტრებში მიიღონ დღისა და ღამის სერვისები (3 თვიდან 6 თვემდე ცხოვრების უფლებით). აღნიშნულ ორგანიზაციებში ისინი იღებენ ფსიქოლოგიურ, სამედიცინო სერვისებს, უზრუნველყოფილნი არიან კვებით და პირველადი საჭიროების ნივთებით. მათი სერვისების მთავარ უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ ისინი ორიენტირებულნი არიან ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების რეაბილიტაცია/რესოციალოზაციაზე, მათი ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხელშეწყობაზე - პროფესიულ განათლებას და დასაქმებაზე. შსს-ს წარმომადგენლის ინფორმაციით, აღნიშნულმა ორგანიზაციებმა ბენეფიციარებს შეასწავლეს სტილისტობა, გაატარეს ვიზაჟის კურსები და დაასაქმეს, ასევე, ერთ-ერთი ბენეფიციარი გაუშვეს იტალიაში სამუშაოდ. ეს ორგანიზაციები განსაკუთრებით ზრუნავენ ძალადობის მსხვერპლების ბავშვებზე და მათ საჭიროებებზე. მაგალითად, ერთ-ერთი ბენეფიცარის შვილს აუყვანეს ქართული ენის პედაგოგი, ასევე, დაასრულებინეს ზოგადი განათლება და სხვა.

შსს-ს წარმომადგენლის ინფორმაციით, სახელმწიფო სტრუქტურები განიცდიან სარეაბილიტაციო სერვისების ნაკლებობას, რაც ყველაზე საჭიროა ბენეფიცართათვის (ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია+ ეკონომიკურ გაძლიერებაზე ზრუნვა).

შსს-ს წარმომადგენლის განმარტებით, ადგილობრივი თვითმმართველობები (გაიხსენა ზუგდიდის მაგალითი) ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს უხდიან ქირის საფასურს და აწვდიან ერთჯერად ფულად დახმარებას. თუმცა ეს სერვისები არის ფრაგმენტული და არათანმიმდევრული. შსს-ს წარმომადგენლის მოსაზრებით, თვითმმართველობების როლი უნდა იყოს შემდეგი:

- თვითმმართველობებმა კარგად იციან მათ სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული სიტუაცია. თვითმმართველობების გენდერული თანასწორობის საბჭოებმა უნდა გამართონ შეხვედრები ბენეფიციარებთან მათი საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით;
- მათ უნდა განახორციელობ ბენეფიციართა ეკონომიკური მხარდაჭერა და მათ ბიუჯეთებში უნდა განსაზღვრონ გენდერ სპეციფიური საჭიროებები, გაწრონ თანხები ოჯახში ძალადობის

მსხვერპლებისა და მათი შვილების რეაბილიტაციისა და ეკონომიკური მხარდაჭერის მიმართულებით.

რაც შეეხება ჯანდაცვის სამინისტროს, ისინი განიცდიან ფსიქოლოგების ნაკლებობას, რაც შეეხება სოცმუშაკებს, მათ ორი რამ სჭირდებათ: კომპეტენციის გაზრდა და რაოდენობის გაზრდა.

### ელისო ამირეჯიბი – ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის კოორდინატორი

ექსპერტის ინფორმაციით, ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის მიერ შეიქმნა კითხვარი, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიცირება. ამსთანავე, აღნიშნული ორგანიზაციის მიერ სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით შეიქმნა სარეაბილიტაციო პროგრამა ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლებისთვის, რომელის განხორციელებაც დაიწყება 2019 წლის დასაწყისიდან. პროგრამა მოიცავს ფსიქოსოციალურ რეაბილიტაციას, თვითშეფასების გაზრდას, რესურსების მობილიზაციას და სხვა. ექსპერტმა ასევე ისაუბრა ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარზე, რომელიც ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის ფარგლებში ფუნქციონირებს. თავშესაფარი არის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი. მათ შემუშავებული აქვთ თავშესაფარში მიღების შიდა რეგულაციები. თავშესაარი სთავაზობს დღისა და ღამის სერვისებს. თავშესაფარი გათვლილია 20 ადამიანზე, თუმცა ყოფილა შემთხვევები, როდესაც მიუღიათ 24 ადამიანიც. ექსპერტმა განაცხადა, რომ ისინი იღებენ სახელმწიფო ვაუჩერს. თავშესაფრის ფარგლებში მათ აქვთ სოციალური საწარმო, სადაც დასაქმებული ჰყავთ ძალადობის მსხვერპლები. საწარმოს ფარგლებში ისინი იღებენ შეკვეთებს და ყიდიან სერვისს. ექსპერტმა განაცხადა, რომ ამ კუთხით დიდი მოთხოვნაა. ახლა ისინი აშენებენ სათბურს, სადაც ასევე დასაქმდებიან ძალადობის მსხვერპლები.

### ლონდა ბიჭიკაშვილი – მთავარი პროკურატურა

პროკურატურის თანამშრომელმა განაცხადა, რომ მათ არ აქვთ ინფორმაცია ქალთა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის სარეაბილიტაციო და სხვა სახის სერვისების მიწოდებასთან დაკავშირებით. ისინი მუშაობენ ინდივიდუალურ ქეისებზე, სადაც იღებენ ზომებს ძალადობის მსხვერპლთა დაცვის კუთხით. ისინი შემოიფარგლებიან მხოლოდ კონკრეტულ საქმეებზე მსხვერპლთა დაცვის კომპონენტით.

### ანა ილურიძე – სახალხო დამცველის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი

სახალხო დამცველის წარმომადგენლის ინფორმაციით, მათ არ ჰქონიათ შემთხვევები, როდესაც ოფისისთვის მიემართა მსჯავრდებულ, პრობაციონერს და ყოფილ პატიმარ ქალს, რომელთაც გადაიტანეს ძალადობა, სტიგმა და დისკრიმინაცია. თუმცა, მან მოგვაწოდა ინფორმაცია თავშესაფრებთან დაკავშირებით. საქართველოში ფუნქციონირებს 5 თავშესაფარი, სადაც ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს და მათზე დამოკიდებულ პირებს (ბავშვებს) ეწევათ ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია, ჯანდაცვა, მიეწოდებათ პროფესიული განათლება და დასაქმების კომპონენტი, ასევე, მსხვერპლები უზრუნველყოფილნი არიან უფასო იურიდიული დახმარებით. სახალხო დამცველის წარმომადგენლის ინფორმაციით, თავშესაფრებში არსებობს ეკონომიკური რეაბილიტაციის კომპონენტი. ასევე, მოგვწეოდა ინფორმაცია კრიზისულ ცენტრებთან დაკავშირებით. საქართველოში ფუნქციონირებს 3 კრიზისული ცენტრი. მათგან 2 კრიზისული ცენტრი ბენეფიციარებს აწვდის დღის მომსახურებას, ხოლო ერთი კრიზისული ცენტრი ბენეფიციარებს აწვდის სადღეღამისო მომსახურებას. სახალხო დამცველის წარმომადგენელი გარკვეულ ასპექტებში დადებითად აფასებს თავშესაფრებში არსებულ მდგომარეობას. იგი მიიჩნევს, რომ მარტო თავშესაფარი ვერ უზრუნველყოფს ქალთა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაციას. ამ კუთხით მნიშვნელოვანია ჯანდაცვის სამინისტროს დახმარება და მათ მიერ სპეციალური პროგრამების გათვალისწინება (ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია, ჯანდაცვა, ფსიქიკური მომსახურება, განსაკუთრებული, გენდერსპეციფიური პაკეტი ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის, რეპროდუქციული ჯანდაცვა და სხვა).

სახალხო დამცველის წარმომადგენლის განმარტებით, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაციისთვის მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩართულობა. მნიშვნელოვანია, რომ მათი ბიუჯეტები გახდეს უფრო მეტად გენდერ-სენსიტიური, გათვალისწინებული იყოს ჯანდაცვის სერვისები (საშვილოსნოს სკრინინგი, უფასო აბორტი), უფასო საცხოვრებლით უზრუნველყოფა, ეკონომიკური მხარდაჭერა.

რაც შეეხება პროფესიულ განათლებას და დასაქმებას, მნიშვნელოვანია, გამარტივდეს ბიზნესისა და პროფილური არასამთავრობო ორგანიზაციების დაშვება როგორც პენიტენციურ სისტემაში, ისე დანაშაულის პრევენციის ცენტრსა და პრობაციის ბიუროში.

### სოფო ჯაფარიძე – პრემიერის თანაშემწე გენდერული თანასწორობის საკითხებში

პრემიერის თანაშემწემ განაცხადა, რომ ჩვენს თემაზე არ აქვს არანაირი ინფორმაცია და არც სამუშაოს ფარგლებში ჰქონია გამოცდილება.

### ქეთი შუბაშვილი – სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტი

გასაუბრება მოხდა ქეთი შუბაშვილთან, რომელმაც განაცხადა, რომ მას არ ჰქონია გამოცდილება იმ მსჯავრდებულებთან, ყოფილ მსჯავრდებულებთან და პრობაციონერებთან მუშაობის, რომელთაც გადაიტანეს ძალადობა, სტიგმა და დისკრიმინაცია. ამიტომ, არ იცნობს მათ საჭიროებებს.

### მაია ცირამუა – GCRT

ექსპერტის (ფსიქოლოგი) მოსაზრებით, ძალიან მნიშვნელოვანია ძალადობის მსხვერპლების ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია. ძალადობის მსხვერპლი პატიმრები და ყოფილი პატიმრები ორმაგად მოწყვლად კატეგორიას წარმოადგენენ, რომელთათვისაც სახელმწიფომ უნდა შეიმუშავოს სპეციალური სარეაბილიტაციო პროგრამები. თუმცა, მათ ფსოქოსოციალურ რეაბილიტაციამდე ძალიან მნიშვნელოვანია მათი სამართლებრივი რეაბილიტაცია - სამართლიანობის აღდგენა. ჯერ ძალადობის მსხვერპლების მიმართ უნდა აღდგეს სამართლანობა და შემდეგ უნდა მოხდეს მათი რეაბილიტაცია. მნიშვნელოვანია, მსხვერპლს ჰქონდეს სამართლიანობის განცდა, თუ ეს არ აქვს, ხელი შეეშლება მის სათანადო ფსიქოსოციალურ რეაბილიტაციას.

ექსპერტის მოსაზრებით, ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია გულისხმობს ასევე მსხვერპლის ოჯახთან მუშაობას, GCRT ასეთ დახმარებას უწევს ძალადობის მსხვერპლებს. მნიშვნელოვანია ასევე, როგორცვ მშობლებთან მუშაობა, ასევე, ბავშვებთან მუშაობა. ანუ პირველი ნაბიჯია სამართლიანობის აღდგენა, ხოლო მეორე ნაბიჯია მსხვერპლთან და მის ოჯახთან მუშაობა და მათი რეაბილიტაცია. მსვერპლის რეაბილიტაციის კუთხით მნიშვნელოვანია მათი სოციალური პრობლემების მოგვარება, ბენეფიციარების უნარებით აღჭურვა, რათა ინტეგრირდნენ საზოგადოებაში, სამსახურის პოვნა, პროფესიული გადამხადება და დასაქმება. აღნიშნული მნიშვნელოვანია, რათა ადამიანი სოციალური გახდეს, აღიდგინოს სტატუს კვო, არ იყოს ახალი სტიგმის, დისკრიმინაციის და ძალადობის მსხვერპლი.

ექსპერტის მოსაზრებით, ძალიან მნიშვნელოვანია, სასჯელის მოხდამდე 6 თვით ადრე დაიწყოს სარეაბილიტაციო მუშაობები, როგორც პატიმრებთან ისე მის ოჯახთან. გათავისუფლებისთანავე კი, ყოფილი მსჯავრდებულის რეაბილიტაცია უნდა დაიწყოს თემისა და ოჯახის ჩართულობით და მათთან მუშაობით. საერთაშორისო კვლევების თანახმად, თუ კომბინირებული სარეაბილიტაციო ღონისძიებები არ ტარდება (ყოფილი პატიმარი+თემი+ოჯახი) დაახლოებით 7 თვის შემდეგ პირი განმეორებით სჩადის დანაშაულს. თუ ძალადობის მსხვერპლი (ყოფილი პატიმარი) საზოგადოებაში ვერ ასრულებს თავის ფუნქციას, თავად ხდება მოძალადე, უყალიბდება რევანშისტული განწყობები საზოგადოების, სახელმწიფოსა და ოჯახის მიმართ.

რეაბილიტაციის პროცესში,მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობების როლი. ადგილობრივ თემს შეუძლია ყოფილი მსჯავრდებული სხვადასხვა აქტივობებში ჩართოს, მათ შორის, მოხალისეობრივ საწყისებზე, მხარდაჭერა გამოხატოს მისი დასაქმების პროცესში.

რეაბილიტაციის პროცესში, მნიშვნელოვანი როლი აკისრია ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამინისტროს. ძალადობის მსხვერპლებს აღენიშნებათ ხოლმე ფსიქიკური პრობლემები. ფსიქიკური დახმარების უზრუნველყოფის კუთხით გადამწყვეტია ამ სამინისტროს მუშაობა. ფსიქიკური ჯანმრთელობა ის სეგმენტია, რაზეც პასიხისმგებელია ჯანდაცვის სამინისტრო. გარდა ამისა, ძალადობის მსხვერპლებს აქვთ სომატური ჩივილები: გულსისხლძარღვთა დაავადებები, ენდოკრინოლიგიური პრობლემები და სხვა. აუცილებელია, ამ კატეგორიის პირებისთვის შეიქმნას ცალკე სარეაბილიტაციო და სამკურნალო პაკეტი, ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ხდებოდეს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი.

ექსპერტი განათლების სამინისტროს როლს ხედავს პროფესიული განათლების უზრუნველყოფის კუთხით.

განსაკუთრებით, ყურადღება უნდა მიექცეთ იმ ყოფილი და ამჟამინდელი პატიმრების ბავშვებს, რომელთაც გადაიტანეს ძალადობა. მნიშვნელოვანია, იმის გააზრება რომ მსხვერპლი არის არა მხოლოდ ის პირი, ვინც უშუალოდ გადაიტანა ძალადობა, არამედ, ის ბავშვიც, ვინც შეესწრო ძალადობას. ამ კატეგორიის ბავშვებს აღენიშნებათ ემოციურ-ქცევითი პრობლემები. ბავშვთან აუცილებელია ფსიქოლოგის, სოცმუშაკის და პრობაციის ოფიცერის მუშაობა სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროგრამების უზრუნველყოფის მიზნით.

### ნანა გოგოხია – ,,თანხმობა“

ორგანიზაცია ,,თანხმობა“ ბენეფიციარებს აწვდის შემდეგ სერვისებს: მოკლევადიანი პროფესიული გადამზადება, ფსიქოლოგიური მხარდაჭერა, სოცმუშაკის მომსახურება, იურიდიული კონსულტაციების გაცემა და სასიცოცხლო უნარჩვევებით უზრუნველყოფა (კომუნიკაციის უნარი, გუნდური მუშაობა), გრანტების გაცემა და სხვა.

ექსპერტის განმარტებით, მათ არ ჰქონიათ გამოცილება იმ ყოფილ მსვრდებულებთან მუშაობის, რომელთაც გადაიტანეს ძალადობა, სტიგმა და დისკრიმინაცია. თუმცა, ჰქონდათ ურთერთობა პრობაციონერ ქალებთან და მათ ოჯახებთან. 2018 წელს მათ მომსახურება გაუწიეს 12 პრობაციონერ ქალი და მათი ოჯახის წევრი, რომელთაც ჰქონდათ შემდეგი პრობლემები: საზოგადოებრივი ინტეგრაციის პრობლემა, ოჯახთან ურთიერთობის პრობლემა (ოჯახი არ ღებულობდათ და უნდოდათ მათთან შერიგება) და დასაქმების პრობლემა. ორგანიზაცია ,,თანხმობის“ მიერ შეთავაზებული პროფესიული პროგრამების გავლის შემდეგ, მათი ბენეფიციარები დასაქმებულან ისეთ სამუშაოებზე, როგორიცაა: ჭურჭლის მრეცხავი რესტორანში, სტილისტად და მზარეულის თანაშემწეს. ჰქონდათ შემთხვევაში, როდესაც ჯერ ბაგა-ბაღმა აღუთქვათ მათი ბენეფიციარის დასაქმება და შემდეგ როდესაც  გაიგო ბაღის ადმინისტრაციამ, რომ ბენეფიციარი იყო პრობაციონერი, უარი თქვა დასაქმებაზე. როგორ წესი, ,,თანხმობა“ არ მუშაობს პრობაციონერი ქალების ბავშვებთან, უბრალოდ იხსენებს შემთხვევას, როდესაც მან ამ კატეგორიის ბავშვს მიაწოდა ჰიგიენური საშუალებები.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაბალია ქალების ჩართულობა რეაბილიტაციის პროცესში. არის შემთხვევები, როდესაც ჯერ გამოხატავენ ქალების  სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართვის სურვილს, ხოლო მოგვიანებით უარს აცხადებენ ან დაწყებულ კურსს შუა გზაში წყვეტენ. ასევე, პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ ქალები არ საუბრობენ მათ პრობლემებსა და საჭიროებებზე, მათ აქვთ დაბალი თვითშეფასება, სტიგმა და შესაბამისად, ძალიან დაბალია ქალების ჩართულობა.

### პრობაციის ბიურო (პრობაციის ოფიცერი)

პრობაციის ბიუროში მიმდინარეობს შემდეგი პროფესიული განათლების პროგრამები:

- კონდიტერი;
- მზარეული;
- სარესტორნო საქმის მწარმოებელი;
- დურგალი;
- ელექტრიკოსი;
- სტილისტი (ქალი);
- ფილამწყობი;
- კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი;
- ფილამწყობი;
- სავალი ნაწილისტექნიკოსი;
- დურგალი;
- შემდუღებელი;
- ელექტრიკოსი;
- ზეინკალი;
- პრაქტიკოსი ექთანი;
- სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი;
- სასტუმროს საქმის სპეციალისტი;
- ქალის სტილისტი;
- მამაკაცის სტილისტი;

ამ ეტაპისთვის  პრობაციის ბიუროში რეგისტრირებულია 650 პრობაციონერი ქალი. თითეულ პრობაციის ოფიცერს აწერია 120 მდე ბენეფიციარი. თუმცა, ამ კუთხით მიმდინარეობს კლება, რადგან ახალი თანამშრომლები დაიმატეს.

პრობაციის ოფიცრის ფუნქციებია: პრობაციონერის აღრიცხვაზე აყვანა, სოცმუშაკთან ან/და ფსიქოლოგთან

გადამისამართება. ამ შემთხვევაში, პრობაციონერზე დგება ზიანის რიკის საკითხის გადაწყვეტა. მაღალი და საშუალო რისკის პრობაციონერები გადამისამართდებიან ფსიქოლოგთან, ხოლო, დაბალი რისკის სოცმუშაკთან. თუმცა, როგ შემთხვევებში, პრობაციონერები იღებენ ერთდროულად სოცმუშაკის და ფსიქოლოგის მომსახურებასაც. რისკის დადგენის შემდეგ თითოეულ პრობაციონერზე დგება აქტივობების გეგმა, სადაც გაწერილია ვალდებულებები, კონკრეტული სარეაბილიტაციო პროგრამები.

პრობაციის ბიუროს მიმართავენ ქალები, რომელთაც გადაიტანეს ძალადობა, სტიგმა და დისკრიმინაცია. აღნიშნული მათ გადატანილი აქვთ ან დანაშაულის ჩადენამდე, ან დანაშაულის ჩადენის შემდეგ, სასჯელის მოხდის პერიოდში ან ახლა განიცდიან ძალადობას. ზოგიერთი ქალი აღნიშნავს, რომ მათ ძალადობა ბავშვობაში გადაიტანეს ძმის ან მამის მხრიდან. პრობაციის ოფიცრის განმარტებით, ხშირად ბენეფიციარ ქალებს პრობაციის ბიუროში ვიზიტებზე მოყვებათ მეუღლეები, რომლებიც ინტერესდებიან სარეაბილიტაციო პროგრამებით. პრობაციის ბიუროს აკითხავენ წამალდამოკიდებული და სასმელზე დამოკიდებული ქალები, რომელთაც სჭირდებათ ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია, ისინი ვერ ანებებენ თავს ამ დამოკიდებულებას. პრობაციის ბიუროს მომართავენ სექსმუშაკი ქალები, ასევე, ქალები, რომელთაც გადაიანეს სექსუალური ხასიათის ძალადობა (გაუპატიურება). აღნიშნული ქალები მიატოვეს ოჯახებმა.

პრობაციის ოფიცრემი მოგვიყვა ერთ-ერთ ბენეფიციარ ქალბატონზე, რომელიც 14 წლის ასაკში გააუპატიურეს, რის გამოც იგი მშობლებმა სახლიდან გამოაგდეს. აღნიშნულის შემდეგ გოგონა გახდა სექსმუშაკი. პრობაციის ოფიცერს ჰყავდა ბენეფიციარი, რომელც ბავშვობაში 17 კაცმა გააუპატიურა. აღნიშნული გოგონაც გახდა კომერციული სექსმუშაკი. ამ გოგონას აქვს შვილთან ურთიერთობის პრობლემა. პრობაციის ბიუროს მომართავენ ქალები, რომელთაც დღემდე შვილები ბავშვთა სახლში ჰყავთ ჩაბარებული. მათ უჭირთ შვილებთან ურთიერთობის დამყარება ან მიზეზი არის ის, რომ მათ ეკონომიკური სიდუხჭირის გამო, არ შეუძლიათ მათი გამოკვება. პრობაციის ბიუროს აკითხავენ ქალები, რომელთაც აქვთ ფსიქიკური პრობლემები და ესაჭიროებათ ფსიქოსოციალური პროგრამები. ბავშვებთან ურთიერთობა განსაკუთრებით უჭირთ დამოკიდებულების მქონე ქალებს (თამაშებზე დამოკიდებულება, წამალდამოკიდებულება და ალკოდამოკიდებულება). პრობაციის ოფიცრის განმარტებით, მათ არ აქვთ დედობრივი ინსტიქტი, ბავშვი თავისთვის იზრდება და ემოციური ბმა მშობელს და შვილს შორის ნაკლებია. ზოგიერთ ქალბატონს შვილები ყოფილ მეუღლესთან ჰყავს და ქმრის ოჯახში იზრდებიან.

პრობაციის ოფიცრის განმარტებით, ქალთა საჭიროებების გათვალისწინებით მათ ცალკე სარეაბილიტაციო პროგრამები არ აქვთ. ძალადობის მსხვერპლ ქალებს ძირითადად ურთიერთობა აქვს ფსიქოლოგთან. თუმცა, პრობაციის ოფიცრემა აღნიშნა, რომ მათ აქვთ დასაქმების პროგრამები და ყოფილა შემთხვევები, რომ ქალები დაუსაქმებიათ.

## პრობაციის სააგენტოს სოცმუშაკი

სოცმუშაკის განმარტებით, მას ამჟამად 56 საქმე აწერია. აქედან 4 საქმე ეხება ქალ ბენეფიციარს. პრობაციის სააგენტოში ფუნქციონირებს ადიქციის ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის პროგრამა. ასევე, ფუნქციონირებს მოდული ,, დანაშაულის გაცნობიერების შესახებ“. ეს მოდული გამოიყენება მაშინ, როდესაც ქალს უჭირს ჩადენილი დანაშაულის მორალური და სამართლებრივი მხარის გაცნობიერება. ასევე, ფუნქციონირებს ,,ტოლერანტობის, ადამიანის უფლებების სწავლების“ მოდული. ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის კუთხით პრობაციის ბიურო იყენებს გარე რესურსებს, მათ შორის პროფილური არასამთავრობო ორგანიზაციების რესურსებს. ქალებს რეპროდუქციული, ქრონიკული და მწვავე დაავადებების მკურნალობის კუთხით სერვისებს სტავაზობს ორგანიზაცია ,,ჰერა 21“. ორგანიზაცია ,,თანადგომა“ სტავაზობს სერვისებს იმ ქალებს, რომლებიც არიან ნარკოდამოკიდებულები და ალკოჰოლდამოკიდებულები. ორგანიზაცია ASB სტავაზობს დასაქმების სერვისებს. ორგანიზაცია ,,თანადგომა“-ს აქვს სოციალური საწარმო, სადაც პრობაციის ბიუროს ბენეფიციარები არიან დასაქმებულნი. დანაშაულის პრევენციის ცენტრს აქვს მცირე გრანტების პროგრამა და ტატუს მოცილების პროგრამა. ორგანიზაცია ,,ქალი და ბიზნესი“ სტავაზობს შემდეგ პროგრამებს: სტილისტი, მზარეული, მკერავი.

სოცმუშაკის განმარტებით, რეაბილიტაციის პროცესში ისინი მუშაობენ ბენეფიციარის ოჯახის წევრებთან მათი თანხმობის შემთხვევაში.

# 19. სარეაბილიტაციო პროგრამების ანალიზი

წინამდებარე კვლევის ფარგლებში, ჩვენი მიზანი იყო მოგვეძიებინა და გაგვეანალიზებინა სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული და განხორციელებული პროგრამები პატიმარი, პრობაციონერი და ყოფილი პატიმარი ქალებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებული სირთულე წარმოიშვა სახელმწიფო პროგრამებისა და მათი განხორციელების ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის მოპოვების თვალსაზრისით.

ჩვენი მიზანი იყო სახელმწიფო პროგრამების მოძიება და გაანალიზება სერვისების მიწოდების კონტექსტში, როგორებიცაა საპატიმრო დაწესებულებაში არსებული/ხელმისაწვდომი პროგრამები და სერვისები: მსჯავრდებულების გათავისუფლებისთვის მომზადება, ჯანდაცვა, განათლება (პროფესიული), ფსიქო-სოციალური, იურიდიული.

გარეთ დახვედრილი მხარდაჭერის სერვისები: რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია: საცხოვრებელ ადგილამდე მისვლა, თავშესაფარი, ჯანდაცვა, განათლება (პროფესიული), დასაქმება, ფსიქო-სოციალური, იურიდიული.

ქვემოთ მიმოხილული პროგრამების ანალიზი ძირითადად ეფუძნება ერთის მხრივ ინტერნეტში, კერძოდ, დანაშაულის პრევენციის ცენტრისა[201] და სოციალური მომსახურების სააგენტოს[202] ვებ გვერდებზე მოძიებულ ინფორმაციას (1), შესაბამისად სახელმიფოს მიერ შეთავაზებული პროგრამები ნაწილობრივ განკუთვნილია უშუალოდ პრობაციონერ და ყოფილ პატიმარ ქალებზე, ხოლო ნაწილობრივ გათავისუფლების შემდეგ მათზე ვრცელდება ის სახელმწიფო სოციალური/დასაქმების/ჯანდაცვის პროგრამები (2), რომლებიც განკუთვნილია საქართველოს მოქალაქეებისათვის, მაგალითად, საყოველთაო დაზღვევა, კომუნალური შეღავათები, დასაქმების ხელშეწყობა, სოციალური დახმარება, მთის კანონი და ა.შ.

რაც შეეხება საპატიმრო დაწესებულებაში პატიმარი ქალებისათვის 2017 – 2018 წლებში ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ ინფორმაციის მოპოვება შეუძლებელი გახდა ინტერნეტის საშუალებით. ჩვენს მიერ გაგზავნილი წერილის პასუხად წერილობით მივიღეთ პროგარმების შესახებ ინფორმაცია იურისტიციის სამინისტროს და პრობაციის ეროვნული სააგენტოდან პრობაციონერ ქალთა საჭიროებების შესახებ.

# 20.სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული სერვისები (საჯარო ინფორმაცია, რომელიც მოძიებულ იქნა ვებ – გვერდების საშუალებით)[203]

## ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამა

### ფსიქო-სოციალური მომსახურება

რესოციალოზაცია-რეაბილიტაციის პროცესში ყოფილ მსჯავრდებულთან მუშაობას იწყებს ცენტრის სოციალური მუშაკი, რომელიც მისი საქმის მენეჯერის როლს ითავსებს. მუშაობა მიმდინარეობს ინდივიდუალურად. ბენეფიციარის საჭიროებების გამოვლენის შემდეგ, სოციალური მუშაკი მასთან ერთად ადგენს სამოქმედო გეგმას, რომელიც მიმართულია გამოვლენილი საჭიროებების დაკმაყოფილებისკენ. სამოქმედო გეგმის განხორციელების პერიოდში, სოციალური მუშაკი ბენეფიციარის სოციალური თანმხლებია.

ბენეფიციარის პირადი თუ ოჯახური საჭიროებიდან გამომდინარე საქმის მართვაში შესაძლებელია ჩაერთოს ფსიქოლოგი, რომელიც ბენეფიციარს უწევს ფიქოლოგიურ კონსულტაციას, საჭიროების შემთხვევაში ამისამართებს შესაბამის დაწესებულებაში და უწევს თანხლებას.

### ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარება

ყოფილ პატიმართა ჯანმრთელობაზე ზრუნვა ძირითადად სახელმწიფო პროგრამებით ხდება. სოციალური მუშაკი ეხმარება ყოფილ მსჯავრდებულს როგორც საყოველთაო (ან სხვა ტიპის) დაზღვევით ასევე რეფერალური მომსახურებით სხვადასხვა სამედიცინო საჭიროების დაკმაყოფილებაში. გარდა ამისა, საკმაოდ ეფექტურად მოქმედებს რეფერირების ქსელი სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებში, რომლებიც ასევე უზრუნველყოფენ სხვადასხვა სამედიცინო ჩარევებს.

201 (www.prevention.gov.ge/page/1329/geo)
202 (http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1215)
203 http://prevention.gov.ge/page/1329/geo

### პროფესიული უნარების შეძენა და დასაქმების ხელშეწყობა

დასაქმების ხელშეწყობის მიმართულების ფარგლებში, ყოფილი მსჯავრდებულები პროფესიულ გადამზადებას სხვადასხვა სახელმწიფო პროფესიულ კოლეჯებში გადიან. კურსების წარმატებით გავლის შემთხვევაში მათ გადაეცემათ სერტიფიკატი. დანაშაულის პრევენციის ცენტრის ბაზაზე მოქმედებს ყოფილი მსჯავრდებულებისა და მათი შვილებისათვის შემუშავებული ინგლისური ენის კურსი.

### არაფორმალური განათლება/ ტრეინინგები

ყოფილი პატიმრების სოციალიზაციის, განათლებისა და პიროვნული გაძლიერების მიზნით აქტიურად ხდება მათი ჩართვა სხვადასხვა თემატიკის ტრეინინგ კურსში. აღნიშნული ტრეინინგ კურსები როგორც დანაშაულის პრევენციის ცენტრის, ასევე სხვადასხვა საგრანტო პროექტებისა და სხვა პარტნიორი ორგანიზაციების რესურსის გამოყენებით მიმდინარეობს.

### ყოფილი მსჯავრდებულის ოჯახის წევრთან მუშაობა

ყოფილ პატიმრებთან მუშაობისას, სოციალური მუშაკი აქტიურად მუშაობს მის გარემოსთან, განსაკუთრებით ოჯახის წევრებთან. მასთან მუშაობის პერიოდში ახორციელებს ვიზიტს ოჯახში, ესაუბრება ოჯახის წევრებს, ადგენს ოჯახის საჭიროებებს და არსებულ სერვისებზე დაყრდნობით ახდენს მათ დახმარებას.

### იურიდიული დახმარება

ყოფილ პატიმრებს, მათი საჭიროებებიდან გამომდინარე, სხვადასხვა სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით ცენტრის იურისტი იუწევს კონსულტაცის და დახმარებას შესაბამის ბენეფიციარებს. ზოგიერთ შემთხვევაში, ხდება მათი გადამისამართება ცენტრის პარტნიორ არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციებში.

### ლიდერთა სახლი:

სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის პროგრამა „ლიდერთა სახლი» ხორციელდება 14-18 წლამდე ახალგზარდებისთვის. პროგრამის ფარგლებში მოქალაქეებს შეუძლიათ უფასოდ მიიღონ შემდეგი სერვისები რამდენიმე მიმართულებით:

- საგანმანათლებლო პროგრამები
- ორგანიზებული სპორტული ღონისძიებები
- ხელოვნება და კულტურა
- არაფორმალური განათლება
- ტრენინგები ბიზნესმეწარმეობაში
- სამოქალაქო აქტივიზმი

ზემოაღნიშნული ღონისძიებები ხორციელდება ყოველ პარასკევს, შაბათსა და კვირას იუსტიციის სახლებში როგორც თბილისში ასევე რეგიონებში. მათზე რეგისტრცია ხორციელდება ყოველ ოთხშაბათ დღეს. ღონისძიებები ტარდება საქართველოს მასშტაბით 13 ქალაქში.

### ახალგაზრდული კლუბი:

პროგრამა „ახალგაზრდული კლუბის» მისიაა დანაშაულის თავიდან არიდება და ჯანსაღი საზოგადოების ფორმირების ხელშეწყობა. პროგრამა ბავშვისადმი/მოზარდისადმი კეთილგანწყობილ სივრცეს ქმნის, რომელიც ეხმარება ბენეფიციარს თავისუფალი დრო ნაყოფიერად და საინტერესოდ გამოიყენოს. ჩვენი მიზანია „ახალგაზრდულმა კლუბმა» ჩაანაცვლოს ქუჩა, მოზარდების ენერგია და პოტენციალი კი სასარგებლო აქტივობებისკენ მიმართოს. პროგრამის სამიზნე ჯგუფს მიეკუთვნებიან ის არასრულწლოვნები, რომლებიც გამოირჩევიან დელიქვენტური, ანტისოციალური ქცევით. კლუბში ხორციელდება სხვადასხვა კულტურული თუ სპორტული აქტივობები, სამიზნე ჯგუფის საჭიროებებზე მორგებული ტრენინგები და საგანმანათლებლო სემინარები.

### ახალგაზრდული კლუბის სერვისები

„ახალგაზრდული კლუბი" მუშაობს 12-დან 21 წლამდე ახალგაზრდებთან, რომლებსაც უფასოდ სთავაზობს შემდეგი შინაარსის ღონისძიებებს:

- სპორტულ-კულტურულ აქტივობებს;
- საგანმანათლებლო და შემეცნებით აქტივობებს;
- არაფორმალურ განათლება - ტრენინგებს;

ამ ეტაპზე, ღონისძიებები ტარდება მხოლოდ თბილისში, თუმცა მომავალში იგეგმება რეგიონული რესურსცენტრების შექმნაც.

შემუშავებულია **სტანდარტები ფსიქო-სოციალური, სარეაბილიტაციო მომსახურებების მიმწოდებელთათვის, რომლებიც მუშაობენ კანონთან კონფლიქტში მყოფ ან დევიაციური ქცევის მქონე მოზარდებთან.**

### სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება – გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა[204]

პროგრამა ითვალისწინებს შრომის ბაზარზე მოთხოვნად პროფესიებში  სამუშაოს მაძიებელთა პროფესიულ მომზადება-გადამზადებას, ასევე, სამუშაო ადგილებზე შემდგომი სტაჟირებით მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და ამ გზით დასაქმების ხელშეწყობას.

პროგრამის ფარგლებში,  მოთხოვნად პროფესიაში ერთ მოკლევადიან კურსზე (2-დან 4 თვემდე) ფინანსდება სწავლა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. სწავლის საფასურის დასაფარად მსურველზე გაიცემა ერთი ვაუჩერი, რომლის მაქსიმალური ღირებულება  1000 ლარს შეადგენს.

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის, მოკლევადიან პროგრამებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, დამატებითი  მომსახურების გათვალისწინებით, ერთი ვაუჩერის მაქსიმალური ღირებულება არ აღემატება 1500 ლარს.

სტაჟირების შემთხვევაში, სტაჟირებაზე გაგზავნილი მოსარგებლეებისათვის გაიცემა სახელმწიფო სტიპენდია. სახელმწიფო სტიპენდიის ოდენობა, ერთ მოსარგებლეზე, განისაზღვრა თვეში 200 ლარით, ხოლო სტაჟირების მაქსიმალური ხანგრძლივობა - 3 თვეა.

პროგრამით სარგებლობის უფლება აქვთ 16 წლის ასაკს გადაცილებულ შრომითი ქმედუნარიანობის მქონე საქართველოს მოქალაქეებს, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებს, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს. პროგრამაში ჩართვით დაინტერესებული პირი დარეგისტრირებული უნდა იყოს სამუშაოს მაძიებლად შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში www.worknet.gov.ge.

სხვა თანაბარი პირობების არსებობის შემთხვევაში პროგრამით სარგებლობის უპირატესი უფლება აქვთ მათ შორის:

- პენიტენციური დაწესებულებებიდან გათავისუფლებულ ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამებში ჩართულ პირებს;
- პრობაციონერებს.

### პროგრამით განსაზღვრული მომსახურების მიღება

სწავლის ვაუჩერის მისაღებად სამუშაოს მაძიებელი პირადად უნდა გამოცხადდეს 30 აპრილიდან 4 მაისის ჩათვლით სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და გაიაროს რეგისტრაცია პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად სამუშაოს მაძიებელმა თან უნდა იქონიოს:

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- პროგრამით უპირატესი უფლებით სარგებლობისათვის შესაბამისი სამიზნე ჯგუფის მიკუთვნებულობის დამადასტურებელი დოკუმენტი გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა)[205].

### რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია[206]

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ინიციატივით, 2012 წლის ბოლოს დაიწყო ყოფილ მსჯავრდებულთა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამა. ეს არის პირველი სახელმწიფო პროგრამა ყოფილ მსჯავრდებულთა დასახმარებლად. მისი მიზანია სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან გათავისუფლებული პირების რეაბილიტაციის ხელშეწყობა, მათი დაბრუნება საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად და განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილება.

გათავისუფლებამდე 1-3 თვით ადრე დანაშაულის პრევენციის ცენტრის სოციალური სამუშაოს სპეციალისტები/მთავარი სპეციალისტები პენიტენციურ დაწესებულებებში ხვდებიან მსჯავრდებულებს და აწვდიან ინფორმაციას პროგრამის და სერვისების შესახებ.

ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამაში ყოფილი პატიმრების ჩართვა ნებაყოფლობითია. ცენტრის სერვისებით სარგებლობა შეუძლიათ როგორც პროგრამის ბენეფიციარებს, ასევე მათი ოჯახის წევრებს. პროგრამის ფარგლებში, სოციალური სამუშაოს სპეციალისტები/მთავარი სპეციალისტები ყოფილ მსჯავრდებულებთან მუშაობენ 2 წლის განმავლობაში.

პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ პირები, რომლებიც წარსულში იხდიდნენ სასჯელს ან აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული ქონდათ პატიმრობა საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს პენიტენციურ დაწესებულებაში.

---

204 http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1215

205 შენიშვნა: სამუშაოს მაძიებელი თავისუფლდება ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის ვალდებულებისაგან თუ იგი არის შეზღუდული შესაძლებლობის ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი ან არის პენიტენციური დაწესებულებებიდან გათავისუფლებული და ჩართულია სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრის ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის  პროგრამაში ან არის ქალი, რომელმაც ზოგადი  განათლების საბაზო საფეხურის დაძლევა ვერ შეძლო ადრეული ქორწინების გამო.

206  http://prevention.gov.ge/page/287/geo

სოციალური სამუშაოს სპეციალისტები/მთავარი სპეციალისტები ბენეფიციართა საჭიროებებს გამოკვეთენ ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასების საფუძველზე და გამოვლენილი საჭიროებებიდან გამომდინარე, რთავენ სარეაბილიტაციო პროგრამებში.

რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბების მიზნით, ეტაპობრივად ხორციელდება მომსახურებების მოძიება/განახლება თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, რომელიც თავს იყრის მომსახურებების ბაზის ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

სერვისების განვითარების მიზნით არსებობს საგრანტო კონკურსი, რომელშიც გამარჯვებული ორგანიზაციები პროგრამის ბენეფიციარებს სთავაზობენ სხვადასხვა სახის მომსახურებას.

რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციის ჩართულობა, რისთვისაც იუსტიციის სამინისტროს ჩამოყალიბებულია რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის რეფორმის გაერთიანებული სამუშაო ჯგუფი. ჯგუფი ეტაპობრივად მართავს სამუშაო შეხვედრებს. მისი მუშაობის ფარგლებში შეიქმნება რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის ერთიანი სახელმწიფო სტრატეგია.

ცენტრში 24 საათის განმავლობაში მოქმედებს ცხელი ხაზი. ნებისმიერ პირს აქვს შესაძლებლობა, უფასოდ განახორციელოს ზარი და მიიღოს ინფორმაცია მისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის ცხელი ხაზია : 2 145 145

**უფასო იურიდიული დახმარება ყოფილი პატიმრებისთვის**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ ''დანაშაულის პრევენციის ცენტრსა'' და სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახურს" შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. შეთანხმების საფუძველზე „ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამაში" ჩართული ყოფილი პატიმრები უფასო იურიდიული მომსახურებით მთელი ქვეყნის მასშტაბით ისარგებლებენ.

მემორანდუმის თანახმად, სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრი" ბენეფიციარებს უფასო სამართლებრივი დახმარების შესახებ ინფორმაციას მიაწვდის და იურიდიული დახმარების სამსახურში გადაამისამართებს. თავის მხრივ, იურიდიული დახმარების სამსახური ყოფილ პატიმრებს უფასო კონსულტაციასა და უფასო იურიდიულ დახმარებას გაუწევს.

# 21. სახელმწიფო სოციალური დაცვის პროგრამების მიმოხილვა

საქართველოს სოციალური დაცვის სისტემა, ძირითადად, ორი კომპონენტისგან შედგება, ეს არის მიზნობრივი სოციალური დახმარებები და ასაკობრივი პენსია.

ქვეყანაში არსებული სხვადასხვა ტიპის პროგრამები მიმართულია კომუნალურ სუბსიდირებაზე.

თბილისის მერიის კომუნალური სუბსიდირება[207] გათვლილია მხოლოდ თბილისის მოსახლეობისათვის. პროგრამა ითვალისწინებს ქ. თბილისში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის ელექტროენერგიის, დასუფთავებისა და წყლის გადასახადზე სუბსიდიის დარიცხვას იანვარში, თებერვალში, მარტში, ნოემბერსა და დეკემბერში.

ფართომასშტაბიანია ფულადი სოციალური დახმარება (საარსებო შემწეობა)[208], რომელიც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მოქმედებს.

საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ[209] ითვალისწინებს მაღალმთიან დასახლებაში სოციალური შეღავათების დაწესებას[210].

207 სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს, სუბსიდიის ჯამური ოდენობა განსაზღვრულია თვეში არაუმეტეს 106 ლარისა, ხოლო სოციალურად დაუცველი იმ ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა მეტია 70 000-ზე და არ აღემატება 200 000-ს, სუბსიდიის ჯამური ოდენობა განსაზღვრულია თვეში არაუმეტეს 20 ლარისა, სუბსიდიის გაცემის თვის წინა თვეში დარიცხული გადასახადების მიხედვით, შემდეგი გამოთვლის მეთოდითა და პრიორიტეტებით:
ბ) წყლის გადასახადზე 3,15 ლარის ოდენობით;

208 განაცხადის ფორმის შევსების შემდეგ ოჯახში სააგენტოს უფლებამოსილი პირის (სოციალური აგენტი) ვიზიტის დროს ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე შეივსება "ოჯახის დეკლარაცია" ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. დეკლარირებული ინფორმაცია დასტურდება ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით. დეკლარაციაში ასახული ინფორმაციის მონაცემთა ერთიან ბაზაში განთავსებისა და დადგენილი მეთოდოლოგიით დამუშავების შემდეგ ოჯახს მიენიჭება სარეიტინგო ქულა, რომლის ოდენობაც განსაზღვრავს ოჯახის უფლებას რაიმე სახის ბენეფიტზე (ფულადი სოციალური დახმარება, და სხვ).

209 https://matsne.gov.ge/ka/document/view/2924386

210 სოციალური შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში (მუხლი 4).

წერილობით მოწოდებული ინფორმაცია სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისების შესახებ პატიმარი და პრობაციონერი ქალებისათვის

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრიდან მიღებული წერილის[211] შესაბამისად, N5 ქალთა პენიტენციურ დაწესებულებაში ხორციელდება შემდეგი სახის პროგრამები: ფორმალური პროფესიული განათლება, საგანმანათლებლო ტრენინგ პროგრამები, ფსიქოსოციალური ტრენინგები, ფსიქო-სოციალური პროგრამები/თერაპიები, ზოგადი და უმაღლესი განათლება და დასაქმება.

წერილის შესაბამისად ნათელი ხდება, რომ რეაბილიტაცია- რესოციალიზაციისათვის საჭირო თანხები ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილია და არ იმიჯნება მსჯავრდებულთა სქესის მიხედვით, შესაბამისად გენდერულ ჭრილში არ არის წარმოდგენილი.

რაც შეეხება პრობაციის ეროვნულ სააგენტოს, ეს უკაანსკნელი სარეაბილიტაციო მომსახურებას ახორციელებს ფსიქო-სოციალური, პრო-სოციალური და დამოკიდებულებების მიმართულებით ამავე სააგენტოში დასაქმებული სპეციალისტების (პრობაციის ოფიცერი, სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი) მეშვეობით. პრობაციის ეროვნული სააგენტოს ბიუჯეტი არ არის დაყოფილი ცალკეული სარეაბილიტაციო პროგრამების ან პირობით მსჯავრდებულთა გენდერ-სპეციფიური საჭიროებების მიხედვით.

2017 და 2018 წელს პრობაციის ეროვნულ სააგენტოში დასაქმებული სპეციალისტების - ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკების მიერ ხორციელდებოდა შემდეგი სახის პროგრამები:

1. ადამიანის უფლებების, მოწყვლადი ჯგუფებისადმი ტოლერანტობის განვითარების ტრენინგ პროგრამა;
2. ადიქტოლოგია-ჩავარდნის პროფილაქტიკა;
3. ეფექტური კომუნიკაცია;
4. თვითშეფასების, ახალი შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის სატრენინგო მოდული;
5. საზოგადოებასთან ინტეგრაციის პროგრამა;
6. საინფორმაციო ხასიათის ტრენინგი;
7. სოციალურ გარემოში ადაპტაციის პროგრამა;
8. ტრეფიკინგი;
9. ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა;
10. ცხოვრებისეული ფასეულობები;
11. ცხოვრებისეული რისკები და პიროვნული რესურსები;
12. მომავლის დაგეგმვა;
13. დანაშაულის გაცნობიერება;
14. დანაშაულის გააზრება (სრულწლოვნებისთვის);
15. პენიტენციური სტრესის მართვის სატრენინგო მოდული;
16. კონფლიქტების მართვა და ასერტული ქცევა;
17. ბრაზის მართვა;
18. პოზიტიური აზროვნების პროგრამა;
19. აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება;
20. პროგრამა"როგორ დავეხმაროთ მოზარდებს";
21. ძალადობრივი ქცევის მართვის სარეაბილიტაციო პროგრამა.

## პრობაციონერ ქალთა დასაქმება

პირობით მსჯავრდებულთა, მათ შორის ქალთა, დასაქმება არ წარმოადგენს პრობაციის ეროვნული სააგენტოს კანონით განსაზღვრულ ვალდებულებას. შესაბამისად, პრობაციის ეროვნულ სააგენტოს ბიუჯეტი არ ითვალისწინებს აღნიშნული მიმართულების დაფინანსებისათვის საჭირო თანხას. ასევე სააგენტო არ ახორციელებს დასაქმების პროგრამებს და არ არის განსაზღვრული პირობით მსჯავრდებულთა მიერ აღნიშნული მიმართულებით მომართვის პროცედურები. მიუხედავად ამისა, პრობაციის ეროვნულ სააგენტოს თანამშრომლები (პრობაციის ოფიცერი, სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი) პირობით მსჯავრდებულ პირთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ხელშეწყობის მიზნით, მხარდაჭერას უწევენ მათ დასაქმების პროცესში (სამუშაო ადგილებისა და საგრანტო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, უნარების გაძლიერება, რეკომენდაციის გაცემა, მოტივაციის ამაღლება).

პრობაციის ეროვნული სააგენტოს მირ წერილობით მოწოდებული ინფორმაციის თანხმად, აღნიშნული უწყების ბიუჯეტი არ არის დაყოფილი ცალკეული სარეაბილიტაციო პროგრამების ან პირობით

211 2018 წლის 26 ნოემბერი.

მსჯავრდებულთა გენდერ-სპეციფიური საჭიროებების მიხედვით.

პირობით მსჯავრდებულთა, მათ შორის ქალთა დასაქმება არ წარმოადგენს პრობაციის ეროვნული სააგენტოს კანონით განსაზღვრულ ვალდებულებას. შესაბამისად, სააგენტო არ ახორციელებს დასაქმების პროგრამებს და არ არის განსაზღვრული პირობით მსჯავრდებულთა მიერ ფორმალური სახით აღნიშნული მიმართულებით მომართვის პროცედურები.

პირობით მსჯავრდებულის, მათ შორის ქალი პირობით მსჯავრდებულის, სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართვის აუცილებელ წინაპირობად განსაზღვრულია ზიანის რისკის დონე და დანაშაულის განმეორების ალბათობა. აღნიშნულის შეფასებას ახორციელებს მულტიდისციპლინური გუნდი (პრობაციის ოფიცერი, სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი). შესაბამისად, 2017 წელს 90 პირობით მსჯავრდებული ქალი იყო ჩართული, შემდეგ სარეაბილიტაციო პროგრამებში:

- ძალადობის მართვის საკანონმდებლო დაცვის მექანიზმები;
- ცხოვრებისეული ფასეულობები;
- ადიქტოლოგია-ჩავარდნის პროფილაქტიკა;
- ეფექტური კომუნიკაცია;
- თვითშეფასების, ახალი შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის სატრენინგო მოდული;
- საზოგადოებასთან ინტეგრაციის პროგრამა
- პენიტენციური სტრესის მართვის სატრენინგო მოდული;
- კონფლიქტების მართვა და ასერტული ქცევა;
- ბრაზის მართვის სატრენინგო მოდული;
- პოზიტიური აზროვნების უნარ-ჩვევების პროგრამა;
- ადამიანის უფლებების, მოწყვლადი ჯგუფებისადმი ტოლერანტობის განვითარების ტრენინგ პროგრამა;
- დანაშაულის გაცნობიერება;
- ცხოვრებისეული რისკები და პიროვნული რესურსები;
- მომავლის დაგეგმვა;
- სოციალურ გარემოში ადაპტაცია;
- საინფორმაციო ხასიათის ტრენინგი (მსჯავრდებულის უფლება-მოვალეობები).

2018 წელს 40 პირობით მსჯავრდებული ქალი იყო ჩართული, შემდეგ სარეაბილიტაციო პროგრამებში:

- ძალადობის მართვის საკანონმდებლო დაცვის მექანიზმების შესახებ ცნობიერების ამაღლება;
- ცხოვრებისეული ფასეულობები;
- ადიქტოლოგია-ჩავარდნის პროფილაქტიკა;
- თვითშეფასების, ახალი შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის სატრენინგო მოდული;
- საზოგადოებასთან ინტეგრაციის პროგრამა;
- კონფლიქტების მართვა და ასერტული ქცევა;
- ბრაზის მართვის სატრენინგო მოდული;
- პოზიტიური აზროვნების უნარ-ჩვევების პროგრამა;
- დანაშაულის გაცნობიერება
- სოციალურ გარემოში ადაპტაცია
- ინტერვენციის პროგრამა აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ პირობით მსჯავრდებულთათვის.

სარეაბილიტაციო პროგრამები მიმართულია ისეთი საჭიროებების დაკმაყოფილებაზე, რომელიც ითვალისწინებს განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილებას და რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სარეაბილიტაციო პროგრამების მიზნებს წარმოადგენს:

| პროგრამა | მიზანი |
|---|---|
| ადამიანის უფლებების, მოწყვლადი ჯგუფებისადმი ტოლერანტობის განვითარების ტრენინგ პროგრამა | ცნობიერების გაზრდა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით, მიმღებლობის გაზრდა მოწყვლადი ჯგუფებისადმი. |
| ადიქტოლოგია-ჩავარდნის პროფილაქტიკა | ნარკო/ალკოჰოლდამოკიდებული პირების მიერ რემისიის პერიოდის შენარჩუნება და ჩავარდნის პრევენცია. |
| ეფექტური კომუნიკაცია | კომუნიკაციის უნარების განვითარება მსჯავრდებულის რესოციალიზაციისთვის. |
| თვითშეფასების, ახალი შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის სატრენინგო მოდული | ბენეფიციარებისთვის, პიროვნული ზრდის ხელშეწყობა, თავდაჯერებულობის, თვითრწმენის გაზრდა, საკუთარი თავის, თვისებების მიმღებლობა და ადეკვატური თვითშეფასების განვითარება. |
| საზოგადოებასთან ინტეგრაციის პროგრამა | სოციალური და პრაქტიკული უნარების განვითარება იმისათვის, რომ ბენეფიციარებს გაუადვილდეთ გარემოსთან შეგუება და შეძლონ აგრესიული/ანტისოციალური ქცევის გარეშე დასახული მიზნების მიღწევა. |
| საინფორმაციო ხასიათის ტრენინგი | ბენეფიციარებისთვის მათი უფლება-მოვალეობების გაცნობა, ასევე, არსებული გარე რესურსების (სოციალური, სამედიცინო, ფსიქოლოგიური, დასაქმების) შესახებ ინფორმაციის მიწოდება. |
| სოციალურ გარემოში ადაპტაციის პროგრამა | ციხის შემდგომი სტრესული და ადაპტაციური სირთულეების მქონე პრობაციონერების მდგომარეობის შემსუბუქება, მათი მომზადება გათავისუფლების შემდგომი ცხოვრებისთვის და ისეთი უნარებით აღჭურვა, რაც ხელს შეუწყობს მათი რესოციალიზაციის პროცესს. |
| ტრეფიკინგი | ცნობიერების ამაღლებასთან ერთად ტრეფიკინგთან დაკავშირებული რისკების გაცნობიერება. |
| ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა | ანტისოციალური და/ან კრიმინალური ქცევის მქონე მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესისა და უსაფრთხო ქცევის დანერგვის ხელშეწყობა, მათთვის შესაბამისი ცოდნის მიწოდებისა და სარისკო ქცევებისაგან დამცავი სოციალური უნარებით აღჭურვის საფუძველზე. |
| ცხოვრებისეული ფასეულობები | მონაწილეების ფასეულობითი ორიენტაციის გამოვლენა, ცხოვრებისეული ფასეულობებისა და ცხოვრებაში წარმატების თანაფარდობის გააზრება. |
| ცხოვრებისეული ფასეულობები (ზრდასრული პ/მსჯავრდებულებისთვის) | ბენეფიციარებმა გაიაზრონ, რა ღირებულებების მატარებლები არიან და მათ შესაბამისად ჩამოაყალიბონ პრიორიტეტები. ასევე, გაიაზრონ პასუხისმგებლობა საკუთარ ქცევაზე და გააცნობიერონ თავიანთი ძლიერი მხარეები, რაც დაეხმარებათ ღირებულებებთან და საკუთარ შესაძლებლობებთან შესაბამისი ქცევის დაგეგმვაში. |
| ცხოვრებისეული რისკები და პიროვნული რესურსები | სარისკო ქცევის გააზრება და პიროვნული რესურსების იდენტიფიცირება მასთან გასამკლავებლად. |
| მომავლის დაგეგმვა | ბენეფიციარის მიერ სამომავლო მიზნების იდენტიფიცირება, მათი არსებობის მნიშვნელობისა და მიღწევის გზების გააზრება. მომავლის პოზიტიური აღქმის ჩამოყალიბება, მოტივაციის ამაღლება, ცხოვრების ალტერნატიული გზების დასახვა. |
| დანაშაულის გაცნობიერება | დანაშაულებრივი ქმედების კომპლექსურად გააზრება, სხვადასხვა პერსპექტივიდან ანალიზი, ასევე, ცნობიერების ამაღლება დანაშაულებრივ ქმედებასთან, მის შედეგებთან, შესაძლო სასჯელთან დაკავშირებით. |
| დანაშაულის გააზრება (სრულწლოვნები) | სხვისთვის და საკუთარი თავისთვის მიყენებული ზიანის გაცნობიერება, საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობის აღება, დანაშაულებრივი ქმედების კომპლექსურად გააზრება, ცნობიერების ამაღლება დანაშაულებრივ ქმედებასთან, მის შედეგებთან, შესაძლო სასჯელთან დაკავშირებით. |
| პენიტენციური სტრესის მართვის სატრენინგო მოდული | პენიტენციური დაწესებულებიდან ახალი გათავისუფლებული ბენეფიციარებისთვის კრიზისული, სტრესული მდგომარეობის შემსუბუქება, სტრესის გამკლავების მექანიზმების სწავლება. |
| კონფლიქტების მართვა და ასერტული ქცევა | კონფლიქტების წარმოშობის მიზეზებისა და მისი თავიდან აცილების გზების გააზრება, კომუნიკაციის პროცესში ასერტული უნარების გამოყენების წახალისება. |
| ბრაზის მართვა | უნარ-ჩვევების შეძენა, რომლებიც დაეხმარებათ მართონ საკუთარი ემოციები კრიტიკულ სიტუაციაში, დაფიქრდნენ მიზეზებზე და წინასწარ განჭვრიტონ შედეგები, აღმოაჩინონ ბრაზის სტიმულატორები, როგორც გარემოში, ასევე საკუთარ თავში. |
| პოზიტიური აზროვნების პროგრამა | მოდული ორიენტირებულია პოზიტიური აზროვნების უნარ-ჩვევების დასწავლის საშუალებით დანაშაულის რისკების შემცირებაზე. |
| აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება | აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ პირთათვის ცნობიერების ამაღლება, ინფორმირება. არსებული მდგომარეობის შემსუბუქება, დამოკიდებულების შემცირება/ მოხსნა. |
| პროგრამა"როგორ დავეხმაროთ მოზარდებს" | მშობლების ინფორმირება მოზარდობის ასაკის თავისებურებებისა და სირთულეების შესახებ, გაცნობიერონ მათ მიერ გამოყენებული ქცევის მართვისა და კომუნიკაციის არაეფექტური სტრატეგიები და მათი შედეგები, დაამყარონ მოზარდთან პოზიტიური, მხარდამჭერი ურთიერთობა, შეძლონ წესებისა და შეზღუდვების დაწესება და დაცვა. |
| ძალადობრივი ქცევის მართვის სარეაბილიტაციო პროგრამა | ოჯახში გენდერული ძალადობის რისკების შემცირება- აღმოფხვრა, რეციდივის პრევენცია. |

# 22. დასკვნები და რეკომენდაციები

მიგვაჩია, რომ წინამდებარე კვლევა უპრეცედენტოა და წარმადგენს პირველ მცდელობას იდენტიფიცირებული იყოს კანონთან კონფლიქტში მყოფი ქალები იმ კონრეტული ნიშნით, რასაც ქვია წარსულში გადატანილი ძალადობა, დისკრიმინაცია და სტიგმა.

კვლევამ აჩვენა, რომ ჩვენს მიერ გამოკითხული სტიგმა, ძალადობა, დისკრიმინაციის მსხვერპლი ქალი პატიმრები, პრობაციონერები და ყოფილი პატიმრები დიდწილად თავადაც ვერ აცნობიერებენ ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის აუცილებლობას. ჩვენს მიერ დასმულ კითხვაზე მათ მიერ ჩადენილი დანაშაული განპირობებული იყო თუ არა წარსულში გადატანილი მათ მიმართ განხორციელებული სტიგმით და ან ძალადობით მხოლოდ ნახევარმა უპასუხა დადებითად. კვლევამ აჩვენა, რომ არც ერთმა ქალმა (მათ შორის მათ ვინც გვითხრა, რომ თავს მიჩნევდა დისკრიმინაციის მსხვერპლად, თუმცა ახსნისას გაირკვა, რომ დისკრიმინაციად ოჯახში ძალადობას მიიჩნევდა) არ იცის დისკრიმინაციის, როგორც მათ მიმართ განხორციებული დანაშაულის მნიშვნელობა.

ჩვენს მიერ დასმულ კითხვაზე, ჩამოეთვალა 10 პრიორიტეტი და საჭიროება, რომელიც დააჩქარებდა მათ რესოციალიზაციასა და რეინტეგრაციას პრობაციონერობის ან გათავისუფლების შემდგომ პერიოდში, მათ მიერ დასახელებულ პრიორიტეტებსა და საჭიროებებში ვერ მოხვდა ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია. გამოკითხულთა პრიორიტეტები რიგითობის დაცვით ამგვარად გამოიყურება:

1. დაბინავება
2. დასაქმება
3. ჯანდაცვა
4. სოციალური დახმარება
5. სამსახურის გაცდენა ბიუროში გამოცხადების გამო
6. შვილების წრეებისა და განათლების გადასახადის გადახდაში დახმარება
7. გამოცხადების რეჟიმის შემსუბუქება
8. ნასამართლეობის მოხსნა
9. ბიზნესის დაფინანსება
10. უცხოეთში წასვლა

პატიმარი, პრობაციონერი და ყოფილი მსჯავრდებული ქალები, რომლებმაც გადაიტანეს ძალადობა, სტიგმა და დისკრიმინაცია არ არის იდენტიფიცირებული ჯგუფი და არც მათი საჭიროებები გამოკვლეულა წინამდებარე კვლევამდე. განხორციელებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ამ კატეგორიისთვის გადამწყვეტად მნიშვნელოვანია ფსიქო-სოციალური სერვისების მიწოდება. აღნიშნული კატეგორიის პირები არიან ორმაგი დისკრიმინაციის მსხვერპლნი. მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაინერგოს გენდერსპეციფიკური რესოციალიზაციის პროგრამები, რადგან, პატიმრობაგამოვლილ ქალებს აქვთ სპეციფიკური საჭიროებები ჩვეულებრივ ძალადობის მსხვერპლი ქალებისგან განსხვავებით.

იმ პატიმარი ქალების, ყოფილი პატიმრებისა და პრობაციონერების რესოციალიზაცია/რეაბილიტაცია, რომელთაც წარსულში გადაიტანეს სექსუალური ძალადობა განსაკუთრეული პროფესიონალური მიდგომით უნდა დაიგეგმოს. ამ კატეგორიის პირების რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია პრაქტიკულად არ ხდება. არც თავშესაფრებში და არც კრიზისულ ცენტრებში არ არის სერვისები სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის. აუცილებელია, მულტიდისციპლინური გუნდის მუშაობა ამ კატეგორიის პირებთან. მათ პენიტენციურ დაწესებულებაშიც და დატოვებისთანავე უნდა მიეწოდოთ ფსიქოლოგიური დახმარება.

როგორც კვლევამ აჩვენა პატიმარი, პრობაციონერი და ყოფილი პატიმარი ქალების აბსოლუტურ უმრავლესეობას ჰყავს არასრუწლოვანი შვილი/შვილები. ბავშვებისთვის აუცილებელია მათთვის ფსიქოლოგიური მხარდაჭერის უზრუნველყოფა ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან სანამ დედა სასჯელს იხდის. აღნიშნული მნიშვნელოვანია ბავშვების მიერ სტიგმის დასაძლევად და დედასთან თანაცხოვრებისათვის.

მიზანშეწონილად მიგვაჩია, პრობაციის სამსახურის, დანაშაულის პრევენციის ცენტრის და პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელთა გადამზადება გენდერსპეციფიკური მიდგომების შესახებ უნარების გაუმჯობესების კუთხით.

იმ ყოფილ მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია, რომლებიც სასჯელს იხდიდნენ ნარკოდანაშაულისათვის,პ ენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგაც არიან წამალდამოკიდებულნი. მათი დიდი ნაწილი ჩართულია მეტადონის პროგრამაში. ისინი მეტადონის რიგში ჩართულნი არიან მამაკაცებთან ერთად, რომელთა მხრიდანაც ხშირად განიცდიან დისკრიმინაციას და შევიწროვებას. მიზანშეწონილად მიგვაჩია, ჯანდაცვის სამინისტრომ შექმნას მეტადონის ცალკე რიგი ქალებისთვის.

აუცილებელია, წამალდამოკიდებული ქალების რეაბილიტაცია და მკურნალობა წარიმართოს გენდერსენსიტიური პოლიტიკის შესაბამისად.

გამომდინარე იქიდან, რომ ქალები გაცილებით უფრო სტიგმატიზირებულნი არიან ვიდრე მამაკაცები. მიგვაჩნია, რომ წამალდამოკიდებულთათვის სერვისი უნდა იყოს გენდერსენსიტიური. კონფიდენციალურობის დაცვა ქალებთან მიმართებაში მაღალი ხარისხით უნდა განხორციელდეს. წამალდამოკიდებულ ქალებს არ მიეწოდებათ ჩანაცვლებითი თერაპიის სერვისები თავშესაფრებში და კრიზისულ ცენტრებში, რადგან იქ ნარკოტიკის მიწოდება აკრძალულია. ასევე, კრიზისულ ცენტრებში და თავშესაფრებში არ არის თერაპიის სერვისები წამალდამოკიდებული ქალებისთვის.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ყოფილ მსჯავრდებულ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით ზრუნვის გაძლიერება და მათი შრომით ბაზარზე არსებული მოთხოვნილებების შესაბამისად გადამზადება.

აუცილებელია ყოფილ პატიმარ ქალებს, მათ შორის, ნარკოდამოკიდებულებს სახელმწიფო დაეხმაროს დასაქმებაში. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია, დაინერგოს job coacher-ის ინსტიტუტი (როგორც ეს არის შშმ პირების დასქმების შემთხვევაში), რომელიც ამ კატეგორიის პირებს დაეხმარება სამუშაოს მოძიებაში.

მიგვაჩნია, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი პრობაციონერებისა და ყოფილი პატიმარი ქალებისათვის სახელმწიფო სტრუქტურები განიცდიან სარეაბილიტაციო სერვისების ნაკლებობას, რაც ყველაზე საჭიროა ბენეფიცართათვის (ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია და ეკონომიკურ გაძლიერებაზე ზრუნვა).

მიგვაჩნია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობების როლი უნდა გაიზარდოს ძალადობისა და სტიგმის მსხვერპლი ბენეფიციარებისა და ყოფილი პატიმრების რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის უზრუნველსაყოფად. კერძოდ, თვითმმართველობებმა კარგად იციან მათ სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული სიტუაცია. თვითმმართველობების გენდერული თანასწორობის საბჭოებმა უნდა გამართონ შეხვედრები ბენეფიციარებთან მათი საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით და განახორციელონ ბენეფიციართა ეკონომიკური მხარდაჭერა და მათ ბიუჯეტებში უნდა განსაზღვრონ გენდერ სპეციფიკური საჭიროებები, გაწერონ თანხები ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისა და მათი შვილების რეაბილიტაციისა და ეკონომიკური მხარდაჭერის მიმართულებით.

მიგვაჩნია, სოციალური მუშაკების რაოდენობა და კვალიფიკაცია არ არის საკმარისი პრობაციონერებისა და ყოფილი პატიმრების რეაბილიტაცია- რესოციალიზაციის უზრუნველსაყოფად.

როგორც კვლევის შედეგები ცხადჰყოფს, საპატიმრო დაწესებულებაში, ძალადობა/სტიგმის მსხვერპლი ქალი პატიმრები ვერ იღებენ გენდერ სენსიტიურ სერვისებს.

როგორც წესი, ძალადობის მსხვერპლებს აღენიშნებათ ხოლმე ფსიქიკური პრობლემები. არ არსებობს სპეციალური, ეფექტური პროგრამები, რომლებიც უშუალოდ მორგებული იქნება სტიგმა/ძალადობა/დისკრიმინაციის მსხვერპლი ქალების ფსიქოლოგიურ დახმარებასა და რეაბილიტაციაზე.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეთ პატიმარი ქალების ბავშვებს, რომელთაც გადაიტანეს ძალადობა. მნიშვნელოვანია, იმის გააზრება რომ მსხვერპლი არის არა მხოლოდ ის პირი, ვინც უშუალოდ გადაიტანა ძალადობა, არამედ, ის ბავშვიც, ვინც შეესწრო ძალადობას. ამ კატეგორიის ბავშვებს აღენიშნებათ ემოციურ-ქცევითი პრობლემები. ბავშვთან აუცილებელია ფსიქოლოგის, სოც. მუშაკის და პრობაციის ოფიცერის მუშაობა სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროგრამების უზრუნველყოფის მიზნით.

მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელია ჯანდაცვის სერვისები პატიმარი ქალებისათვის. ციხის ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესება კვლავ რჩება მნიშვნელოვან გამოწვევად. ქალთა გენდერ-სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინება ჯანდაცვის სერვისების მიწოდებისას ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება.

იმავდროულად გასათვალისწინებელია, რომ ძალადობის მსხვერპლებს აქვთ სომატური ჩივილები: გულსისხლძარღვთა დაავადებები, ენდოკრინოლიგიური პრობლემები და სხვა. აუცილებელია, ამ კატეგორიის პირებისთვის შეიქმნას ცალკე სარეაბილიტაციო და სამკურნალო პაკეტი, ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ხდებოდეს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი.

სრულიად არ მუშაობს გათავისუფლებისთვის მოსამზადებელი პროგრამები, რომლებიც კომპლექსური და გაწერილი უნდა იყოს და გათავისუფლებამდე 6 თვით ადრე ხორციელდებოდეს.

პატიმარი ქალებისათვის გათავისუფლებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ალბათობა, რომ მას შესაძლებელია სახლამდე მისასვლელი (ტრანსპორტის გადასახადი) არ ჰქონდეს. აღნიშნული ფაქტორი გათავისუფლებისთანავე ტრამვას აყენებს ადამიანს და მიიჩნევა რესოციალიზაციის დამაბრკოლებელ ფაქტორად.

მნიშვნელოვანია სასჯელაღსრულებითი დაწესებულებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მჭიდრო და ეფექტური თანამშრომლობა გათავისუფლების შესახებ შეტყობინების დროული გაგზავნისა და შესაბამისი ზომების მიღების თვალსაზრისით.

# 23. ზოგადი რეკომენდაციები

უდავოა, რომ „ბანგკოკის წესების“ შესაბამისად, გენდერ-სენსიტიური სასჯელაღსრულების სისტემის უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანესია პატიმარი, პრობაციონერი და ყოფილი პატიმარი ქალების მიმართ.

კვლევის შედეგად შესაძლებელია გამოიყოს შემდეგი ასპექტები, რომელიც საჭიროებს თვალყურის მიდევნებას შემდგომი ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობის თვალსაზრისით:

აუცილებელია დაინერგოს სპეციალური მექანიზმი, რომლის საშუალებითაც მოხდება კანონთან კონფლიქტში მყოფი ქალების ძალადობის, განსაკუთრებით ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალების იდენტიფიცირება, განსაკუთრებით საპატიმრო დაწესებულებაში, რათა პატიმრობისა და პრობაციის დროს მოხდეს მათ განსაკუთრებულ საჭიროებებზე მორგებული სერვისების (მათ შორის ფსიქოლოგიური/სამედიცინო/განთლება/დასაქმების) შერჩევა და მორგება.

კვლევამ აჩვენა, რომ წარსულში (მაგ. დაპატიმრებამდე) გადატანილი ოჯახური ძალადობა განგრძობადია, ხშირ შემთხვევაში გათავისუფლების მერე წარმოშობს ოჯახში დაბრუნების ბარიერებს ან გაათმაგებულ მიზეზს შემდგომი ძალადობის, დისკრიმინაციისა და სტიგმის.

როგორც კვლევამ აჩვენა თავშესაფრის, ფსიქო-სოციალური, იურიდიული, განათლებისა და დასაქმების ხელშემწყობი სერვისები პატიმარ, პრობაციონერ და ყოფილ პატიმარ ქალებს დიდწილად არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მიეწოდებათ. მიგვაჩნია, რომ სახელმწიფომ ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას, შეიმუშავოს სისტემური და თანმიმდევრული პროგრამები და მოქნილი ბიუჯეტი პროგრამების ეფექტურად განსახორციელებლად.

ის სერვისებიც კი, რომლებსაც სახელმწიფო სთავაზობს პატიმარ, პრობაციონერ და ყოფილ პატიმარ ქალებს, ასევე ინფორმაცია სახელმწიფოს სოციალური, ჯანდაცვისა და კომუნალური სუბისდირების პროგრამების შესახებ არ არის სისტემურად ხელმისაწვდომი ერთიან სივრცეში. რეკომენდირებულია არსებობდეს სახელმწიფო პორტალი, რომელზედაც თავმოყრილი და მარტივად ხელმისაწვდომი იქნება შესაბამისი ინფორმაცია.

აუცილებელია, შემცირდეს საპატიმრო სასჯელის გამოყენება ქალ დამნაშავეთა მიმართ, მათი ვიქტიმიზაციის ისტორიის და ბავშვებზე მეურვეობის პასუხისმგებლობის გათვალისწინებით; საჭიროა არსებობდეს ასეთი საქმეების გადახედვის მექანიზმი და პროცესი, რომელიც საპატიმრო სასჯელის ვადის შემცირების მიზნით გათავისუფლების მექანიზმების ამოქმედების საშუალებას იძლევა.

მნიშვნელოვანი ხარვეზები არსებობს სოციალურად დაუცველი პატიმარი ქალებისთვის გენდერ-სპეციფიკური და სხვა საჭიროებების დაკმაყოფილების თვალსაზრისით, ასევე სხვა მოწყვლადი ჯგუფების ქალებისთვის, როგორიცაა უცხოელი პატიმარი ქალები, წინასწარ პატიმრობაში მყოფი ბრალდებული ქალები. ეს პრობლემა მოითხოვს მოგვარებასა და გაუმჯობესებას;

სარეაბილიტაციო სერვისების მიწოდება ქალთა დაწესებულებისთვის, ძირითადად, ხდება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ გარე დონორების დაფინანსებით. სახელმწიფოს მიერ შეტანილი წვლილიძალიანმცირეა.მიუხედავადამისა,სახელმწიფოსარგააჩნიაამსერვისებისინსტიტუციონალიზების არანაირი გეგმა. ამჟამინდელი ინიციატივები წარმოადგენს მოკლევადიან პროგრამებს, რომელთა მიზანია პატიმარი ქალების გათავისუფლებისთვის მომზადება. არ არსებობს სარეაბილიტაციო პროგრამები გრძელვადიანი, მათ შორის უვადოთავისუფლებააღკვეთილი ქალებისათვის, რომელიც მოამზადებდა მათ საბოლოო გათავისუფლებისათვის და ასევე, გაითვალისწინებდა მათთვის ფსიქიკური ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვის საჭირო ღონისძიებების გატარებას;

მსჯავრდებულთა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის ეროვნული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის არარსებობისას, ამ მხრივ ხარვეზებია სახელისუფლებო უწყებათაშორის კოორდინაციაში, ისევე როგორც სამოქალაქო საზოგადოებისა და სხვა სექტორების თანამშრომლობაში;

არ არსებობს დიალოგი ან თანამშრომლობა ბიზნეს/კერძო სექტორთან, მიუხედავად იმისა, რომ პატიმარ ქალთა სოციალიზაციის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი მათთვის დასაქმებისა და საცხოვრებელის მოძიებაა;

კვლავაც საჭიროა გრძელვადიანი სარეაბილიტაციო პროგრამების განვითარება პრობაციონერებისათვის და ყოფილი პატიმარი ქალებისთვის, სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობით. ყველაზე აქტუალურ და მნიშვნელოვან საკითხებს ყოფილი პატიმრებისთვის და პრობაციონერებისთვის წარმოადგენს გათავისუფლების შემდგომი დაბინავება და დასაქმება. ქალების მიერ ჩადენილ დანაშაულთა დიდი ნაწილი ეკონომიკურ დანაშაულზე მოდის. კერძოდ, მრავალი მათგანი სასჯელს იხდის საქართველოს სისხლის სამართლის 180-ე მუხლის შესაბამისად, რომელმაც, პატიმრობის გარდა, გამოიწვია მათი ქონების კონფისკაცია და აუქციონზე გაყიდვა, რამაც ისინი სრულიად ხელცარიელი დატოვა. გათავისუფლებულ ქალთა უმრავლესობას ნათესავები იფარებენ, ზოგიერთი ქირაობს ბინას, ან დგანან თავშესაფრის არქონის პრობლემის წინაშე.

ხარვეზებია ყოფილი პატიმარი და პრობაციონერი ქალების ერთიანი სახელმწიფო დაზღვევის პროგრამაში ჩართვის მიზნით ინფორმირებულობის ამაღლების მხრივაც.

PENAL REFORM INTERNATIONAL